



კომივოიაჟორის სიკვდილი

პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირები:


ვილი ლომენი
ლინდა, მისი ცოლი
ბიფი, მისი ვაჟიშვილი
შეფი, მისი ვაჟიშვილი
ბენი, მისი ძმა
ჩარლი, მისი მეზობელი
ბერნარდი, ჩარლის ვაჟიშვილი
ჯენი, ჩარლის მდივანი
პოვარდ ვაგნერი, ფირმის მეპატრონე
სტენლი, ოფისციანტი
მის ფორსაიტი
ლეტა, მის ფორსაიტის მეგობარი
ქალი

მოქმედება ხდება ჩვენს დროში (XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს – მთარგმნელის შენიშვნა) ვილი ლომენის სახლსა და ეზოში, აგრეთვე ბოსტონისა და ნიუ-იორკის ზოგიერთ ადგილას, რომელსაც იგი შიგადაშიგ სტუმრობს.

პირველი მოქმედება

ისმის ფლეიტის ხმა. მარტივი, მაგრამ სასიამოვნო მელოდია ბალახს, ხეებსა და ცას უმღერის. ფარდა იწევა.

ჩვენ წინაშე კომივოიაჟორის სახლია. უკანა ფონზე მრავლად მოჩანს ნაგებობათა დაკუთხული სილუეტები. სახლსა და ავანსცენას ლურჯი ცის ანარეკლი ეცემა. სულის შემხუთველი, ნარინჯისფერი სიციხე დგას. სცენა თანდათან ნათდება და ერთი შეხედვით პატარა სახლის თავზე დიდი და მძიმე შენობები იკვეთება. ყველაფერი თითქოს სიზმარში ხდება, ოღონდ სინამდვილის მიერ გაჩენილ სიზმარში. სცენის შუაგულში მოწყობილი სამზარეულო ნამდვილივით გამოიყურება. ამის ილუზიას მაგიდა, სამი სკამი და მაცივარი ქმნის. მეტი არაფერი მოჩანს. სამზარეულოს უკანა კედელში დატანებული, პორტიერით დაფარული კარი სასტუმრო ოთახში გადის. სამზარეულოს მარჯვნივ, ოდნავ შემადლებულ ადგილზე, საძინებელია რკინის საწოლითა და სკამით. საწოლის თავზე, თაროზე, ჯილდოდ მიღებული ვერცხლის თასი დგას.



ართურ მილერი

ფანჯარა საცხოვრებელი სახლის ფასადს გაპყურებს.

სამზარეულოს უკან, ექვს-ნახევარი ფუტის სიმაღლეზე, მანსარდაში, ბიჭების საძინებელი, ამჟამად თითქმის ჩაბნელებული ოთახია. სახურავქვეშ მკრთალადაა განათებული ორი საწოლი და ფანჯარა (საძინებელი სასტუმრო ოთახის თავზე, რომელსაც ვერ ვხედავთ): აქ ამოსვლა მარცხნივ გაკეთებული ხრახნული კიბითაა შესაძლებელი.

ყველა დეკორაცია ნაწილობრივ ან მთლიანად გამჭვირვალეა. სახურავის ხაზი ერთგანზომილებიანია; მის ზემოთ და ქვემოთ საცხოვრებელი სახლები მოჩანს. სახლის წინ პროსცენიუმია, რომელიც რამპის უკან საორკესტრო ორმოში ეშვება. ეს ლომენის ეზოა. აქ ხდება ყველა მოქმედება, რაც ვილის მოგონებებსა და ქალაქის სცენებს უკავშირდება. როდესაც მოვლენები ანწყომი ვითარდება, მსახიობები ზედმინვენით იცავენ წარმოსახვითი კედლების საზღვრებს და სახლში მხოლოდ მარცხნივ მდებარე კარიდან შედიან. წარსულის გაცოცხლებისას კი ბარიერები აღარ არსებობს და მოქმედი პირები პროსცენიუმზე „კედლის გავლით“ გადიან.

მარჯვნიდან კომივოიაჟორი ვილი ლომენი შემოდის. ხელში ნიმუშებით სავსე ორი დიდი ჩემოდანი უჭირავს. ფლეიტა დაკვრას განაგრძობს. კაცს ესმის მელოდია, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს. ვილი სამოცსაა გადაცილებული, სადად აცეკვია. როდესაც სცენას გადაკვეთს და სახლისკენ მიემართება, აშკარად ეტყობა, რომ დაქანცულია. იგი კარს ალღებს, სამზარეულოში შედის, შვებით დებს ძირს თავის ტვირთს და ნატკენ ხელისგულს ისრებს. შემდეგ ამოიხრებს – ალბათ, ღმერთო ჩემოო, ჩაილაპარაკებს, – კარს მიკეცავს და ჩემოდნები სასტუმრო ოთახში გააქვს. მარჯვნივ, საძინებელში, მისი ცოლი, ლინდა იღვიძებს, საწოლიდან დგება, მიაყურადებს და ხალათს იცვამს. ბუნებით იგი რბილი ქალია და ქმრის უსაქციელო-

ბას ყოველთვის ურყევი თავშეკავებულობით ხვდება – მას ხომ არა მარტო უყვარს მეუღლე, არამედ აღფრთოვანებულიცაა მისით. ვილის დაუდგრომელი ხასიათი, სიფიცხე, მტანჯველი ფიქრები და უნებლიე სისასტიკე მოზღვავებული მალალი გრძნობების გარეგნულ გამოხატულებად მიაჩნია, გრძნობებისა, რომელთა რიგიანად განცდა და გამოხატვა თვითონ არ შეუძლია.

ლინდა: (ესმის ვილის ფეხის ხმა და შეშფოთებული გასძახებს) ვილი!

ვილი საძინებელში შედის.

ვილი: ყველაფერი კარგადაა. დავბრუნდი.

ლინდა: რატომ? რა მოხდა?

ხანმოკლე დუმილი.

ლინდა: რამე მოხდა, ვილი?

ვილი: არა, არაფერი.

ლინდა: მანქანა ხომ არ დაამტვრიე?

ვილი: (ოდნავი გაღიზიანებით) გითხარი, არაფერი მომხდარა-მეთქი! ნუთუ ვერ გაიგონე?

ლინდა: თავს ცუდად გრძნობ?

ვილი: საშინლად დავილაღე. (ფლეიტა დაკვრას წყვეტს, კაცი კი სანოლის კიდეზე გაშეშებულივით ზის) ვერაფრით შევძელი ამის გაკეთება, ლინდა, ხომ გესმის, ვერაფრით შევძელი.

ლინდა: (ძალიან რბილად) სად იყავი მთელი დღე? ძალიან ცუდად გამოიყურები.

ვილი: თითქმის იონკერსამდე მივედი. ყავის დასალევად შეეჩერდი. იქნებ სწორედ ყავის ბრალია?

ლინდა: რა?

ვილი: (პაუზის შემდეგ) მოულოდნელად ვიგრძენი, რომ მანქანის ტარება აღარ შემიძლო. ვეღარ ვმართავდი, სადღაც გვერდით გამირბოდა.

ლინდა: (სურს, დაეხმაროს) ეგ საჭის გამო მოხდებოდა. ჩემი აზრით, ანჯგელოს „სტუდენტკერისა“ არაფერი გაეგება.

ვილი: არა, ეს ჩემ გამო მოხდა. უეცრად გავაცნობიერე, რომ საათში სამოცი მილის სიჩქარით მივდიოდი და აღარაფერი მახსოვდა, რაც ბოლო ხუთი წუთის განმავლობაში მოხდა. მე... არ შემიძლია... აღარ შემიძლია ყურადღების დაძაბვა.

ლინდა: სათვალის ბრალი არ იყოს. ჯერ კიდევ როდის უნდა წასულიყავი ახლის ასაღებად.

ვილი: არა, ყველაფერს შესანიშნავად ვხედავ. აქეთობას საათში ოცი კილომეტრის სიჩქარით მოვდიოდი. იონკერსიდან ჩამოსვლას ლამის ოთხი საათი მოვანდომე.

ლინდა: (მორჩილად) უნდა დაისვენო, **ვილი:** ასე აღარ შეიძლება.

ვილი: მაგრამ მე ხომ ეს-ეს არის დავბრუნდი ფლორიდიდან!

ლინდა: ტვინს კი შეღავათს არ აძლევ! გამუდმებით ფიქრობ, ტვინს არ ასვენებ, არადა, მთავარი თავია.

ვილი: დილით ისევ წავალ. იქნებ თავი უკეთ ვიგრძნო.

ლინდა ქმარს ფეხსაცმელებს ხდის.

ვილი: ეს დაწყველილი სუპინატორები ბოლოს მომიღებს.

ლინდა: ასპირინი დალიე. მოგიტანო? უკეთ გახდება.

ვილი: (გაოცებით) გესმის, ლინდა, მივდიოდი და თავსაც მშვენივრად ვგრძნობდი. არემარესაც ვათვალისწინებდი. ვერ წარმოიდგენ, რა მომაბეზრებელია ბუნება, როდესაც მთელი ცხოვრება სულ

აქეთ-იქით მგზავრობ. თუმცა ლამაზი კია, ლინდა... ზორბა ხეები, კაშკაშა მზე... როგორც კი ფანჯარა დავუშვი, სახეში თბილი ჰაერი დამეტაკა. და უეცრად, ყოვლად უმიზეზოდ, გზიდან არ გადავედი?!

გეუბნები, სულ აღარ მახსოვდა, რომ საქვსთან ვიჯექი. კიდევ კარგი, თეთრი ხაზი არ გადავკვეთე, თორემ, შესაძლოა, ვინმე გამეტანა კიდევ.

მერე გზა განვაგრძე, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ ისევ ბურანში წავედი და კინალამ... (ქუთუთოებზე ორ-ორ თითს იღებს) ნეტა რა ხდება ჩემს თავში? ძალზე უცნაური აზრები მიტრიალებს.

ლინდა: ვილი, ძვირფასო, იქნებ დალაპარაკებოდი მათ. ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება, რომ ნიუ-იორკში მუშაობდე?

ვილი: ნიუ-იორკში არაფერში ვჭირდები. მე ახალი ინგლისის სპეციალისტი ვარ და ყველაზე მეტად იქ ხედავენ ჩემს ადგილს.

ლინდა: მაგრამ შენ უკვე სამოცის გახდი! როდემდე უნდა გარბენინონ წინ და უკან ამსიშორებ?

ვილი: პორტლენდში დეპეშა უნდა გავგზავნო. ხვალ, დილის ათ საათზე, ბრაუნსა და მორისონს უნდა შევხვედროდი და ჩვენი საქონელი მეჩვენებინა. ღმერთო ჩემო, რამდენის მიყიდვას შევძლებდი! (იგი პიჯაკის ჩაცმას იწყებს)

ლინდა: (პიჯაკს ხელიდან ართმევს) აჯობებს, თუ ხვალ კანტორაში შეივლი და ჰოვარდს დაიყოლიებ, რომ ნიუ-იორკში გამუშაოს. ძალიან ხათრიანი ხარ, ძვირფასო.

ვილი: მოხუც ვაგნერს ცოტა ხანს კიდევ რომ ეცოცხლა, უკვე ნიუ-იორკის კლიენტურასთან ვიმუშავებდი. რა კაცი იყო! ნამდვილი პრინცი! თავისი საქმის ჩინებული მცოდნე. მისი შვილი კი, ჰოვარდი, არავის არაფრად აგდებს. როდესაც პირველად გავემგზავრე ჩრდილოეთში, ვაგნერის კომპანიას წარმოადგენაც არ ჰქონდა, სად იყო ეს ახალი ინგლისი.

ლინდა: რატომ ჰოვარდს არ ეტყვი ამ ყველაფერს, ძვირფასო?

ვილი: (ცოტათი გამხნეებული) ვეტყვი კიდევ. აუცილებლად ვეტყვი. ყველი თუ გვაქვს?

ლინდა: ბუტერბროდს გაგიშაადებ.

ვილი: არა, წადი, დაიძინე. რძეს დავლევ. ახლავ ვე დავბრუნდები. ბიჭები შინ არიან?

ლინდა: სძინავთ. დღეს ჰეფი ბიფი სადღაც სტუმრად წაიყვანა.

ვილი: (ინტერესით) მართლა?

ლინდა: ისეთი კარგი სანახევები იყვნენ, როდესაც სააბაზანოში ერთმანეთის ზურგს უკან იდგნენ და პირს იპარსავდნენ. სტუმრადაც ერთად წავიდნენ. ნუთუ ვერ შეამჩნიე, რომ მთელი სახლი ოდეკოლონის სუნითაა გაჟღენთილი?

ვილი: წარმოგიდგენია? მუშაობ, მთელი ცხოვრება მუშაობ სახლის გამოსასყიდად. და ბოლოს, როცა ის უკვე შენია, აღმოჩნდება, რომ იქ აღარავინაა.

ლინდა: ვერაფერს იზამ, ჩემო კარგო, ცხოვრება ასეა მოწყობილი. ახალგაზრდები ერთ ადგილზე ვერ ჩერდებიან.

ვილი: არა, არა! ზოგი ერთ ადგილზეც ახერხებს წარმატების მიღწევას. რა თქვა ბიფმა, როდესაც წავედი?

ლინდა: არ უნდა გაგეკრიტიკებინა – ის ხომ სულ ახლახან დაბრუნდა. არ ღირდა ამის გამო გაღიზიანება.

ვილი: განა მე გავლიზიანდი? უბრალოდ ვკითხე, ფულს თუ შოულობ-მეთქი. ნუთუ ეს კრიტიკაა?

ლინდა: არა, ძვირფასო, მაგრამ როგორ უნდა იშოვოს ფული?

ვილი: (აღელვებითა და გაბრაზებით) რაღაც არ მომწონს მასში, გაბოროტებული მეჩვენება. გესმის? ბოდიში მაინც მოუხადა!

ლინდა: ბიჭი გულგატეხილი იყო. ხომ იცი, როგორ გაღმერთებს. როდესაც ცხოვრებაში საკუთარ ადგილს იპოვის, ორივენი დაწყნარდებით და აღარ იჩხუბებთ.

ვილი: განა მისი ადგილი ფერმაშია? განა ეს ცხოვრებაა? მოჯამაგირე! სანამ უფრო ახალგაზრდა იყო, ვფიქრობდი, დაე, ცოტა იხეტილოს, იქ იმუშაოს, სადაც გული მიუწევს, დაღვინდება-მეთქი. მაგრამ მას შემდეგ ათი წელი გავიდა, ის კი კვირაში ოცდათხუთმეტ დოლარსაც გაჭირვებით შოულობს.

ლინდა: საკუთარ თავს ეძებს, ვილი.

ვილი: სირცხვილია, უკვე ოცდათოთხმეტი წლისაა!

ლინდა: ჩუ-უ!

ვილი: უბედურება ისაა, რომ ზარმაცია, ეშმაკმა დალახვროს!

ლინდა: კარგი რა, ვილი!

ვილი: ბიფი ზარმაცი და უქნარაა!

ლინდა: ბიჭებს სძინავთ. ჩადი ქვევით, ცოტა წაიხემსე.

ვილი: რატომ დაბრუნდა სახლში? გამაგებინა, თავში რა უტრიალებს.

ლინდა: მეჩვენება, რომ გზააბნეულია, საკუთარ ადგილს ვერ მიაგნო.

ვილი: ბიფ ლომენმა საკუთარ ადგილს ვერ მიაგნო? ასეთი მომზობლავი ახალგაზრდა კაცი მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში დაიკარგა? თანაც ოქროს ხელები აქვს. გაბრაზებულ გულზე ვამბობდი, თორემ ზარმაცი ნამდვილად არაა.

ლინდა: გეთანხმები.

ვილი: (სიბრაღულით, მაგრამ მტკიცეად) ხვალ დილითვე დაველაპარაკები! გულახდილად. კომივოიაჟორის ადგილს ვუშოვი. მალე დიდი კაცი გახდება. ღმერთო ჩემო! გახსოვს, როგორ უყვარდათ სკოლაში? საკმარისი იყო, ერთი გაელიმა და ყველას სახე უნათდებოდა. როცა ქუჩაში მიდიოდა... (მოგონებებში იძირება)

ლინდა: (ქმრის გამოფხიზლებას ცდილობს) ვილი, ძვირფასო, დღეს რაღაც ახალი სახეობის ამერიკული ყველი ვიყიდე. ათქვეფილი.

ვილი: ამერიკული რად გინდოდა, მე ხომ შვეიცარიული მიყვარს?

ლინდა: ვიფიქრე, სიახლე მოეწონება-მეთქი.

ვილი: სიახლეს რა თავში ვიხლი! შვეიცარიული ყველი მინდა. ვერ გამიგია, რატომ იქცევა ყველა ჩემ ჯინაზე.

ლინდა: (ცდილობს, არ გაეცინოს) სიურპრიზის გაკეთება მინდოდა.

ვილი: ღვთის გულისთვის, რატომ ფანჯარას არ გააღებ?

ლინდა: (უსაზღვრო მოთმინებით) ყველა ფანჯარა ღიაა, ძვირფასო.

ვილი: მაგრად კი ამოგვექოლეს აქ. აგურები და სხვისი ფანჯრები, სხვისი ფანჯრები და აგურები.

ლინდა: მეზობელი ნაკვეთი უნდა გვეყიდა.

ვილი: მთელი ქუჩა მანქანებითაა სავსე. ძალია-

ნაც რომ გინდოდეს, სუფთა ჰაერს წამლადაც ვერ იშოვი. ბალახი აღარ იზრდება, ეზოში სტაფილოც ველარ დაგვირგავს. მათ არ ჰქონდათ ამ ქვის კუბოების აშენების უფლება. ის ორი ლამაზი თელა თუ გახსოვს იქ? მე და ბიფმა მათ შორის საქანელა ჩამოვკიდეთ.

ლინდა: ჰო, და ისე ჩანდა, რომ ქალაქამდე მილიონი მილი გვაცილებდა.

ვილი: დასაჭერია, ვინც ის ხეები მოჭრა! რას დაამსგავსეს აქაურობა! (ნაღვლიანად) სულ უფრო ბევრს ვფიქრობ ნარსულზე, **ლინდა:** წელიწადის ამ დროს ჩვენთან იასამანი და გლიცინია ყვაოდა. მათ პიონი და ნარგიზი მოსდევდა. მერედა რა სუნი იდგა ოთახში!

ლინდა: ჰო, მაგრამ სადღაც ხომ უნდა იცხოვროს ხალხმა.

ვილი: ძალიან მომრავლდა ხალხი.

ლინდა: სულაც არ ვფიქრობ, რომ ხალხი მომრავლდა. ასე მგონია...

ვილი: მომრავლდა-მეთქი! სწორედ ეს გვლუპავს! მოსახლეობა განუწყვეტილად იზრდება. ახლა ეს საშინელი კონკურენცია! სუნთქვისთვის მხოლოდ სხვისი სახლიდან გამოსული მყრალი ჰაერია დარჩენილი. შეხედე! იქითა მხრიდან კიდევ ერთ სახლს აშენებენ... ერთი ის მითხარი, ყველს როგორ თქვეფენ?

ბიფი და ჰეფი საწოლში წამოჯდებიან და მათ საუბარს ყურს უგდებენ.

ლინდა: ჩადი ქვევით და გასინჯე. ოღონდ არ იხმაურო.

ვილი: (ლინდასკენ დამნაშავე სახით შეტრიალდება) ჩემზე ნუ იდარდებ, კარგი, ძვირფასო?

ბიფი: ნეტა რა მოხდა?

ჰეფი: უსმინე!

ლინდა: ყველაფერი გულთან მიგაქვს.

ვილი: შენ ჩემი ერთადერთი საყრდენი და იმედი ხარ, ლინდა.

ლინდა: დაისვენე, ძვირფასო. და ბუზს სპილოდ ნუ გადააქცევ.

ვილი: ამიერიდან აღარ ვეჩხუბები. თუ ისევ ტიხასში უნდა წასვლა, წავიდეს, ხელს არ შევეშული.

ლინდა: თავის გზას მიაგნებს.

ვილი: ცხადია. ზოგიერთი ადამიანი ამას უფრო გვიან ახერხებს. ეგ არის და ეგ. თუნდაც თომას ედისონი ავიღოთ. ან მილიონერი გუდრიჩი. ერთ-ერთი მათგანი ყრუ იყო. (კარისკენ მიდის) ბიფზე მთელ ქონებას თამამად ჩავიდოდი.

ლინდა: იცი რა, ვილი, თუ კვირას თბილი ამინდი იქნა, მოდი, ქალაქკარეთ გავიდეთ. დავუშვათ ფანჯრები და თან საჭმელი წავიდოთ.

ვილი: ახალ მანქანებში ფანჯრები ძირს არ იწევა.

ლინდა: მაგრამ შენ ხომ დაუშვი დღეს!

ვილი: მე? საიდან მოიტანე? (პაუზა) არა, რა უცნაურია! პირდაპირ საოცარია... (შიშისა და გოცებისგან ჩუმდება)

შორს კვლავ ახმაურდება ფლეიტა.

ლინდა: რა, ძვირფასო?

ვილი: ეს ძალზე უცნაურია.

ლინდა: რას გულისხმობ?

ვილი: „შევიზე“ ვფიქრობდი. (ხანმოკლე პაუზა)

ათას ცხრაას ოცდარვაში... მაშინ წითელი „შევრო-
ლე“ მყავდა. (კვლავ ხანმოკლე პაუზა) სასაცილოა,
არა? მზად ვარ დავიფიცო, რომ დღეს სწორედ იმ
„შევის“ საჭესთან ვიჯექი.

ლინდა: ეგ არაფერია, ჩემო კარგო. ალბათ, რა-
ღაცაზე გაგახსენდა.

ვილი: საოცარია! (ენას გაანკლაპუნებს) გახ-
სოვს ის დღეები? გახსოვს, როგორ ელოლიავებო-
და ბიფი იმ მანქანას? მყიდველმა ვერაფრით დაი-
ჯერა, რომ ოთხმოცი ათასი მილი ჰქონდა გავლი-
ლი. (თავს აქნევს) აჰ! (ლინდას) თვალები დახუჭე,
ახლავე დაებრუნდები. (საძინებლიდან გადის)

ჰეფი: (ბიფს) ღმერთო ჩემო, ისევ ხომ არ დაამ-
ტვრია მანქანა?

ლინდა: (ვილის მიძახებს) კიბეზე ფრთხილად
ჩადი, ძვირფასო! ყველი შუა თაროზეა. (სანოლს
უახლოვდება, ქმრის პიჯაკს იღებს და საძინებლი-
დან გადის)

ბიჭების ოთახში შუქი ინთება. ვილი აღარ ჩანს,
მაგრამ ისმის, თუ როგორ ეუბნება საკუთარ თავს:
„ოთხმოცი ათასი მილიო“ და ჩუმად ქირქილებს.
ბიფი სანოლიდან დგება და ცდილობს, რამე მაინც
გაიგონოს. მართალია, ჰეფიზე ორი წლით უფრო-
სია და კარგი აღნაგობითაც გამოირჩევა, მაგრამ
დაღლილი სახე აქვს და ნაკლებად თავდაჯერე-
ბულია. ცხოვრებაში ძმასავით წარმატებული არ
არის, უფრო დიდი და ძნელად განსახორციელებე-
ლი ოცნებებითაა შეპყრობილი. ჰეფი მალაღია და
კუნთმაგარი. მის სექსუალობას, განსხვავებული
ფერისა თუ სუნის მსგავსად, ქალების უმრავლესო-
ბა აშკარად შეიგრძნობს. თავს ბიფივით დაკარგუ-
ლად გრძნობს, ოღონდ სრულიად სხვა მიზეზის გა-
მო. მარცხს თვალს ვერასდროს უსწორებს, ყველა-
ფერი მყოფე და მტრული ეჩვენება, თუმცა სამყარო
მისთვის გაცილებით მეტადაა მისაღები.

ჰეფი: (სანოლიდან დგება) თუ ასე გაგრძელდა,
მართვის მონობას ჩამოართმევენ. იცი, ბიფ, ძა-
ლიან ვენერვიულობ მასზე.

ბიფი: ბოლო დროს მხედველობა უფუჭდება.

ჰეფი: არა, გასულ კვირას ქალაქში ერთად წა-
ვედით. კარგად ხედავს. უბრალოდ ყურადღება
ეფანტება. მწვანე შუქზე ჩერდებოდა, წითელზე კი
მუხრუჭიდან ფეხს იღებდა. (იციინის)

ბიფი: დალტონიზმი ხომ არ სჭირს?

ჰეფი: მამას? რას ამბობ, თავისი საქმიანობის
გამო ფერებში შესანიშნავად ერკვევა. ეს შენც
კარგად იცი.

ბიფი: (სანოლზე ჯდება) ეჰ, აჯობებს, ძილი გა-
ვაგრძელო.

ჰეფი: მამაზე ხომ არ ბრაზობ?

ჰეფი: არა, ყველაფერი კარგადაა.

ვილი (ქვემოდან, სასტუმრო ოთახიდან): დიას,
სერ, ოთხმოცი ათასი კილომეტრი, ოთხმოცდაორი
ათასიც კი!

ბიფი: ენევი?

ჰეფი: (სიგარეტის კოლოფს უწვდის) აილე.

ბიფი: (სიგარეტს იღებს) როგორც კი თამბაქოს
სუნს ვიგრძნობ, ძილი აღარ მეკარება.

ვილი: აი მესმის მანქანის მოვლა!

ჰეფი: (გრძნობით) რა სასაცილოა, ბიფ, ისევ ერ-
თად რომ გვიძინავს, არა? იმავე სანოლებში. (ნაზად
უთათუნებს ხელს თავის ლოგინს) რამდენი რამ მო-
უსმენიათ. მთელი ცხოვრება გაეიდა.

ბიფი: ჰო, ყველა ოცნება და გეგმა.
ჰეფი (გულიანად, გრძნობით გაიციინებს): ხუთას
ქალს მაინც ენდომება იმის გაგება, რაც ამ ოთახში
თქმულა.

ორივე უხმოდ იციინის.

ბიფი: ის თუ გახსოვს, ზორბა ბეტსი, თუ რა ერ-
ქვა, აღარ მახსოვს, დალახვროს ეშმაკმა, ბაშვიკ-
ავენიუდან?

ჰეფი (თმას ივარცხნის): ძალი რომ ჰყავდა?

ბიფი: სწორედ ის. მე მოგიყვანე, გახსოვს?

ჰეფი: ჰო, მგონი, ჩემთვის პირველი ქალი იყო
– ნამდვილ ღორს ჰგავდა! (ორივე უხეშად იციინის)
ქალების შესახებ ყველაფერი შენგან ვისწავლე. არ
დაგავინწყდეს.

ბიფი: მე არც ის დამვიწყებია, როგორ მორ-
ცხვობდი. განსაკუთრებით ქალიშვილებთან.

ჰეფი: მათთან ახლაც კი ვმორცხვობ.

ბიფი: გგონია, დაგიჯერებ?

ჰეფი: უბრალოდ, არ ვიმჩნევ. ეგ არის და ეგ.
თუმცა მეჩვენება, რომ ახლა შენ უფრო მორცხვობ.
რატომ, ბიფ? სად გაქრა შენი ძველებური სიტყვა-
მოსწრებულობა, ძველებური თავდაჯერებულო-
ბა? (ბიფს მუხლზე ხელს დაჰკრავს. ბიფი დგება და
მოუსვენრად იწყებს ოთახში სიარულს) რა დაგე-
მართა?

ბიფი: რატომ დამციინის მამა?

ჰეფი: სულაც არ დაგციინის, უბრალოდ...

ბიფი: რაც არ უნდა ვთქვა, სახეზე დამციინავი
ღიმილი უჩნდება. მის გვერდით ველარ ვჩერდები.

ჰეფი: მას მხოლოდ ის უნდა, რომ შენგან რამე
გამოვიდეს, მეტი არაფერი. დიდი ხანია, მის შესა-
ხებ მინდა დალაპარაკება. ამ ბოლო დროს მამას
რალაც ემართება – საკუთარ თავს ელაპარაკება.

ბიფი: ეს მეც შევამჩნიე ამ დღით. მაგრამ
ის ხომ მთელი ცხოვრება გამუდმებით რალაცას
დუდლუნებდა ხოლმე თავისთვის.

ჰეფი: მაგრამ ეს ასე შესამჩნევი არ იყო. საქმე
იქამდე მივიდა, რომ დასასვენებლად ფლორიდაში
გავაგზავნე. სხვათა შორის, თითქმის ყოველთვის
შენ გელაპარაკება.

ბიფი: მერედა რას მეუბნება?

ჰეფი: მაგის გარჩევა ვერაფრით მოვახერხე.

ბიფი: რამეს მაინც გაარჩევდი. რას ამბობს ჩემ
შესახებ?

ჰეფი: იმას, რომ ვერ მოენწყე, რომ ჰაერში ხარ
გამოკიდებული...

ბიფი: მისი დეპრესიის მიზეზი მარტო ეგ არ უნ-
და იყოს.

ჰეფი: რას გულისხმობ?

ბიფი: ისეთს არაფერს, ოღონდ ყველაფერს მე
ნუ მამბრალბ.

ჰეფი: დარწმუნებული ვარ, როგორც კი ფეხზე
დადგები... მომისმინე, იქ თუ გაქვს რაიმეს იმედი?

ბიფი: აბა, რა ვიცი, ჰეფი, რისი იმედი უნდა
ჰქონდეს ადამიანს? ის მაინც ვიცოდე, რას უნდა
მივალწიო.

ჰეფი: ეს როგორ?

ბიფი: სულ უბრალოდ. სკოლის შემდეგ ექვსი
თუ შვიდი წელი თვითდამკვიდრებას ცვდილობ-
დი. სატრანსპორტო აგენტი, კომივოიაჟორი, რა-
იმე სახის ბიზნესი. ნამდვილი ძალღური ცხოვრე-
ბაა. ზაფხულის ცხელ დღეს დილიდანვე მეტროში
მიძვრები. საუკეთესო წლებს იმაში ხარჯავ, რომ

იმ მხრიდან, საითაც ვილი იყურება, მოზარდი ბიჭი და ჰეფი გამოჩნდებიან. ჰეფის წყლიანი ვედრო და ტილო მოაქვს. ბიჭს სვიტერზე ასო „C“ აქვს გამოსახული, ხელში ფეხბურთის ბურთი უჭირავს.

ბიჭი: (სცენის მიღმა მანქანაზე მიუთითებს) რას იტყვი, მამა, როგორი ნამუშევარია?

ვილი: ბრწყინვალეა, შესანიშნავია, ბიჭებო. ყოჩაღ, ბიჭ!

ჰეფი: შენი სიურპრიზი სადღაა?

ვილი: მანქანის უკანა სავარძლის ქვეშ.

ჰეფი: ვაჟა! (გარბის)

ბიჭი: რა არის, მამა? მითხარი, რა იყიდე?

ვილი: (ხუმრობით ნამოარტყამს ხელს) მოითმინე.

ბიჭი: (ჰეფის მისდევს) რა არის, ჰეფი?

ჰეფი: (სცენის მიღმა) მოკრივის სავარჯიშო მსხალი!

ბიჭი: მამა!

ვილი: ჯინ ტანის ავტოგრაფით!

ჰეფი მოკრივის სავარჯიშო მსხლით ხელში სცენაზე გამოვბის.

ბიჭი: რა იცოდი, რომ ამაზე ვოცნებობდით?

ვილი: რა შეიძლება იყოს ვარჯიშზე უკეთესი?

ჰეფი: (ზურგზე წვება და ფეხებს ისე ამოძრავებს, თითქოს ველოსიპედის სატერფულებს ატრიალებს) თუ შეამჩნიე, მამა, რომ ცოტათი გავხდი?

ვილი: სახტუნაო თოკიც ძალზე სასარგებლოა.

ბიჭი: ჩემი ახალი ფეხბურთის ბურთი თუ ნახე?

ვილი: (ბურთს ათვალეირებს) ეს ბურთი საიდან?

ბიჭი: მწვრთნელმა მითხრა, პასებში ივარჯიშეო.

ვილი: მართლა? და ახალი ბურთი მოგცა?

ბიჭი: არა. კლუბის საკუჭნაოდან ვითხოვე. (მხიარულად იცინის)

ვილი: (მეგობრულად აჰყვება სიცილში) აი, შე ეშმაკო! უკან დააბრუნე.

ჰეფი: ხომ გეუბნებოდი, მამა გაჯავრდება-მეთქი.

ბიჭი: (გაბრაზებით) მერე რა? წავიღებ და თავის ადგილზე დავდებ.

ვილი: (უაზრო კამათის შეწყვეტის მიზნით ჰეფის მიმართავს) მისთვის აუცილებელი იყო ნამდვილი ბურთით ვარჯიში! (ბიჭს) დამოუკიდებლად ასეთი გადანყვეტილების მიღებისთვის მწვრთნელი მხოლოდ შეგაქვს.

ბიჭი: ამისთვის ის მე ყოველთვის მაქვს.

ვილი: მას უყვარხარ. წარმოიდგინე, რა ამბავი ატყდებოდა, ბურთი სხვას რომ აეღო! საერთოდ რა ხდება, ბიჭებო?

ბიჭი: სად იყავი, მამა? ძალიან მოგვენატრე.

ვილი: (ბედნიერია, ბიჭებს მხრებზე მოეხვევა და მათთან ერთად პროსცენიუმზე გადის) მაშ, მოგენატრეთ?

ბიჭი: ყოველ წუთს შენზე ვფიქრობდით.

ვილი: მართლა? ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, ბიჭებო, ოღონდ არავისთან წამოგცდეთ, კარგი? მალე საკუთარი საქმე მექნება და შინიდან წასვლა აღარ მომიწევს.

ჰეფი: როგორც ბიძია ჩარლის?

ვილი: ბიძია ჩარლი პირს დააღებს! მას მომხიბვლელობა აკლია. მართალია, ხალხს ისიც მოსწონს, მაგრამ არც იმდენად.

ბიჭი: ამჯერად სად იყავი, მამა?

ვილი: ჩრდილოეთში, პროვიდენსში. იქაურ მერს შევხვდი.

ბიჭი: ქალაქის მერს?

ვილი: ჰო, სასტუმროს ჰოლში იჯდა.

ბიჭი: რა თქვა?

ვილი: „დილა მშვიდობისა“, მითხრა მან. „მშვენიერი ქალაქი გაქვთ, ბატონო მერო“, მივუგე მე. შემდეგ ყავა დავლიეთ. იქიდან უოტერბერიში გავემგზავრე. ისიც ლამაზი ქალაქია. თავისი დიდი საათითაა ცნობილი – სახელგანთქმული უოტერბერის საათი. საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი გავყიდე. შემდეგ ბოსტონს მივაშურე. ბოსტონი – ჩვენი რევოლუციის აკვანია, შესანიშნავი ქალაქი. მასაჩუსეტისის ორიოდ ქალაქშიც შევიარე, პორტლენდსა და ბანგორსაც შევაველე თვალი და პირდაპირ შინისკენ გამოვნიე!

ბიჭი: როგორ მიწადა, რომ ერთხელ მაინც ვიმგზავრო შენთან ერთად, მამა!

ვილი: როგორც კი ზაფხული დადგება.

ჰეფი: გვპირდები?

ვილი: სამნი წავალთ – შენ, მე და ჰეფი: ისეთ საინტერესო ადგილებს გიჩვენებთ!.. ამერიკაში მრავალი ლამაზი ქალაქია, სადაც კარგი, ღირსეული ადამიანები ცხოვრობენ. და ისინი მე მიცნობენ, ბიჭებო. ახალ ინგლისში ყველა მიცნობს – დიდიც და პატარაც. საუკეთესო ხალხია. როდესაც იქ ჩავალთ, ჩვენთვის ყველა კარი ღია იქნება, რადგან უამრავი მეგობარი მყავს. შემიძლია, მანქანა ნებისმიერ გზაჯვარედინზე დავტოვო და პოლიციელები ცივ წიავს არ მიაკარებენ. მაშ, ზაფხულში, ხომ?

ბიჭი და ჰეფი: (ერთად) აუცილებლად!

ვილი: თან საცურაო ტრუსები წავიღოთ.

ჰეფი: ჩვენ შენს ჩემოდნებს ვატარებთ.

ვილი: შესანიშნავია! შევდივარ ბოსტონის რომელიმე მალაზიაში, ორ ყმაწვილს კი ჩემი ნიშნები მოაქვს. ნამდვილი სენსაცია იქნება!

ბიჭი მამის გარშემო დახტის და პასის გაკეთებაში ვარჯიშობს.

ვილი: ხომ არ ნერვიულობ მატიჩის წინ?

ბიჭი: არა, არასდროს ვნერვიულობ, როდესაც შენც ესწრები.

ვილი: სკოლაში რას ამბობენ შენზე? ახლა ხომ საფეხბურთო გუნდის კაპიტანი ხარ!

ჰეფი: შესვენებაზე გოგონები ჯგროდ დასდევენ.

ბიჭი (ვილის ხელზე ხელს ჰკიდებს): ამ შაბათს, მამა, ამ შაბათს, შენთვის მათ კარში გოლს გავიტან.

ჰეფი: ეგ შენი საქმე არაა. შენ პასების გაკეთება გევალება.

ბიჭი: შენთვის ვითამაშებ, მამა. თვალი მადევნე და როდესაც ჩაფხუტს მოვიხდი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ წინ გაჭრას ვაპირებ. ნახავ, როგორ გავარღვევ მათ დაცვას.

ვილი: (ბიჭს კოცნის) ბოსტონშიც მაგარი მოსაყოლი მექნება.

შემოდის ბერნარდი მოკლე შარვლით. იგი ბიჭზე უმცროსია. სერიოზული, მეგობრების ერთგული ბიჭია. შეშფოთებული ჩანს.

ბერნარდი: სად ხარ, ბიჭ? შენ ხომ დღეს ჩემთან ერთად უნდა გემეცადინა.

ვილი: ეი, ბერნარდ, ასეთი ფერმკრთალი რატომ ხარ?

ბერნარდი: უნდა იმეცადინოს, ვილი ბიძია! იმ კვირაში მზრუნველთა საბჭოს სხდომა გვაქვს.

პეფი (ბერნარდს აბრაზებს და ეჯაჯგუტურება): მოდი, ვიჩხუბოთ, ბერნარდ!

ბერნარდი: ბიფ! (პეფის ხელიდან უსხლტება) მომისმინე, ბიფ, მისტერ ბირნბომმა შენზე თქვა, თუ მათემატიკაში არ იმეცადინებს, ჩავჭრი და ატესტატს ვერ აიღებსო. ჩემი ყურით გავიგონე.

ვილი: აჯობებს, იმეცადინო, ბიფ. ახლავე გაპყვი ბერნარდს.

ბერნარდი: თვითონ გავიგონე!

ბიფი: მამა, ჩემი ახალი ბუცები თუ ნახე? (ფეხს მალლა სწევს)

ვილი: რა ლამაზადაა მოხატული!

ბერნარდი: (სათვალეს ინმენდს) ატესტატს ლამაზ ბუცებში არ იძლევიან, ვილი ბიძია!

ვილი: (გულმოსული) რას ლაპარაკობ! ვინ გაბედავს ბიფის ჩაჭრას, სამი უნივერსიტეტი სთავაზობს სტიპენდიას.

ბერნარდი: მაგრამ მე გავიგონე, რომ მისტერ ბირნბომმა თქვა...

ვილი: თავი ნუ მოგვაბეზრე! (შვილებს) ეს დონდლო, ესა!

ბერნარდი: კარგი. შინ დაგელოდები, ბიფ. (მიდის)

ლომენები იცინიან.

ვილი: სკოლაში ბერნარდი ალბათ არ უყვართ, არა?

ბიფი: უყვართ, მაგრამ არც ისე ძალიან.

პეფი: მართალია.

ვილი: საქმეც ეს არის. ბერნარდს შეუძლია, რომ სკოლაში ყველაზე კარგი ნიშნები მიიღოს, მაგრამ საქმიან სამყაროში ხუთი თავით გაასწრებთ, გესმით? ტყუილუბრალოდ კი არ ვემადლიერები ღმერთს, რომ აღონისის აღნაგობა გიბოძათ. ბიზნესში მთავარი გარეგნობაა, მიმზიდველობა. ეს არის წარმატების სანიხდარი. თუ მომხიბლაობა გექნებათ, არაფერი გაგიჭირდებათ. თუნდაც ჩემი მაგალითი ავიღოთ. მე კლიენტების ლოდინი არ მიხდება. „ვილი ლომენი ჩამოვიდა!“ გავარდება ხმა და ყველაფერი გრიალ-გრიალით მიდის.

ბიფი: ყველა ბეჭებზე დადე, მამა?

ვილი: ჰო, პროვიდენსში ყველა ბეჭებზე გავაკარი, ბოსტონში კი ნოკაუტში ჩავაგდე.

პეფი: (კვლავ ზურგზე წვება და ფეხებს ატრიალებს) ხომ ამჩნევ, მამა, წონაში რომ ვიკლებ?

შემოდის ლინდა, ისეთი, როგორიც იმ წლებში იყო, თმა ლენტით შეუკრავს, კალათით გარეცხილი თეთრეული მოაქვს.

ლინდა: (ახალგაზრდული ენერჯით) გამარჯობა, ძვირფასო.

ვილი: ჩემო გვრიტო!

ლინდა: ჩვენი „შევი“ როგორ იქცეოდა?

ვილი: „შევროლზე“ უკეთესი მანქანა დედამინის ზურგზე ჯერ არ შექმნილა.

ლინდა: (ბიჭებს) როდის აქეთ აქვს დედას კიბეზე თეთრეული?

ბიფი: გამოართვი, ბიჭო!

პეფი: საით წავილო, დედა?

ლინდა: თოკზე ჩამოკიდე. შენ კი, ბიფ, აჯობებს შენს მეგობრებთან ჩახვიდე. სარდაფი ბიჭებითაა სავსე. აღარ იციან, რა გააკეთონ.

ბიფი: არაფერი მოუვათ, თუ ცოტა ხანს დამელოდებიან! ბოლოს და ბოლოს მამა ჩამოვიდა!

ვილი: (კმაყოფილი ღიმილით) ჩადი და რამე საქმე დაავალე.

ბიფი: ვეტყვი, რომ საქვავ გამოასუფთაონ.

ვილი: კარგი აზრია, ბიფ.

ბიფი: (სამზარეულოს გავლით უკანა კართან მიდის და იძახის) ბიჭებო! აბა, საქვავზე გამოგავეთ, სწრაფად! მეც ახლავე ჩამოვალ.

ხმები: კარგი, ბიფ! გასაგებია!

ბიფი: ჯორჯ, სემ და ფრენკ, აქ მოდით! სარეცხი უნდა გავფინოთ. პეფი, სირბილით!

ბიფსა და პეფის კალათა მიაქვთ.

ლინდა: ერთი შეხედე, როგორ უჯერებენ!

ვილი: ეს ყველაფერი ვარჯიშის გამო ხდება, ვარჯიშის. მეც ასევე მოვიჩქაროდი შინ, თუმცა ვაჭრობა საოცრად კარგად მიდიოდა!

ლინდა: მთელი კვარტალი მისი თამაშის სანახავად მოვა. ბევრი გაყიდე?

ვილი: ხუთასი გროსი პროვიდენსში და შვიდასი ბოსტონში.

ლინდა: შეუძლებელია! მოიცა, ფანქარს ავიღებ. (წინსაფრის ჯიბიდან ფურცელსა და ფანქარს იღებს) მაშასადამე, შენი საკომისიო იქნება... ორასი დოლარი... ღმერთო ჩემო! ორას თორმეტი დოლარი!

ვილი: ჯერ ზუსტად არ დამითვლია, მაგრამ...

ლინდა: ვილი, რამდენი გაყიდე?

ვილი: ე-ე... ას ოთხმოც გროსამდე პროვიდენსში. თუმცა არა – ერთი სიტყვით, თითქმის ორასი გროსი მთელი მგზავრობის განმავლობაში.

ლინდა: (აუღელვებლად) ორასი გროსი. ეს იქნება... (ითვლის)

ვილი: უბედურება ისაა, რომ ბოსტონში სამ მალაზიაში აღწერა იყო, თორემ ყველა რეკორდს მოგხსნიდი.

ლინდა: მერე რა, ისედაც სამოცდაათი დოლარი და რამდენიმე ცენტი გამოდის. ძალიან კარგია.

ვილი: ვალი რამდენი გვაქვს?

ლინდა: პირველში მაცივრის თექვსმეტი დოლარი უნდა შევიტანოთ.

ვილი: რატომ თექვსმეტი?

ლინდა: იმიტომ, რომ ვენტილატორის ღვედი განყდა. ესეც დამატებით დოლარი და ოთხმოცი.

ვილი: ის ხომ სულ ახალი იყო!

ლინდა: ხელოსანმა თქვა, ჩვეულებრივი ამბავია, სანამ გაიმართება, ასე იცისო.

ისინი „კედლის გავლით“ სამზარეულოში გადიან.

ვილი: იმედია, მეტი არაფერი დაემართება.

ლინდა: რა ვიცი, ისე აქვს და ადიდეს...

ვილი: ჰო, მექანიზმი მართლაც კარგი აქვს.

ლინდა: ოთხმოცდაათექვსმეტი ცენტი სარეცხი მანქანისთვის. თხუთმეტში სამი და ორმოცდაათი მტვერსასრუტისთვის. შემდეგ სახურავი: კიდევ ოცდაერთი დოლარი გვმართებს.

ვილი: აღარ გასდის?

ლინდა: არა, დიდებულად შეაკეთეს. ფრენკსაც უნდა გადაუხადო კარბიურატორისთვის.

ვილი: არაფერსაც არ გადაუხდის! ნეტავ როდის აკრძალავენ ამ დანაყველილი „შევროლეს“ გამოშვებას?!

ლინდა: ესეც კიდევ სამი და ორმოცდაათი. ერ-

თი სიტყვით, თხუთმეტი რიცხვისთვის ას ოცი დოლარი უნდა შევიტანოთ.

ვილი: ას ოცი დოლარი! ღმერთო ჩემო! თუ საქმე არ გამოხსნორდა, არ ვიცი, რა გვეშველება!

ლინდა: იმ კვირაში მეტს გამოიმუშავებ.

ვილი: ჰო, მომავალ კვირას ყველას სულს ამოვხდი. ჰარტფორდში წავალ. იქაურებს ძალიან ვუყვარვარ. იცი, ლინდა, პრობლემა ისაა, რომ ხალხს გულზე არ ვეხატები.

ისინი პროსცენიუმზე გადიან.

ლინდა: კარგი რა, ნუ სულელობ!

ვილი: მე ამას ვგრძნობ. მგონი დამცინიან კიდევ.

ლინდა: რატომ? რა გჭირს დასაცინი? ასე აღარ თქვა, ვილი.

ვილი სცენის კიდეს უახლოვდება. ლინდა სამზარეულოში გადის და წინდება კემსავს.

ვილი: მიზეზი არ ვიცი, მაგრამ ზოგჯერ ყურადღებასაც არ მაქცევენ. თითქოს ვერც კი მამჩნევენ.

ლინდა: სამაგიეროდ, საქმეს შესანიშნავად უძღვები, ძვირფასო. კვირაში სამოცდათხუთმეტიდან ას დოლარამდე აკეთებ.

ვილი: ამას დღეში ათ-თორმეტ საათს ვანდომე! ზოგიერთი კი იგივეს, არ ვიცი – როგორ, მაგრამ გაცილებით იოლად აღწევს. ვერაფერი გამიგია. შესაძლოა, ეს იმის ბრალია, რომ ბევრს ვლაპარაკობ. თავს ვერ ვიკავებ. ჩემს საქმეში კი დუმილი ჯობია. თუნდაც ჩარლი ავიღოთ. ცოტას ლაპარაკობს, სამაგიეროდ, პატივს სცემენ.

ლინდა: ლაქლაქი არც შენ გიყვარს. უბრალოდ, სიცოცხლით სავსე ადამიანი ხარ.

ვილი: (ღიმილით) არაფერია, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! ცხოვრება ისე ხანმოკლეა, ორიოდ ხუმრობის თქმას თუ მოასწრებს კაცი. (თავისთვის) ძალზე ბევრს ვხუმრობ. (სახეზე ღიმილი უქრება)

ლინდა: რატომ? შენ...

ვილი: მსუქანი ვარ. სასაცილოდ გამოვიყურები, ლინდა. შენთვის ერთი ამბავი არ მომიყოლია: შობას ნაცნობ კლიენტთან, სტიუარტთან შევიარე. მასთან ნაცნობი დამხვდა, ისიც კომივოიაჟორია. არ ვიცი, ჩემზე რას უყვებოდა, მხოლოდ ერთი სიტყვა გავარჩიე – „ლომვეშაპი“. გავუქანე და სახეში ვთბლიშე: შეურაცხყოფის უფლებას არავის მივცემ, არავის! მაგრამ ისინი მაინც იცინიან ჩემზე. ეს დანამდვილებით ვიცი.

ლინდა: ჩემო კარგო...

ვილი: უნდა გადავჩვიო ამას. ვიცი, უნდა ვძლიო მათ. იქნებ ცუდად მაცვია?

ლინდა: ვილი, ძვირფასო, შენ ულამაზესი კაცი ხარ მსოფლიოში...

ვილი: კარგი რა, ლინდა.

ლინდა: შენ ჩემთვის ყველაზე ლამაზი ხარ. (ხანმოკლე პაუზა) ყველაზე.

ლინდას სიტყვებს სიბნელიდან ქალის სიცილი მოსდევს. ვილი იქით არ იყურება.

ლინდა: ბიჭებისთვისაც. გინახავს ოდესმე მამა, შვილები რომ ასე აღმერთებდნენ?

სახლის მარცხნივ, სცენის მიღმა, მუსიკის ხმა

ისმის. მოჩანს ქალის ბუნდოვანი სილუეტი. იგი იცვამს.

ვილი (გრძნობით) შენ კი ყველაზე კარგი ხარ ამქვეყნად. ნამდვილი მეგობარი. იცი? ზოგჯერ გზაში ისე მომინდება ხოლმე, რომ ხელი გტაცო და კოცნით დაგვლო...

სიცილი უფრო ხმამაღლა ისმის. ვილი სცენის მარცხენა, განათებულ ნაწილში გადის, სადაც კულისებიდან ქალი გამოდის, „სარკეში“ იყურება და ქუდს იხურავს.

ვილი: ზოგჯერ სევდა მომანვება ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ცუდად მიდის და დამლაპარაკებელიც არავინ მყავს. მეჩვენება, რომ ველარაფერს გავყიდი, საარსებო ფულს ველარ ვიშოვი, ვერც თანხას გადავდებ საკუთარი ბიზნესისა და ბიჭებისთვის.

თანდათანობით მის სიტყვებს ქალის სიცილი ახშობს, რომელიც „სარკის“ წინ კოხტაობს.

ვილი: ოჰ, როგორ მინდა, წარმატებას მივადნო.

ქალი: ჩემთან? თქვენ ჩემთვის არც გიბრძოლიათ. მე თვითონ აგირჩიეთ.

ვილი: (ნასიამოვნები) თქვენ მე ამირჩიეთ?

ქალი: (ძალიან კარგად გამოიყურება, ვილის ხნისაა) დიას. ვზივარ ყოველდღე კანტორაში და კომივოიაჟორებს შევცქერი. მათთვის ხომ დღე და ღამე არ არსებობს. მაგრამ თქვენ, ვილი, ისეთი კარგი იუმორის გრძნობა გაქვთ... ერთადაც შესანიშნავად ვატარებთ დროს, ხომ ასეა?

ვილი: ჰო, ჰო, აბა რა. (ხელებს მოხვევს) რატომ მიდიხართ?

ქალი: უკვე ორი საათია...

ვილი: არა, წამოდი! (ძალით მიჰყავს)

ქალი: ...ჩემი დები ერთ ამბავს დამანევენ. როდის ჩამოხვალთ ისევ?

ვილი: დაახლოებით ორ კვირაში. ამოხვალთ ჩემთან?

ქალი: აუცილებლად. თქვენ იმდენს მაცინებთ. სიცილი კი სასარგებლოა. (მოხვევა და კოცნის) საოცარი ადამიანი ხართ!

ვილი: მაშასადამე, თქვენ მე ამირჩიეთ, არა?

ქალი: ცხადია. ძალზე საყვარელი ხართ. და ხუმარა!

ვილი: ესე იგი, ისევ შევხვდებით, როდესაც ბოსტონში ჩამოვალ.

ქალი: ყველა მყიდველს თქვენთან გამოვგზავნი.

ვილი: (საჯდომზე ხელს წამოარტყამს) სწორია! აბა, არ მოინწყინოთ!

ქალი: (იცინის და საპასუხოდ თვითონაც მსუბუქად უთათუნებს ხელს) უთქვენოდ მოგვკვდები, ვილი!

ვილი მოულოდნელად ხელს სტაცებს და უხეშად კოცნის.

ქალი: ვკვდები. წინდებისთვის კი მაღლობა. ვგოჟდები წინდებზე. ახლა კი ღამე მშვიდობისა.

ვილი: ღამე მშვიდობისა. და ღრმად ისუნთქეთ ხოლმე.

ქალი: აჰ, ვილი!

ქალი ხმამაღლა იცინის, ამ ხმას ლინდას სიცილი ერწყმის. ქალი სიბნელეში გაუჩინარდება. ნათდება სცენის ის ნაწილი, სადაც სამზარეულოს მაგიდა დგას. ლინდა ისევ იქ ზის და წინდება კემსავს.

ლინდა: შენ ყველაზე ლამაზი კაცი ხარ. საიდან მოიტანე, რომ...

ვილი: (იქიდან ბრუნდება, სადაც ახლახან ქალი იდგა და ლინდასთან მიდის) ყველაფერს გამოვასწოვებ, ლინდა, რომ შენ...

ლინდა: არაფერი გაქვს გამოსასწორებელი, ჩემო კარგო. ყველაფერი შესანიშნავად მიგყავს, უკეთ, ვიდრე...

ვილი: (დაინახავს, რომ ცოლი კემსავს) ეს რა არის?

ლინდა: ჩემს წინდებში თვალი ამომყავს. ისეთი ძვირფასია, რომ...

ვილი: (გაბრაზებული, წინდება ხელიდან სტაცებს) უფლებას არ მოგცემ, კემსო! ახლავე გადააგდე!

ლინდა წინდება ჯიბეში მალავს. სამზარეულოში ბერნარდი შემორბის.

ბერნარდი: სად არის? თუ არ იმეცადინებს...

ვილი: (ავანსცენაზე გამოდის, გაღიზიანებული) შენ პასუხებს უკარნახებ!

ბერნარდი: მე ყოველთვის ვკარნახობ, მაგრამ იქ მზრუნველთა საბჭოს წევრები იქნებიან. ეს გამოსაშვები გამოცდაა. ამის გულისთვის, შესაძლოა, დამაპატიმრონ კიდევ.

ვილი: სად არის? გავროზგავ მაგ მამაძალღს, გავროზგავ-მეთქი!

ლინდა: ის ბურთიც დააბრუნოს, ვილი, ასე არ უნდა მოქცეულიყო.

ვილი: ბიფ! სად დაიკარგა? როგორ დაეჩვია სხვისი ნივთების აღებას!

ლინდა: გოგონებს ძალზე უხეშად ექცევა. ყველას დედა შეშინებულია.

ვილი: გავროზგავ!

ბერნარდი: მანქანა მართვის მოწმობის გარეშე დაჰყავს.

ისმის ქალის სიცილი.

ვილი: მოკეტე!

ლინდა: ყველა დედა...

ვილი: მოკეტე!

ბერნარდი: (შიშით უკან იხევს) მისტერ ბირნბომი ამბობს, ძალზე გაყოყნიდაო.

ვილი: აქედან დაიკარგე!

ბერნარდი: თუ ბიფი მეცადინეობას არ შეუდგება, მათემატიკაში ჩაიჭრება. (მიდის)

ლინდა: ბერნარდი მართალია, ვილი, შენ უნდა...

ვილი: (ფეთქდება) რას გადაეკიდეთ ამ ბიჭს! გინდა, რომ ბერნარდით ჭიანი იყოს? იგი პიროვნებაა, სხვებს არ ჰგავს.

ლინდა ცრემლებს ძლივს იკავებს და სასტუმრო ოთახში გადის. ვილი სამზარეულოში მარტო რჩება. მხრებში მოხრილი სიბნელეს ჩაშტერებია. სახ-

ლის ირგვლივ ფოთლები აღარ ჩანს. კვლავ ღამეა და უზარმაზარი საცხოვრებელი კორპუსები მონიწივად პოზიციებს იკავებენ.

ვილი: დატანჯეს ბიჭი! აღარ ასვენებენ! განა იპარავს? მერე ხომ უკან აბრუნებს. რატომ იპარავს? მე რას ვეუბნებოდი? მთელი ცხოვრება მხოლოდ კარგს ვასწავლიდი.

პიჟამიანი ჰეფი კიბეზე ჩამოდის. ვილი ხედავს მას.

ჰეფი: გეყოფა აქ მარტო ჯდომა. წავიდეთ.

ვილი: (მაგიდას მიუჯდება) ღმერთო ჩემო! რატომ ხეხავს იატაკს? იატაკის მოხეხვის შემდეგ ერთიანად გასაავათებელია ხოლმე. თანაც იცის, რომ მისთვის არ შეიძლება!

ჰეფი: ჩუ-უ. დანყნარდი. რატომ დაბრუნდი?

ვილი: შემეშინდა. იონკერსში კინალამ ბავშვი გავიტანე. ღმერთო ჩემო! წავსულიყავი მაშინ ალასკაზე ჩემს ძმასთან, ბენტან ერთად. ბენი! ნამდვილი გენიოსი იყო, ხორცშესხმული იღბალი! დიდი შეცდომა დავუშვი! არადა, როგორ მეხვეწებოდა, წამოდიო.

ჰეფი: ახლა გვიანია ამაზე ლაპარაკი.

ვილი: ეჰ, ბიჭებო! ეს იყო კაცი, რომელმაც ჯიბეგაფხვილი დაიწყო ცხოვრება და ალმასის საბადოებით დაამთავრა!

ჰეფი: საინტერესოა, ამდენს როგორ მიაღწია.

ვილი: მაგას რა დიდი ახსნა სჭირდება. კაცმა იცოდა, რაც უნდოდა და თავისი გაიტანა. ოცდაერთი წლის იყო ბენი, როდესაც ჯუნგლში დურთა თავი, იქიდან კი გამდიდრებული გამოვიდა. ცხოვრება კერკეტი კაკალია და რბილ მატრასზე კოტრილით მას ვერაფერს დააკლებ.

ჰეფი: მამა, მინდა, რომ სამსახურს თავი დაანებო!

ვილი: მერე ვინ შემინახავს? შენ ხომ არა? კვირაში სამოცდაათი დოლარით? მერე შენი ქალები, მანქანა და ბინა? მათაც ის სამოცდაათი დოლარი განვდება? ღმერთო ჩემო, დღეს იონკერსში ვერ ჩავედი! სად ხართ, ბიჭებო, სად? მომეხმარეთ! მანქანას ველარ ვატარებ!

კარებში ჩარლი გამოჩნდება. ზორბა კაცია, ჯიუტი და სიტყვაძუნწი, ნელა მეტყველებს. ვილისთვის ნათქვამ მის სიტყვებში ღრმა სიბრალული იგრძნობა, რომელსაც ამჯერად სულიერი მღელვარებაც ემატება. პიჟამაზე ხალათი მოუსხამს, საშინაო ფეხსაცმელები აცვია.

ჩარლი: (შემოდის) ხომ კარგად ხართ?

ჰეფი: დიას, ჩარლი, თითქოს ყველაფერი კარგადაა.

ვილი: რა მოხდა?

ჩარლი: ხმაური შემომესმა. ვიფიქრე, რამე ხომ არ შეემთხვათ-მეთქი. სულ ამ დანყველილი კედლების ბრალია! ნუთუ არაფრის გაკეთება არ შეიძლება? საკმარისია, აქ რომელიმე თქვენგანმა დააცემინოს, რომ ჩემს ოთახში თავიდან ქუდი მძვრება.

ჰეფი: წავიდეთ, მამა, დავიძინოთ.

ჩარლი ჰეფის ანიშნებს, ვილისთან მარტო დამტოვებო.

ვილი: შენ წადი. მე არ დავლილვარ.
ჰეფი: (ვილის) დამშვიდდი, მამა, კარგი? (მიდის)

ვილი: შენ რატომღა არ გძინავს?
ჩარლი: (მაგიდასთან, ვილის მოპირდაპირე მხარეს ჯდება) ვერ ვიძინებ. კუჭის წვა მან უხებს.

ვილი: იმიტომ, რომ ყველაფერს პირში იყრი.
ჩარლი: იმას ვჭამ, რაც მომწონს.

ვილი: ეჰ, ჩამორჩი ცხოვრებას! ალბათ, არაფერი გაგიგია ვიტამინებისა და მისთანების შესახებ.

ჩარლი: მოდი, ვითამაშოთ, იქნებ ძილი მოვიტყუოთ.

ვილი: (ყოყმანით) კარგი. კარტი გაქვს?
ჩარლი: (ჯიბიდან კარტს იღებს) აბა რა. ყოველთვის თან დამაქვს. ვიტამინებზე რას ამბობდი?

ვილი: (კარტს არიგებს) ძვლებს ამაგრებს. ეს ქიმიია!

ჩარლი: სად ძვლები და სად კუჭის წვა.
ვილი: რას მიედ-მოედები? კაცი ვერაფერს შეგაგნებინებს.

ჩარლი: შეურაცხყოფას ნუ მაყენებ.
ვილი: ჰოდა, რაც არ იცი, იმაზე ნუ ლაპარაკობ.

თამაშობენ. პაუზა.

ჩარლი: სახლში რატომ ხარ?
ვილი: მანქანას რალაც გაუფუჭდა.

ჩარლი: ჰო-ო! (პაუზა) სიამოვნებით გავემგზავრებოდი კალიფორნიაში.

ვილი: რა გეტაკა?
ჩარლი: თუ გინდა, სამუშაოს მოგცემ.

ვილი: მე მაქვს სამუშაო, უკვე მეათასედ გიმეორებ. (ხანმოკლე პაუზა) რა ჯანდაბად მტენი შენს სამუშაოს?

ჩარლი: შეურაცხყოფას ნუ მაყენებ-მეთქი.
ვილი: მაშინ ნუ მაბრაზებ.

ჩარლი: ვერ გამოგია, რატომ ჩააცვიდი. არ მესმის, თავს რატომ იტანჯავ.

ვილი: მე კარგი სამუშაო მაქვს. (კვლავ ხანმოკლე პაუზა) ამის სათქმელად მოხვედი?

ჩარლი: გინდა, რომ წავიდე?
ვილი: (პაუზის შემდეგ, უხალისოდ) ვერაფრით მივმხვდარვარ, რატომ ბრუნდება ტეხასში. რა ჯანდაბა უნდა იქ?

ჩარლი: გაუშვი, წავიდეს.
ვილი: ვერაფერს მივცემ, ჩარლი, არაფერი მბადია.

ჩარლი: არაფერია, არ მოკვდება. შიმშილით ჩვენთან არავინ კვდება. დაივინყე.

ვილი: აბა, რა მახსოვდეს?
ჩარლი: შენ ამას ძალიან განიცდი. ჯანდაბას ყველაფერი! გაბზარულ ბოთლში არაფერს იძლევიან.

ვილი: შენთვის ადვილია ასე ლაპარაკი.
ჩარლი: არ არის ადვილი.

ვილი: ჩემი გაკეთებული ჭერი თუ ნახე სასტუმრო ოთახში?
ჩარლი: კი, მაგარი ნამუშევარია! მე არაფერი გამომივიდოდა. მომიყუვი, როგორ მოახერხე.

ვილი: რატომ?
ჩარლი: ისე, მაინტერესებს.

ვილი: შენც ხომ არ აპირებ ახალი ჭერის გაკეთებას?
ჩარლი: მაგას რა შემადლებინებს.

ვილი: აბა, რაღას ჩამაცივდი?

ჩარლი: კვლავ შეურაცხყოფას მაყენებ.
ვილი: ადამიანი, რომელიც უმარტივეს ინსტრუმენტს ვერაფერს გაუგებს, ადამიანი არ არის. მეზიზღები კიდეც!

ჩარლი: ნუ მეუბნები, რომ გეზიზღები, ვილი.

სახლის მარჯვენა კუთხიდან ავანსცენაზე ბენი გამოდის ქოლგითა და ჩემოდნით. ფლეგმატური, სამოც წელს გადაცილებული ულვაშიანი მამაკაცია მბრძანებლური იერით. იგი მტკიცედაა დარწმუნებული თავის დანიშნულებაში. გარს შორეული მოგზაურობების აურა აკრავს.

ვილი: საშინლად დავილაღე, ბენ.

ისმის ბენის მუსიკა. ბენი მიიხედ-მოიხედავს.

ჩარლი: მიდი, ითამაშე, უკეთ დაგეძინება. ბენი რატომ დამიძახე?

ბენი საათს დაჰყურებს.

ვილი: სასაცილოა. მოულოდნელად ჩემი ძმა, ბენი გამახსენე.

ბენი: მე მხოლოდ რამდენიმე წუთი მაქვს. (აქეთ-იქით დადის და ყველაფერს ათვალიერებს)

ვილი და ჩარლი თამაშს განაგრძობენ.

ჩარლი: მას შემდეგ მის შესახებ აღარაფერი გაგიგია?

ვილი: ლინდას შენთვის არაფერი უთქვამს? რამდენიმე კვირის წინ მისი ცოლისგან წერილი მივიღეთ. აფრიკიდან. გარდაცვლილა.

ჩარლი: მართლა?
ბენი: (ხიზხითით) აი, თურმე როგორი ყოფილა თქვენი ბრუკლინი!

ჩარლი: იქნებ ცოტაოდენი ფული მაინც გერგოთ.
ვილი: რას ამბობ! შვიდი ვაჟი ჰყავდა. მასთან ერთი შანსი მქონდა და ისიც ხელიდან გავუშვი.

ბენი: მატარებელზე მაგვიანდება, უილიამ. ალასკაზე რაღაც უძრავ ქონებას უნდა შევავლოთ თვალი.

ვილი: დარწმუნებული ვარ, მაშინ რომ მასთან ერთად ალასკაზე წავსულიყავი, ყველაფერი სხვა-ნაირად იქნებოდა.

ჩარლი: კარგი რა, იქ სიცოცხისგან გაიყინებოდი.
ვილი: შენ არაფერი გესმის!

ბენი: ალასკაზე გამდიდრების არნახული შესაძლებლობებია, უილიამ. მიკვირს, უკვე იქ რომ არა ხარ.

ვილი: არნახული შესაძლებლობები.
ჩარლი: რა თქვი?

ვილი: ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც წარმატების საიდუმლო იცოდა.
ჩარლი: ვინ?

ბენი: როგორ ხართ აქ?
ვილი: (ბანკიდან ფულს იღებს და იღიმება) კარგია. ძალიან კარგია.

ჩარლი: დღეს კარგ ფორმაში ხარ.
ბენი: დედა შენთან ერთად ცხოვრობს?

ვილი: არა, დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა.
ჩარლი: ვინ?

ბენი: რა სამწუხაროა. დედა ღირსეული ქალი იყო.

ვილი: (ჩარლის) რა მკითხე?

ბენი: მე კი იმედი მქონდა, რომ მოხუცს ვნახავდი.

ჩარლი: ვინ მოკვდა?

ბენი: მამისგან ხომ არ გსმენია რამე?

ვილი (დაბნეულად): როგორ თუ ვინ მოკვდა?

ჩარლი (მოგებული თანხა მიაქვს): რის შესახებ ლაპარაკობ?

ბენი: (საათს დასცქერის) უილიამ, უკვე ცხრის ნახევარია!

ვილი: (სურს, დაბნეულობას სძლიოს და გაბრაზებული ჩარლის სტაცებს ხელს) ეს კარტი მე ნავიყვანე!

ჩარლი: მე ტუზს ჩამოვედი...

ვილი: თუ თამაში არ იცი, სულაც არ ვაპირებ ფულის გადაყრას!

ჩარლი: (დგება) ღმერთო ჩემო, ტუზი ხომ ჩემი იყო!

ვილი: დავიღალე! ყელში ამომივიდა შენთან თამაში!

ბენი: დედა როდის მოკვდა?

ვილი: დიდი ხანია. რით ველარ ისწავლე კარტის თამაში?

ჩარლი: (კარტს შეაგროვებს და კარისკენ მიემართება) კარგი. შემდეგ ჯერზე ხუთტუზიან დასტას მოვიტან.

ვილი: გინდა თქვა, რომ ვთაღლითობ?

ჩარლი: (მისკენ შემოტრიალდება) უნდა გრცხვენოდეს!

ვილი: მართლა?

ჩარლი: მართლა! (მიდის)

ვილი: (კარს ხმაურით მიხურავს) უმცირების განსახიერება!

ბენი: (ვილის, რომელიც მასთან სამზარეულოს კუთხის გავლით მიდის) ეს შენ ხარ, უილიამ?

ვილი (ხელს ართმევს): ბენ! რამდენი ხანია, გელოდები. რაში მდგომარეობს საიდუმლო? როგორ მიაღწიე წარმატებას?

ბენი: ეს გრძელი ამბავია.

ავანსცენაზე ახალგაზრდა ლინდა გამოდის, თეთრეულით სავსე კალათა მოაქვს.

ლინდა: ბენი, არა?

ბენი: (თავაზიანად) როგორ ხარ, ჩემო კარგო?

ლინდა: რამდენი წელია, არ გამოჩენილხარ! ვილის ყოველთვის უკვირდა, რომ...

ვილი (ბენს მოუთმენლად ჰკიდებს ხელს და გვერდზე გაჰყავს): მამა სად არის? შენ ხომ მასთან ნახვედი? რით დაიწყე?

ბენი: არ ვიცი, გახსოვს თუ არა ყველაფერი.

ვილი: მართალია, პატარა ბავშვი ვიყავი, სამი-ოდე წლის.

ბენი: სამი წლის და თერთმეტი თვის.

ვილი: აი, მესმის მეხსიერება, ბენ!

ბენი: ბევრი სანარმო მაქვს, მაგრამ ერთი საბუღალტრო დავთარიც კი არ გამაჩნია.

ვილი: მახსოვს, ფურგონის ქვეშ ვიჯექი. ეს ნებრასკაში იყო, არა?

ბენი: სამხრეთ დაკოტაში. მინდვრის ყვავილების თაიგული მოგიტანე.

ვილი: ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ მოუყვებოდი უკაცრიელ გზას.

ბენი (სიცილით): ალასკაზე მამის მოსაძებნად წავედი.

ვილი: ახლა სად არის?

ბენი: იმ წლებში გეოგრაფიაზე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა. რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდი, რომ ჩრდილოეთის ნაცვლად სამხრეთისკენ მივდიოდი და ალასკის მაგივრად აფრიკაში ამოვყავი თავი.

ლინდა: აფრიკაში?

ვილი: ოქროს სანაპიროზე?

ბენი: ალმასის საბადოებზე.

ლინდა: ალმასის საბადოებზე?!

ბენი: დიას, ძვირფასო. მაგრამ მე მხოლოდ რამდენიმე წუთი მაქვს.

ვილი: არა! არა! ბიჭებო! ბიჭებო! შემოდიან ბიფი და ჰეფი: ისინი მოზარდები არიან.

ვილი: ყურადღება! ეს ჩვენი ბიძია ბენია! არაჩვეულებრივი ადამიანი! მოუყევი ბიჭებს, ბენ!

ბენი: კარგი, ბიჭებო, მომისმინეთ. როდესაც ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ჯუნგლში შევედი, იქიდან კი ოცდაერთი წლისა გამოვედი. (იცინის) და, ღვთის ნყალობით — გამდიდრებული!

ვილი (ბიჭებს): ახლა ხომ ხვდებით, რასაც სულ ჩაგჩინებდით? ადამიანს, შესაძლოა, ბედმა საოცრად გაუღიმოს!

ბენი (საათს შეხედავს): ხუთშაბათს კეტჩიკანში საქმიანი შეხვედრა მაქვს დანიშნული.

ვილი: მოიცა, ბენ! მამის შესახებ მოყევი. ბიჭებმა თავიანთი წინაპრების შესახებაც უნდა იცოდნენ. მხოლოდ ის მახსოვს, რომ დიდი წვერი მქონდა. მე კი ვიჯექი კოცონთან დედის კალთაში და უცნაურ მუსიკას ვუსმენდი.

ბენი: ეს ფლეიტა იყო. მამა ფლეიტაზე უკრავდა.

ვილი: რასაკვირველია, ფლეიტა იყო. გამახსენდა!

კვლავ ისმის მუსიკის ხმა — ეს მხიარული მელოდიაა, რომელშიც მალალი ნოტები ჭარბობს.

ბენი: მამა დიდი და დაუცხრომელი სულის მქონე კაცი იყო. ჩაგვსვამდა ბოსტონში ფურგონში ოჯახის წევრებს და მთელ ქვეყანას მოივლიდა — ოჰაიოს, ინდიანას, მიჩიგანს, ილინოისს, დასავლეთის ყველა შტატს. ქალაქებში ვჩერდებოდით და ფლეიტებს ვყიდდით, რომლებსაც გზაში აკეთებდა. დიდებული გამომგონებელი იყო. ერთი პატარა გამოგონებით კვირაში იმდენ ფულს აკეთებდა, რასაც სხვა მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ გამოიმუშავებდა.

ვილი: მეც ასე ვზრდი ჩემს ბიჭებს, ბენ. ღონიერებს, მომხიბვლელებს, ყველაფრის მცოდნეებს.

ბენი: მართლა? (ბიფს) აბა, ერთი დამარტყი, ბიჭო. მთელი ძალით! (თავის მუცელზე უთითებს)

ბიფი: რას ამბობთ, სერ!

ბენი (მოკრივის პოზაში დგება): აბა, ჰე, დამარტყი! (იცინის)

ვილი: მიდი, ბიფ! უჩვენე, რა შეგიძლია!

ბიფი: კარგი! (ხელს მომუშტავს და შეტევაზე გადადის)

ლინდა: (ვილის) ძვირფასო, ჩხუბი აუცილებელია?

ბენი (დარტყმებს იგერიებს) ყოჩაღ! მაგარია!

ვილი: რას იტყვი, ბენ, როგორია?

ჰეფი: მარცხიდან მოსდევ, ბიფ!

ლინდა: რატომ ჩხუბობთ?

ბენი: ყოჩალი ყოფილხარ! (უეცრად ბიფს ფეხს დაუდებს, წააქცევს, თავზე დაადგება და ქოლგის წვერს თვალში დაუმიზნებს.)

ლინდა: ფრთხილად, ბიფ!

ბიფი: ვაიმე!

ბენი: (ბიფს მუხლზე ხელს უთათუნებს) არასოდეს ეჩსუბო პატიოსნად უცნობ მოწინააღმდეგეს, ჩემო ბიჭუნი. თორემ ჯუნგლს თავს ვერ დააღწევ. (ლინდას ხელზე ხელს ჰკიდებს და თავს უკრავს) გულწრფელად მიხარია, რომ გაგიცანით. ჩემთვის ეს დიდი პატივია.

ლინდა (შეშინებული ხელს ცივად გამოსტაცებს): ბედნიერად გემგზავროთ.

ბენი: (ვილის) წარმატებას გისურვებ... ჰო, მართლა, რას საქმიანობ?

ვილი: კომივიოიაჟორი ვარ.

ბენი: ოჰო! აბა, კარგად... (გამოსამშვიდობებლად ხელს აქნევს)

ვილი: არა, ბენ, არ მინდა იფიქრო, რომ... (ხელზე ექაჩება) მართალია, ეს ბრუკლინია, მაგრამ სანადიროდ ჩვენც დავდივართ!

ბენი: რას მეუბნები!

ვილი: ჰო, ამ ადგილებში გველებიც იცის და კურდღლებიც. ამიტომაც დავსახლდი აქ. ბიფს კი, თუ მოინდომა, ნებისმიერი ხის მოჭრა შეუძლია. ბიჭებო! მიდით მშენებარე დიდ სახლთან და ცოტა ქვიშა წამოიღეთ. ჩვენი ვერანდა გადავაკეთოთ. შენ მხოლოდ უყურე, ბენ!

ბიფი: არის, სერ! აბა, ჰეფი, სირბილით!

ჰეფი (ბიფთან ერთად გარბის): წონაში ხომ ვიკლებ, მამა?

შემოდის ჩარლი, მოკლე შარვალი აცვია.

ჩარლი: მომისმინე, თუ ისინი კიდევ მოიპარავენ რამეს მშენებლობიდან, დარაჯი პოლიციას გამოუძახებს.

ლინდა: (ვილის) აუკრძალე ბიფს...

ბენს სიცილისგან ტანი უცახცახებს.

ვილი: უნდა გენახა, რამდენი ფიცარი მოზიდეს გასულ კვირას. ათი-თორმეტი მაინც იქნებოდა. რომ მეყიდა, გვარიანი თანხა დამიჯდებოდა.

ჩარლი: მაგრამ თუ დარაჯი...

ვილი: ცხადია, გვარიანად შევახურე. მაგრამ ხომ ხვდები, როგორი უშიშრები არიან?

ჩარლი: საპატიმროები სწორედ ასეთი უშიშარი ბიჭებითაა სავსე.

ბენი: (ვილის მხარზე ხელს დაჰკრავს და ჩარლის დასცინის) და ბირჟაც!

ვილი: (ბენს სიცილში მხარს აუბამს) შარვალი ვინ დაგიკორტნა, ჩარლი?

ჩარლი: ცოლმა მიყიდა ასეთი მოკლე.

ვილი: მაშინ აიღე გოლფის სათამაშო ყვანჭი და დასაძინებლად წადი. (ბენს) ნამდვილი ოქროს ხელები აქვს – არც მას და არც მის ვაჟიშვილს ლურსმნის ჩაჭედებაც კი არ შეუძლიათ.

შემორბის ბერნარდი.

ბერნარდი: ბიფს დარაჯი მოსდევს.

ვილი: (გაბრაზებით) გაჩუმდი! მას არაფერი მოუპარავს!

ლინდა: (შენუხებული მარცხნივ გარბის) სად არის? ბიფ, ძვირფასო! (გადის)

ვილი (მარცხნივ მიდის, ბენისგან მოშორებით): საშიში არაფერია.

ბენი: ფიცხი ბიჭია. კარგია!

ვილი: (სიცილით) ოჰ, ჩემს ბიფს რკინის ნერვები აქვს!

ჩარლი: ვერ გამოგია, რა ხდება!.. ჩემი კაცი ახალი ინგლისიდან ნაცემი ძალღივით დაბრუნდა. ლამის ხელში შეიკლეს.

ვილი: მთავარი პირადი ურთიერთობებია, ჩარლი! მე, მაგალითად, ყველგან მაქვს კავშირები.

ჩარლი: (გესლიანად) მიხარია, ეს რომ მესმის. მოგვიანებით შემომიარე, პატარა კაზინო მოვანყოთ. შემოსავლის ნაწილს წაგართმევ. (სიცილით გადის)

ვილი (ბენისკენ ტრიალდება): საქმე ძალიან ცუდად მიდის. ჩაკვდა ყველაფერი. ცხადია, ეს მე არ მეხება.

ბენი: აქეთობას შემოგივლი.

ვილი (სევდიანად): იქნებ რამდენიმე დღე მოგეცადა? ძალიან მჭირდება, ბენ. მართალია, არაფერი მიჭირს, მაგრამ მამა რომ წავიდა, ბავშვი ვიყავი და წესიერად ერთხელაც არ დავლაპარაკებოვარ. ამ ცხოვრებაში თავს დროებითი მდგმურივით ვგრძნობ.

ბენი: მატარებელზე დამაგვიანდება.

ისინი სცენის მოპირდაპირე კუთხეებში დგანან.

ვილი: ბენ, ჩემი ბიჭები – იქნებ კიდევ გველაპარაკა. ვიცი, რომ ისინი ჩემი გულისთვის ცეცხლსაც არ შეუშინდებიან, მაგრამ მე...

ბენი: დამიჯერე, უილიამ, შვილებს შესანიშნავად ზრდი. არაჩვეულებრივი ბიჭები არიან, ნამდვილი კაცები.

ვილი (მის ყოველ სიტყვას ხარბად ყლაპავს): აჰ, ბენ, როგორ მიხარია, ეს რომ მესმის! თორემ ზოგჯერ შიში მიპყრობს – იქნებ იმას არ ვასწავლი, რაც საჭიროა-მეთქი. მირჩიე, ბენ, რა ვასწავლო.

ბენი: (ყოველ სიტყვას საზგასმით, ერთგვარი ბინიერი გამბედაობით წარმოთქვამს) უილიამ, როდესაც ჯუნგლში შევედი, მხოლოდ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, იქიდან გამოსულს კი ოცდაერთი წელიც არ შემსრულებოდა. მაგრამ, ღვთის წყალობით – უკვე მდიდარი ვიყავი! (სახლის ბნელ კუთხეში გაუჩინარდება)

ვილი: მდიდარი!.. სწორედ ეს მინდა, მათ ჩავაგონო. ნუ გეშინიათ ჯუნგლში შესვლისა! მამ, მართალი ვყოფილვარ! მართალი ვყოფილვარ! მართალი!

ბენი იქ აღარაა, მაგრამ ვილი კვლავ ელაპარაკება მას. სამზარეულოში ღამის პერანგზე ხალათ-მოსხმული ლინდა შემოდის – იგი ვილის ეძებს. კართან მიდის და ეზოში იხედება. ქმარი თვალს მოჰკრავს.

ლინდა: ვილი, ძვირფასო! ვილი!

ვილი: მართალი ვიყავი!

ლინდა: ჭამე ყველი?

ვილის პასუხის გაცემის თავი არა აქვს.

ლინდა: უკვე ძალიან გვიანაა. წავიდეთ, დავნვეთ, ჩემო კარგო, კარგი?

ვილი (თავანუელი ცას შესცქერის): კისერი გა-
გიშეშდება კაცს, სანამ ამ ეზოს თავზე ერთ ვარ-
სკვლავს მაინც დაინახავ.

ლინდა: არ მოდიხარ?

ვილი: სად გაქრა ის აღმასის საათის ძენკვი?
ხომ გახსოვს, ბენმა აფრიკიდან რომ ჩამოიტანა?
განა არ მაჩუქა აღმასის საათის ძენკვი?

ლინდა: დააგირავე, ჩემო კარგო. თორმეტი თუ
ცამეტი წლის წინ. ბიფის დაუსწრებელ რადიო-
კურსებზე სწავლის საფასური უნდა გადაგვეხადა.

ვილი: ღმერთო ჩემო, რა ლამაზი ნივთი იყო! წა-
ვალ, გავისეირნებ.

ლინდა: შენ ხომ საშინაო ფეხსაცმელები გაც-
ვია!

ვილი: (სახლს მარცხნიდან უვლის) მართალი
ვიყავი! მართალი! (თავის ქნევით მიდის და სანა-
ხევროდ ლინდას მიმართავს) რა კაცია! მხოლოდ
მასთან ღირდა ლაპარაკი. მართალი ვიყავი!

ლინდა (გასძახის): საშინაო ფეხსაცმელები გაც-
ვია, ვილი!

ვილი თითქმის აღარ ჩანს. კიბეზე პიუჟამიანი ბი-
ფი ჩამოდის და სამზარეულოში შედის.

ბიფი: იქ რას აკეთებს?

ლინდა: ჩუ-უ.

ბიფი: ღმერთო ჩემო! დედა, დიდი ხანია, ასე იქ-
ცევა?

ლინდა: ჩუმად, გაიგონებს.

ბიფი: რა ჯანდაბა დაემართა?

ლინდა: დილისთვის გაუვლის.

ბიფი: ნუთუ არაფრის გაკეთება არ შეიძლება?

ლინდა: ეჰ, ჩემო კარგო, შენ ბევრი რამე გაქვს
გასაკეთებელი, მაგრამ აქ ვერაფერს გავანყობთ.
აჯობებს, დასაძინებლად წახვიდე.

ზემოდან ჰეფი ეშვება და კიბის საფეხურზე
ჯდება.

ჰეფი: დედა, პირველად მესმის, რომ საკუთარ
თავს ასე ხმამაღლა ელაპარაკებოდეს.

ლინდა: უფრო ხშირად მოდი და გაიგონებ. (მა-
გიდასთან ჯდება და ვილის პიჯაკზე სარჩულს კე-
რავს)

ბიფი: რატომ არ მომწერე ამის შესახებ?

ლინდა: როგორ მომწერა? სამ თვეზე მეტხანს
უმისამართოდ იყავი.

ბიფი: მართალი ხარ, ადგილს ხშირად ვიცვლი-
დი, მაგრამ, რომ იცოდე, სულ შენზე ვფიქრობდი.
ხომ გჯერა, ჩემო მეგობარო?

ლინდა: მჯერა, საყვარელო, მჯერა. მამაშენს
ძალიან უყვარს წერილების მიღება. მაშინ მასაც
სჯერა, რომ ყველანი უკეთ ვიქნებით.

ბიფი: მაგრამ ის ხომ ყოველთვის ასეთი არაა,
დედა?

ლინდა: როცა შენ ჩამოდიხარ, ყოველთვის ცუ-
დად ხდება.

ბიფი: როცა მე ჩამოვდივარ?

ლინდა: როცა იწერები, რომ მალე ჩამოხვალ,
სახე სულ უღიმის და მომავალზე ლაპარაკობს –
მის დანახვას არაფერი სჯობს! რაც უფრო ახლოვ-
დება შენი ჩამოსვლის დრო, უფრო წერვიული ხდე-
ბა. და როცა აქ ხარ, გამუდმებით გეკამათება და
გიბრაზდება. ალბათ იმიტომ, რომ შენთვის გულის
გადაშლას ვერ ახერხებს. რატომ არ უთმობთ ერ-
თმანეთს? რატომ?

ბიფი: (ორჭოფულად) განა მე არ ვუთმობ?

ლინდა: საკმარისია, სახლში შემოხვიდე, რომ
მაშინვე ერთმანეთს უღრნეთ!

ბიფი: არ ვიცი, ასე რატომ ხდება. მე ხომ მინდა,
რომ შევიცვალო, ვცდილობ, დედა, ხომ გესმის?

ლინდა: საბოლოოდ დაბრუნდი?

ბიფი: არ ვიცი. ჯერ მივიხედ-მივიხედავ...

ლინდა: ამ მიხედვა-მოხედვაში მთელი ცხოვრე-
ბა გადის!

ბიფი: ვერაფერს ჩავეჭიდე, დედა. ჩემი გზა ვერ
ვიპოვე.

ლინდა: ადამიანი ჩიტი არ არის, რომ გაფრინ-
დეს და გაზაფხულზე უკან დაბრუნდეს!

ბიფი: შენი თმა... (ხელით ეხება) სულ გაგჭალა-
რავებია.

ლინდა: ღმერთო ჩემო! თმა ჯერ კიდევ მაშინ
გამიჭალარავდა, როცა სკოლაში დადიოდი! უბრა-
ლოდ, აღარ ვიღებავ და ეგაა.

ბიფი: ისევ შეიღებე, კარგი? არ მინდა, რომ ჩე-
მი მეგობარი დამიბერდეს. (ელიმება)

ლინდა: ჯერ ისევ ბავშვი ხარ! გგონია, რომ შე-
გიძლია წლობით გადაიკარგო, აქ კი ყველაფერი
ძველებურად იქნება. ერთხელაც იქნება, დაბრუნ-
დები, დააკაკუნებ და კარს უცხო ხალხი გაგიღებს.

ბიფი: ასე ნუ ამბობ! შენ ხომ ჯერ სამოციასაც არ
ხარ, დედა.

ლინდა: მამა?

ბიფი: (ყოყმანით) მე მასაც ვგულისხმობდი.

ჰეფი: ის მამას აღმერთებს.

ლინდა: ბიფ, ძვირფასო, თუ ის არ გიყვარს, გა-
მოდის, რომ არც მე გყვარებვიარ.

ბიფი: მე შენ ძალიან მიყვარხარ, დედა.

ლინდა: არა. შენ მხოლოდ ჩემს სანახავად ვე-
ლარ ჩამოხვალ, იმიტომ, რომ მე ის მიყვარს. (ხმა
სულ ოდნავ აუკანკალდება) ის ჩემთვის ყველაზე
ძვირფასია ამქვეყნიურს და არ დაუშვებ, რომ თავი
არასასურველ, დამცირებულ, უბედურ ადამიანად
იგრძნოს. ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტე,
რის აპირებ. თავს ველარ დაიძვრენ. ან მამაშენს
სათანადო პატივს სცემ, ან წახვალ და აღარ დაბ-
რუნდები! ვიცი, რომ მასთან ურთიერთობა ადვი-
ლი არაა – ჩემზე კარგად მას ვინ იცნობს? მაგრამ...

ვილი: (მარცხნიდან, სიცილით) ეი, ბიფ!

ბიფი: (დგება, რათა მასთან წავიდეს) რა ემარ-
თება?

ჰეფი არ უშვებს.

ლინდა: არ გაბედო! არ გაბედო მასთან მისვლა!

ბიფი: შენ კი ნუ იცავ! ყოველთვის იატაკის სან-
მენდი ტილოსავით გიყენებდა. არაფრად გაგაღებ-
და!

ჰეფი: ის დედას ყოველთვის პატივისცემით ეპყ-
რობოდა.

ბიფი: შენ რა გესმის!

ჰეფი: (ცივად) არ გაბედო და გიჟი არ უნოდო!

ბიფი: უნებისყოფა – ჩარლი ასე არასდროს
მოიქცეოდა. თანაც საკუთარ სახლში: ყველაფერი
ამოანთხიო, რაც შიგნით გაქვს?!

ჰეფი: ჩარლის იმდენი არ გადაუტანია, რამდე-
ნიც მამამ გადაიტანა.

ბიფი: ბევრი ადამიანი ვილი ლომენზე დიდ გა-
საჭირში ჩავარდნილა. დამიჯერე. საკუთარი თვა-
ლით მინახავს.

ლინდა: შენც ადექი და ჩარლის დაუძახე მამა.
არ შეგიძლია, არა? მე არ ვამბობ, რომ მამაშენი
უდიდესი ადამიანია. ვილი ლომენს დიდი ფული
არ უშოვია. მისი სახელი გაზეთებში არასდროს
მოხვედრილა. არც საუკეთესო ხასიათით გამოირ-
ჩევა. მაგრამ ის ადამიანია და ახლა რაღაც საშინე-

ლება ემართება. მეტი გულისხმიერება გვმართებს. არ შეიძლება, რომ ბებერი, ყველასთვის უსარგებლო ძალღვივით საფლავში ჩავდეთ. ასეთ ადამიანს მეტი ყურადღება სჭირდება, გესმის? შენ კი მას გიჟი უნოდე.

ბიფი: მე ეს არ მიგულისხმია...

ლინდა: არა, ბებერი ფიქრობს, რომ ჭკუაზე შეიშალა. მაგრამ აქ დიდი მიხვედრილობა საჭირო არ არის. იგი უბრალოდ ძალიან გადაიღალა.

ჰეფი: მართალია!

ლინდა: პატარა ადამიანიც ისევე შეიძლება დაიქანცოს, როგორც დიდი. მარტში ოცდათექვსმეტი წელი შესრულდება, რაც ამ ფირმაში მუშაობს. ვინ მოთვლის, რამდენი ახალი ბაზარი აღმოუჩენია მათი საქონლისთვის, მაგრამ როცა მოხუცდა, ხელფასი წაართვეს.

ჰეფი (აღშფოთებით): რა თქვი? მე ეს არ ვიცოდი.

ლინდა: შენ ხომ არც კი დაინტერესებულხარ, ჩემო კარგო. ახლა ჯიბის ფულს სხვაგან შოულობ და მამაშენის მდგომარეობა რატომ უნდა გალელვებდეს?

ჰეფი: ფული ხომ მოგეცით?

ლინდა: საშობაოდ? კი, ორმოცდაათი დოლარი. ცხელი წყლის გაყვანა კი ოთხმოცდაჩვიდმეტი და ორმოცდაათი დაჯდა. უკვე ხუთი კვირაა, რაც მამაშენი მხოლოდ საკომისიოს ლებულობს ქუჩიდან აყვანილი ახალბედისავე!

ბიფი: უმადური არამზადები!

ლინდა: განა მის საკუთარ შვილებზე უარესები არიან? სანამ ახალგაზრდა იყო და პატრონისთვის მოგება მოჰქონდა, იგი მას აფასებდა. მისი მეგობრები, ძველი კლიენტები – მათ ის ძალიან უყვარდათ. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ, გაჭირვების უამს რაიმე შეკვეთით დახმარებოდნენ, – ან მოკვდნენ, ან პენსიაზე გავიდნენ. უნინ ბოსტონში დღეში ექვს-შვიდ ფირმას შემოივლიდა ხოლმე. ახლა კი საკმარისია, მანქანიდან ჩემოდნები გადმოაღაგოს და ისევ შიგ ჩააწყოს, რომ არაფრის თავი აღარ აქვს. სიარული აღარ შეუძლია და ლაპარაკს დაეჩვია. გაივლის მანქანით ათას კილომეტრს და უცებ აღმოაჩენს, რომ არავინ იცნობს, თბილ სიტყვას არავინ იმეტებს. არადა, რამდენ რამეს გაიფიქრებ ადამიანი, როდესაც ამხელა გზაზე ერთ ცენტსაც ვერ გამოიმუშავე! ძალაუნებურად საკუთარ თავთან დაიწყებ ლაპარაკს! მას ხომ ყოველ კვირას უხდება ჩარლისთან მისვლა და ორმოცდაათი დოლარის სესხება, მერე კი ჩემი დარწმუნება, რომ ეს ფული გამოიმუშავა. რამდენ ხანს შეიძლება ასე გაგრძელდეს? დიდხანს? ხომ მიხვდით, რატომ ვზივარ და ველოდები? შენ კი მეუბნები, ნებისყოფა არა აქვსო. მას, ვინც მთელი ცხოვრება თქვენთვის მუშაობდა. როდის მიიღებს ამისთვის მედალს? რა არის მისი ჯილდო ახლა, როდესაც სამოცდასამის შესრულდა? შვილები, რომლებიც სიცოცხლეზე მეტად უყვარდა – ერთი მათგანი გარყვნილია...

ჰეფი: დედა!

ლინდა: ეს სიმართლეა, ჩემო კარგო! (ბიფს) და შენ? სად გაქრა მისდამი შენი სიყვარული? თქვენ ხომ მეგობრები იყავით! ნუთუ დაგავინწყდა, ყოველ საღამოს ტელეფონით რომ ესაუბრებოდი? როგორ ენატრებოდი!

ბიფი: კარგი, დედა. დავრჩები თქვენთან, სამუშაოს მოვძებნი. ვეცდები, მისგან თავი შორს დავიჭირო. აი ასე.

ლინდა: არა, ბიფ. შეუძლებელია, რომ აქ დარჩე და მასთან გაუთავებლად იჩხუბო.

ბიფი: არ დაგავინწყდეს, რომ ეს მან გამაგდოს სახლიდან.

ლინდა: ეს რატომ გააკეთა? ამის მიზეზი ახლაც კი არ ვიცი.

ბიფი: მივხვდი, რომ იგი მატყუარა იყო, მას კი არ მოსწონს, როდესაც ეს ვინმემ იცის.

ლინდა: მატყუარა? ეგ როგორ? რას გულისხმობ?

ბიფი: მხოლოდ მე ნუ მადანაშაულებ. მეტს ვერაფერი გეტყვი. ამიერიდან ჩემს წილს მოგცემთ – რასაც გამოვიმუშავე, იმის ნახევარს. ჰოდა, ნულარ ინერვიულებს. ყველაფერი კარგად იქნება. ახლა კი დასაძინებლად წავალ. (კიბისკენ მიემართება)

ლინდა: არაფერიც არ იქნება კარგად.

ბიფი: (კიბის საფეხურზე გაშმაგებული შემოტორიადღება) ვერ ვიტან ამ ქალაქს, მაგრამ მაინც დავრჩები. მეტი რაღა გინდათ?

ლინდა: ის ილუპება, ბიფ.

ჰეფი დედას შეშინებული შესცქერის.

ბიფი: (პაუზის შემდეგ) კვდება? რისგან?

ლინდა: თავის მოკვლა სურს.

ბიფი: (საშინლად შეძრწუნებული) რა თქვი?!

ლინდა: სულ ამის მოლოდინში ვარ. დღე ჩაივლის და ღმერთს მადლობას ვწირავ.

ბიფი: გამაგებინე, რას ამბობ!

ლინდა: გახსოვს, თებერვალში რომ მოგწერე, მანქანა დაამტკიცა-მეთქი?

ბიფი: მერე?

ლინდა: სადაზღვევო კომპანიის ინსპექტორი მოვიდა. ასე თქვა, მონშეები მყავსო. არცერთი ავარია, რომელიც შარშან მამაშენს შეემთხვა... თურმე ავარია არ ყოფილა.

ჰეფი: ეგ საიდან იცინა? ტყუილია!

ლინდა: საქმე ისაა, რომ არის ერთი ქალი... (ყელში ბურთი აწვება)

ბიფი (მკვეთრად, მაგრამ თავშეკავებით აწყვეტინებს): რომელი ქალი?

ლინდა (მასთან ერთად)... და ეს ქალი... რა თქვი?

ბიფი: არაფერი. განაგრძე.

ლინდა: შენ რალაცა თქვი.

ბიფი: არაფერი. უბრალოდ ვიკითხე, რომელი ქალი-მეთქი.

ჰეფი: რაო იმ ქალმა?

ლინდა: როგორც ჩანს, გზაზე მიდიოდა და მისი მანქანა დაინახა. ამბობს, წელი სიჩქარით მიდიოდა, მანქანას არაფერი სჭირდაო. პატარა ხიდს რომ მიახლოებია, განზრახ დასჯახებია მოაჯირს. იმას გადაურჩენია, რომ მდინარეში თავთხელი წყალი ყოფილა.

ბიფი: ალბათ, ისევ ჩაეძინა.

ლინდა: არ მჯერა, რომ ჩაეძინა.

ბიფი: რატომ?

ლინდა: გასულ თვეში... (დაძაბულად) ოჰ, ბიჭებო, რომ იცოდეთ, როგორ მიძძიმს ამაზე ლაპარაკი! თქვენთვის ის ხომ მხოლოდ ერთი მოხუცი, სულელი კაცია. მე კი გიმეორებთ, რომ მამათქვენი ბევრ სხვაზე უკეთესია. (ცრემლებს ყლაპავს და თვალებს იწმენდს) ერთხელ მცველი გადაიწვა და შუქი ჩაქრა. ახლის მოსაძებნად სარდაფში ჩავედი და მცველების ყუთის უკნიდან შემთხვევით რეზინის მოკლე მილი გადმოვარდა.

შეფი: ხუმრობ!
ლინდა: მაშინვე ყველაფერს მიგზავდი. მართლაც, საქვების ძირში, გაზის მილზე, ახალი პატარა ნიპელი იყო მიმაგრებული.

შეფი: (გაბრაზებით) რა ღორობაა.
ბიფი: მოახსენე?

ლინდა: არა, შემრცხვა. მისთვის ეს როგორ მეთქვა? ყოველ დღე ქვემოთ ჩავდივარ და ეს მილი მიმაქვს. ოღონდ როცა შინ ბრუნდება, თავის ადგილზე ვდებ. აბა, როგორ ვანყენინო? აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, დილაზე როგორ მივატანო. სულ ცუდის მოლოდინში ვარ. ყველაფერს ვხვდები, რასაც ფიქრობს. იქნებ ჩემი ნათქვამი სისულელეა, ძველმოდურად ჩათვალოთ, მაგრამ გიმეორებთ, რომ მან თავისი სიცოცხლე შეიღებს შემოგნირათ, თქვენ კი ზურგი შეაქციეთ. (თავს მუხლებზე დებს და ტირის, სახეზე ხელებს იფარებს) ბიფ, ღვთის გულისთვის! ბიფ, მისი სიცოცხლე შენს ხელთაა!

შეფი: (ბიფს) როგორ მოგნონს ის ბებერი სულელი?

ბიფი: (დედას კოცნის) კარგი, ჩემო მეგობარო, კარგი. გადანყვეტილია. ვიცი, დედა, რომ მართალი არ ვიყავი. ახლა დავრჩები და გეფიცები, რომ საქმეს სერიოზულად მოვკიდებ ხელს. (აღზნებული და გულდათუთქული მის წინაშე მუხლებზე დგება) საქმე ისაა, ამას ხომ შენც ხვდები, რომ ბიზნესში მოვისუსტებ. მაგრამ არ გეგონოს, რომ ცდას დავაკლებ. მოვინდომებ და ჩემსას მაინც მივალწვე!

შეფი: რასაკვირველია, მიაღწევ. შენ იმიტომ არ გიმართლებდა კომერციაში, რომ არც კი ცდილობდი სხვებისთვის თავის მონონებას.

ბიფი: ვიცი, ვიცი...

შეფი: თუნდაც ჰარისონთან მუშაობა გავიხსენოთ. ბობ ჰარისონი თავდაპირველად ამბობდა, რომ შენ ყველას სჯობდი! მაგრამ მერე სისულელების კეთება დაიწყო. რამ მოგაფიქრებინა ლიფტში ჯამბაზივით სტვენა!

ბიფი: (გალიზიანებით) მერე რა? მიყვარს სტვენა.

შეფი: არავინ დაავალებს საპასუხისმგებლო საქმეს ადამიანს, რომელიც ლიფტში უსტვენს.

ლინდა: ღირს კი ახლა ამაზე კამათი?

შეფი: შენ არ იყავი, სამუშაოს რომ მიატოვებდი ხოლმე და საბანაოდ გარბოდი?

ბიფი: (აღშფოთება ემატება) ვითომ შენ არ გარბინარ სამუშაოდან დასასვენებლად! განსაკუთრებით ზაფხულის მშვენიერ დღეებში.

შეფი: ჰო, მაგრამ ამას ისე ვაკეთებ, რომ არავინ გამომიჭიროს.

ლინდა: ბიჭებო!

შეფი: თუ გაპარვას გადაწყვეტ, ვიცი, რომ ბოსი სხვადასხვა ადგილას დარეკავს, სადაც ვეგულუები, და ყველგან ეტყვიან, რომ იქ ვიყავი და ეს-უსაა გავედი. სულაც არ მსიაამოვნებს ამის თქმა, მაგრამ კომერციის სამყაროში თვლიან, რომ არანორმალური ხარ.

ბიფი: (გაბრაზებული) ჯანდაბამდე გზა ჰქონია მაგ შენს კომერციას!

შეფი: მართალია! ჯანდაბამდე გზა ჰქონია, მაგრამ შენიღბვა უნდა შეგეძლოს.

ლინდა: შეფ! შეფ!

ბიფი: სულაც არ მადარდებს, რას ფიქრობენ. ისინი ყოველთვის დასციხოდნენ მამას, და იცი, რატომ? ყოველთვის უცხოებად გვთვლიდნენ ამ საგი-

ეთად ქცეულ ქალაქში! ჩვენ სადმე ქალაქგარეთ ცემენტს უნდა ვასხამდეთ ან დურგლებად ვმუშაობდეთ. დურგალს მაინც ვერ დაუშლის სტვენას ვერავინ!

სახლის შესასვლელის მარცხნივ ვილი გამოჩნდება.

ვილი: ბაბუაშენს აზრადაც არ მოუვიდოდა, დურგლობა დაენყო.

პაუზა. ყველა მას აკვირდება.

ვილი: ჯერაც ვერ გამოსხვედი ბავშვობის ასაკიდან. დარწმუნებული ვარ, ბერნარდი ლიფტში არასოდეს დაუსტვენს.

ბიფი: (სურს, ვილი გაამხიარულოს და ყველაფერი ხუმრობად აქციოს) ჰო, მაგრამ შენ რომ უსტვენ ხოლმე, მამა?

ვილი: ცხოვრებაში ერთხელაც არ დამისტვენია ლიფტში! მაშ, საქმიან სამყაროში გიჟს მეძახიან, არა?

ბიფი: მე სულ სხვა რამ ვიგულისხმე. მოდი, ბუზს სპილოდ ნუ გადავაქცევთ, კარგი?

ვილი: ნაბრძანდი შენს დასავლეთში და გინდ დურგალი იყავი და გინდ მწყემსი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

ლინდა: ვილი, ის სწორედ იმას ამბობდა, რომ...

ვილი: გავიგონე, რასაც ამბობდა!

შეფი: (ვილის დაშოშინებას ცდილობს) კარგი, მამა, გეყოფა...

ვილი: (შეფის აწყვეტინებს) დამცინიან, არა? აბა, ბოსტონში ფაილინთან, ჰებისთან ან სლატერთან შეიარე, ვილი ლომენი ასხენე და ნახე, რა ამბავი ატყდება! ვილი ლომენი ცნობილი პიროვნებაა!

ბიფი: კარგი, მამა.

ვილი: ცნობილი-მეთქი, ხომ გაიგე?

ბიფი: გავიგე, მამა.

ვილი: ყოველთვის რატომ შეურაცხმყოფ?

ბიფი: სანყენი არაფერი მითქვამს. (ლინდას) რა ვთქვი ასეთი?

ლინდა: ცუდი არაფერი უთქვამს, ვილი.

ვილი: (სასტუმროს კართან მიდის) კარგი, ღამე მშვიდობისა. ღამე მშვიდობისა.

ლინდა: ვილი, ძვირფასო, მან სწორედ ახლა გადაწყვიტა, რომ...

ვილი: (ბიფს) თუ ხვალ უქმად ყოფნა მოგბეზრდება, სასტუმრო ოთახში ჩემ მიერ გაკეთებული ჭერი შეღებე.

ბიფი: ხვალ დილით ადრე მივდივარ.

შეფი: ბილ ოლივერთან აპირებს შეხვედრას, მამა.

ვილი: (ინტერესით) ოლივერთან? რატომ?

ბიფი: (ცდილობს, ძალიან ცდილობს, რომ თავი შეიკავოს) ყოველთვის მეუბნებოდა, ჩემი იმედი გქონდესო. რაიმე ახალი საქმის დაწყება მინდა და იქნებ მხარი დამიჭიროს.

ლინდა: შესანიშნავია, არა?

ვილი: ნუ აწყვეტინებ. რა არის აქ შესანიშნავი? ნიუ-იორკში ხუთასი კაცი მაინც მოიძებნება, რომლებიც სიხარულით ანდობენ მას კაპიტალს. (ბიფს) სპორტული ნაწარმი?

ბიფი: ალბათ. ამ საქმეში რაღაც გამეგება და...

ვილი: რაღაც გამეგება! ღმერთო ჩემო, სპორტულ ნაწარმში შენ სპოლდინგზე უკეთ ერკვევი! რამდენს გაძღვეს?

ბიფი: არ ვიცი. ჯერ არ მინახავს, მაგრამ...

ვილი: აბა რის შესახებ ლაპარაკობ?

ბიფი: (ბრაზი მოსდის) მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ მის ნახვას ვაპირებ, მეტი არაფერი!

ვილი: (შეტრიალდება) ჯერ დათვი არ მოგიკლავს და უკვე ხორცს ანაწილებ!

ბიფი: (კიბისკენ მიემართება) დალახვროს ეშმაკმა! დასაძინებლად მივდივარ!

ვილი: (მიამახებს) ამ სახლში უნმანური ლაპარაკი არ გაბედო!

ბიფი: (მისკენ ტრიალდება) როდის აქეთ გახდი წმინდანი?

ჰეფი: (მათ დამშვიდებას ცდილობს) მოიცადე...

ვილი: ჩემთან ასეთი სიტყვები დაივიწყე! უფლებას არ მოგცემ!

ჰეფი: (ბიფს ხელში სწვდება და ყვირის) ერთი წუთი მოიცადეთ! იდეა მაქვს, შესანიშნავი იდეა! აქ მოდი, ბიფ, ვილაპარაკოთ, ოღონდ გონიერებას მოვუხმობ. როდესაც შარშან ფლორიდაში ვიყავი, ერთი აზრი მომივიდა სპორტული ნაწარმის გაყიდვის თაობაზე. ახლა გამახსენდა. შენ და მე, ბიფ, ჩვენი ფირმა გვექნება, ლომენების ფირმა. რამდენიმე კვირა წავივარჯიშებთ, ერთ-ორ შეჯიბრებასაც მოვანწყობთ. მიხვდით?

ვილი: ეს კარგი აზრია!

ჰეფი: მოიცა. კალათბურთის ორ გუნდს ჩამოვყალიბებთ, გესმის? შემდეგ წყალბურთის ორ გუნდს. ერთმანეთის წინააღმდეგ ვითამაშებთ. ეს მილიონდოლარიანი რეკლამა იქნება! ძმა ძმის წინააღმდეგ, ხვდები? ძმები ლომენები. ვიტრინა „სამეფო პალმებში“, საუკეთესო სასტუმროებში. სპორტულ დარბაზებთან კი ბანერები — „ძმები ლომენები“. უამრავ სპორტულ ნაწარმს გაყიდით, პატარავ!

ვილი: ასეთ იდეაში მილიონი დოლარიც კი უნდა გაიმეტონ!

ლინდა: გადასარევი!

ბიფი: თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მეც მომწონს.

ჰეფი: მთავარი ისაა, ბიფ, რომ ეს ჩვეულებრივი ვაჭრობა არ იქნება. თითქოს კვლავ ახალგაზრდები ვართ და ფეხბურთს ვითამაშობთ...

ბიფი: (აენტება) ჰო, მაგარია...

ვილი: მილიონი დოლარი...

ჰეფი: არც შენ მოგბეზრდება, ბიფ, და ოჯახიც ოჯახს დაემსგავსება. სიახლოვე, ერთმანეთის მხარში დგომა — როგორც ოდესღაც. თუ საბანაოდ წასვლა მოგინდება, წახვალ, ვინ დაგიშლის!

ვილი: ყველას ხმას გააკენდინებთ! თქვენ ორს, ბიჭებო, წინ ვერავინ დაგიდგებათ!

ბიფი: ოლივერს ხვალ შევხვდები. ჰეფ, ეს რომ გამოგვივიდეს...

ლინდა: იქნებ ყველაფერი აენწყოს...

ვილი: (საოცრად აღელვებული, ლინდას) ნუ აწყვეტინებ! (ბიფს) როცა ოლივერთან წახვალ, სპორტული ტანსაცმლის ჩაცმა არ გაბედო!

ბიფი: არა, მე...

ვილი: მკაცრი საქმიანი კოსტიუმი, რაც შეიძლება, ცოტა ილაპარაკე და არავითარი ოხუნჯობა.

ბიფი: მას მე ვუყვარდი. ძალიან ვუყვარდი.

ლინდა: გაღმერთებდა.

ვილი: (ლინდას) იქნებ დამაცადო? (ბიფს) თავშეკავებულად შედი, სოლიდურად მოიქეცი. სამუშაოს სათხოვნელად კი არ მიდიხარ. დიდ ფულზეა ლაპარაკი. თავი ღირსეულად გექჩიროს. სიტყვა-

ძუნობა გამოიჩინე. ხალხს მოსწონს ოხუნჯები, მაგრამ მათთვის ფულს არავინ იმეტებს.

ჰეფი: მეც შევეცდები ფულის შოვნას, ბიფ. და, ალბათ, შევძლებ კიდევც.

ვილი: ბრწყინვალე მომავალი გელით, ბიჭებო! ყველა უბედურება უკან დაგვრჩება. ოღონდ გახსოვდეთ: დიდ დასაწყისს დიდი დასასრული უხდება. თხუთმეტი სთხოვე. შენ რამდენს აპირებდი?

ბიფი: არ ვიცი, ღმერთმანი...

ვილი: ღმერთს ნუ იფიცავ! ეს არასოლიდურია. თხუთმეტი ათასი დოლარის მთხოვნელი კაცი ღმერთს არ იფიცავს!

ბიფი: ათს, მეტს არა...

ვილი: ზედმეტი თავმდაბლობაა. შენ ყოველთვის ცოტას ითხოვდი. ხალისიანად შედი. არ შეგეტყოს, რომ ნერვიულობ. საუბრის ასანწყობად თავდაპირველად ერთი-ორი ანექლოტი მოუყვივი. მთავარი ის კი არაა, რას ლაპარაკობ, არამედ როგორ ლაპარაკობ. პირადი თვისებები, მიმზიდველობა — აი, რა იმარჯვებს ყოველთვის!

ლინდა: ოლივერი მასზე ყოველთვის საუკეთესო აზრისა იყო.

ვილი: მაცდი თუ არა ლაპარაკს?

ბიფი: ნუ უყვირი, მამა, გასაგებია?

ვილი: (გაბრაზებით) განა მე არ ვლაპარაკობდი?

ბიფი: არ მომწონს, როდესაც სულ უყვირი. ეს აღარ მოხდება.

ვილი: ვინ ხარ, ამ სახლში ბრძანებებს რომ იძლევი?

ლინდა: ვილი...

ვილი: (ცოლს დააცხრება) შენ სულ მის მხარეს იჭერ, დალახვროს ეშმაკმა!

ბიფი: (გააფთრებით) ნუ უყვირი-მეთქი!

ვილი: (უეცრად მოღებება, ნაცემ ძაღლს ემსგავსება, სინდისი ქენჯნის) ბილ ოლივერს ჩემგან მოკითხვა გადაეცი, იქნებ ვახსოვარ. (სასტუმრო ოთახში გადის).

ლინდა: (ხმადაბლა) რად გინდოდა ეს?

ბიფი: ზურგს შეაქცევს.

ლინდა: ნუთუ ვერ შეამჩნიე, როგორ დატკბა, როგორც კი პატარა იმედი ჩაუსახე? (ბიფთან მიდის) ზევით ავიდეთ, ჩემო კარგო, „ძილი ნებისა“ უსურვე. არ შეიძლება, ასეთ მდგომარეობაში დანვეს.

ჰეფი: ნამოდი, ბიფ, გავამხნევოთ მოხუცი.

ლინდა: გთხოვ, ჩემო კარგო, „ძილი ნებისა“ უსურვე. მას ხომ ცოტაც კი ეყოფა. წავიდეთ. (სასტუმრო ოთახში გადის და ზემოთ ასძახებს) ვილი, შენი პიყამა სააბაზანოშია!

ჰეფი: (დედას თვალს გააყოლებს) რა ქალია! ასეთები აღარ იბადებიან, არა, ბიფ?

ბიფი: მამას ხელფასი მოუხსნეს. როგორია საკომისიოს ამარა დარჩენა!

ჰეფი: მოდი, სიმართლეს თვალი გაკუსნოროთ: როგორც კომივოიაჟორი, ის უკვე სუსტია, თუმცა უნდა ვალიაროთ, რომ ძველებური მომხიბვლელობა ჯერაც შემორჩა.

ბიფი: (გადაწყვეტს) შეგიძლია, ათი დოლარი მასესხო? ახალი ჰალსტუხების ყიდვა მინდა.

ჰეფი: ერთ ადგილას წავიყვან. შესანიშნავი ნაწარმი აქეთ. ხვალ ჩემი რომელიმე ზოლიანი პერანგი ჩაიცვი.

ბიფი: დედა სულ გაჭალარავებულა. ძალიან მოხუცდა. ღმერთმანი, ხვალ აუცილებლად წავალ ოლივერთან და ფულს დავითრევე...

ჰეფი: ზევით ავიდეთ. ამის შესახებ მამას უთხარი. გულზე მოეშვება. წავიდეთ.

ბიფი: (კვლავ აენტება) წარმოიდგინე, პატარავ, ათი ათასი დოლარი რომ მივიღოთ!

ჰეფი და ბიფი სასტუმრო ოთახში გადიან.

ჰეფი: (გზად) ეს უკვე კაცური სიტყვებია, როგორც იქნა, შენი ძველებური შემართება ვიგრძენი! (თითქმის სასტუმრო ოთახიდან) მე და შენ, ძმაო, ერთად უნდა ვიცხოვროთ. რომელ გოგოსაც მოინდომებ, მხოლოდ მიმანიშნე და... (მისი ხმა თითქმის აღარ ისმის. ორივე კიბეზე ადის და მშობლების საძინებლისკენ მიემართება)

ლინდა: (საძინებელში შედის, ლოგინს ამზადებს და სააბაზანოში მყოფ ვილის მიმართავს) იქნებ შხაპს რამე მოუხერხო. წყალი გასდის.

ვილი: (სააბაზანოდან) როგორ ყველაფერი ერთად გაფუჭდება ხოლმე. ამ დანყველილ მენყალსადენებს სასამართლოში უნდა უჩივლოს კაცმა! ერთი რაღაცის შეკეთებას ვერ მოასწრებ და უკვე სხვა რამე ფუჭდება... (ბურტყუნს განაგრძობს)

ლინდა: საინტიერესოა, ოლივერი თუ იცნობს. შენ როგორ გგონია?

ვილი სააბაზანოდან გამოდის, პიჟამა აცვია.

ვილი: თუ იცნობს? შენ რა, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? ბიფი რომ ოლივერთან დარჩენილიყო, ახლა მისი მარჯვენა ხელი იქნებოდა. მთავარია, ერთი შეხედოს. მგონი, სულ დაკარგე წარმოსახვის უნარი. იცი, როგორი ახალგაზრდები არიან ახლა? (სანოლში წვება) არაფრის მაქნისები! უსაქმოდ ხეტიალის მეტი არაფერი შეუძლიათ.

საძინებელში ბიფი და ჰეფი შედიან. ხანმოკლე პაუზა.

ვილი: (ლაპარაკს წყვეტს და ბიფს შესცქერის) მიხარია შენ გამო, ჩემო ბიჭუნი.

ჰეფი: უნდოდა, შენთვის ძილი ნებისა ესურვებინა.

ვილი: (ბიფს) იცოდე, ბეჭებზე უნდა დადო, ჩემო ბიჭუნი. რისი თქმა გინდოდა?

ბიფი: არ ინერვიულო, მამა. ღამე მშვიდობისა. (ნასვლას აპირებს)

ვილი: (თავს ვერ იკავებს) თუ შენი იქ ყოფნისას მაგიდიდან შემთხვევით რამე ჩამოვარდება – პაკეტი ან სხვა ნივთი, – ალება ფიქრადაც არ გაივლო. ამისთვის მათ კურიერები ჰყავთ.

ლინდა: მე კი მსუყე საუზმეს მოგიმზადებთ...

ვილი: მაცლი თუ არა ლაპარაკს? (ბიფს) უთხარი, რომ დასავლეთში კომერციის განხრით მუშაობდი, ფერმა არ უხსენო.

ბიფი: კარგი, მამა.

ლინდა: იმედია, დაასრულე...

ვილი: (თითქოს არ ესმის) იაფად არ მიჰყიდოთავი. თხუთმეტი ათასზე ნაკლები არ სთხოვო.

ბიფი: (თავს ძლივს იკავებს) კარგი. ძილი ნებისა, დედა. (კარისკენ მიდის)

ვილი: გახსოვდეს, ბიფ, რომ დიდი გაქანების კაცი ხარ, ღვთიური ნიჭის პატრონი... (ლონემის-დილი ბალიშზე მიწვება)

ბიფი ოთახიდან გადის.

ლინდა: (მიაძახებს) მშვიდ ძილს გისურვებ, ჩემო კარგო.

ჰეფი: დედა, გაითვალისწინე, რომ ცოლის მოყვანას ვაპირებ.

ლინდა: ნადი, დაიძინე, ჩემო კარგო.

ჰეფი: (მიდის) უბრალოდ მინდოდა, გცოდნოდა.

ვილი: იმოქმედე.

ჰეფი მიდის.

ვილი: ღმერთო ჩემო... გახსოვს, „ბეტისის“ სტადიონზე რომ ვიყავით ქალაქის ჩემპიონატის მატჩზე?

ლინდა: მოისვენე. თუ გინდა, გიმღერებ.

ვილი: ჰო, მიმღერე.

ლინდა წყნარი ხმით იავნანას მღერის.

ვილი: როდესაც მათი გუნდი მოედანზე გამოვიდა, ის ყველაზე მაღალი იყო, გახსოვს?

ლინდა: კი. და ოქროსფერი.

ბიფი ჩაბნელებულ სამზარეულოში შედის, სიგარეტის კოლოფიდან ერთ ღერს ამოიღებს, სახლის ზღურბლს გადააბიჯებს და ოქროსფერ შუქში გამოჩნდება. აბოლებს და წყვიდად გასცქერის.

ვილი: როგორც ახალგაზრდა ღმერთი. პერაკლე ან რომელიმე მისი მსგავსი. მზის შუქით იყო განათებული. გახსოვს, ხელი რომ დამიქნია? იქიდანვე, მოედნიდან, სადაც სამი უნივერსიტეტის წარმომადგენლები იდგნენ. ჩემი კლიენტებიც იქ იყვნენ – თვითონ მოვიწვიე. როგორი ღრინაცილი ატეხეს, როცა ის გამოვიდა. „ლომენ! ლომენ! ლომენ!“ – გაჰყვიროდნენ ისინი. ღმერთო ჩემო, ის კიდევ გახდება დიდი ადამიანი. შეუძლებელია, რომ ასეთი კამკაშა ვარსკვლავი უკვალოდ გაქრეს!

ვილის საძინებელში თანდათან ბნელდება. სამზარეულოს კედელში, კიბის სიახლოვეს, გაზის გამათბობელი აკიაფდება. გავარვარებული მილებიდან ცისფერი ალის ენები ამოდის.

ლინდა: (მორიდებულად) რატომღა შენ წინააღმდეგ ასე განწყობილი?

ვილი: ძალიან დავიღალე. დამასვენე.

ბიფი ნელა ბრუნდება სამზარეულოში, ჩერდება და გაზის გამათბობელს შესცქერის.

ლინდა: ხომ სთხოვ პოვარდს, რომ ნიუ-იორკში მოგცეს სამუშაო?

ვილი: დიდიდანვე მაგ საქმეს მივხედავ, ყველაფერი კარგად იქნება.

ბიფი ხელს გამათბობლისკენ გაიწვდნის და იქიდან რეზინის პატარა მილს იღებს. შეძრწუნებული იყურება ოდნავ განათებული საძინებლისკენ, საიდანაც ლინდას მონოტონური, სევდიანი სიმღერა ისმის.

ვილი: (დაჟინებით მისჩერებია ფანჯრიდან მთვარის შუქს) ღმერთო ჩემო, როგორ დასეირნობს მთვარე იმ სახლებს შორის.

ბიფი რეზინის მილს ხელზე დაიხვევს და კიბეზე აჩქარებით ადის.

ფარდა ეშვება.

გაგრძელება იქნება

ინგლისურიდან თარგმნა
პაატა ჩხეიძემ



კომიუნიკაციების სიკვდილი

დასასრული. დასაწყისი იხ.
„ლიტერატურული პალიტრა“, №8, 2013 წ.

მეორე მოქმედება

ისმის მხიარული, ცოცხალი მუსიკა. მალე სიჩუმე ჩამოვარდება და ფარდაც აიწევა. სამზარეულოს მაგიდასთან გრძელსახელოებიან პერანგში გამოწყობილი ვილი ზის და ყავას შეექცევა. მუხლებზე შლაპა უდევს. ლინდა შიგადაშიგ ჭიქას უვსებს.

ვილი: შესანიშნავი ყავაა. ძალზე ნოყიერი.

ლინდა: კვერცხი ხომ არ შეგინვა?

ვილი: არა. სული მოითქვი.

ლინდა: დასვენებული სახე გაქვს.

ვილი: მკვდარივით მეძინა. პირველად ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. წარმოგიდგენია?! სამშაბათს ათ საათამდე ძილი! ბიჭები ადრე წავიდნენ, ხომ?

ლინდა: რვა საათზე აქ უკვე აღარ იყვნენ.

ვილი: ყოჩაღ, ბიჭებო!

ლინდა: სიამოვნებისგან გულიც კი ამიჩქროლდა, ერთად რომ ვხედავდი! მთელი სახლი მათი საპარსი ლოსიონის სუნითაა გაჟღენთილი!

ვილი (ელიმება): მ-მ-მ...

ლინდა: ბიფი დღეს დილით სრულიად შეცვლილი იყო! იმედიანად გამოიყურებოდა. ერთი სული ჰქონდა, ოლივერთან შესახვედრად როდის წავიდოდა.

ვილი: ახლა მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვლება. იგი ადამიანთა იმ ტიპს მიეკუთვნება, გვიან რომ დინჯდებიან. რა ჩაიცვა?

ლინდა: ლურჯი კოსტიუმი. ძალიან უხდებოდა. არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა!


ვილი მაგიდიდან დგება. ლინდა პიჯაკს აწვდის.

ვილი: შეკითხვები აღარ მაქვს. ჰო, მართლა, არ დამავინწყდეს, რომ აქეთობას მცენარეთა თესლი უნდა ვიყიდო. ეს გუშინ გადავწყვიტე.

ლინდა (იცინის): რა კარგი იქნება! თუმცა ჩვენთან ისე იშვიათად შემოიხედავს ხოლმე მზე, რომ აქ, შესაძლოა, არაფერმა გაიხაროს.

ვილი: ცოტაც მოითმინე, ჩემო კარგო. სოფელში პატარა ნაკვეთს შევიძინებ, ბოსტნეულს მოვიყვანო, წინილებს მოვამრავლებ.

ლინდა: შენ ყველაფერს მოახერხებ, ძვირფასო.



ართურ
მილუტი

ვილი პიჯაკს გაიხდის, მხრებზე მოისხამს და განზე გადის. ლინდა უკან მიჰყვება.

ვილი: ისინი დაქორწინდებიან და შაბათ-კვირას ჩვენთან დარჩებიან ხოლმე. სტუმრებისთვის პატარა ფლიგელს ავაშენებ. მე ხომ შესანიშნავი ინსტრუმენტები მაქვს. მხოლოდ რამდენიმე ფიცარი და სულიერი სიმშვიდე მჭირდება.

ლინდა (მხიარულად): სარჩული მიგიკერე...

ვილი: იქნებ ორი ფლიგელიც კი ავაშენო, რათა ერთად გვესტუმრონ. ხომ არ გადაუწყვეტია, რა თანხაზე აპირებს ოლივერთან საუბარს?

ლინდა (პიჯაკის ჩაცმაში ეხმარება): არაფერი უთქვამს, ალბათ, ათი-თხუთმეტი ათასის ფარგლებში. ჰოვარდს დღეს დაელაპარაკები?

ვილი: ჰო. საკითხს პირდაპირ დაგუსვამ. აქეთ-იქით ველარ მანანწალებს.

ლინდა: ვილი, არ დაგავინწყდეს, სთხოვე, რომ ფულის ნაწილი წინასწარ მოგცეს – დაზღვევის თანხა გვაქვს შესატანი, შელავათიანი პერიოდი მთავრდება.

ვილი: ეს არის ას... რამდენი?

ლინდა: ას რვა დოლარი და სამოცდარვა ცენტი. ჩვენ ხომ მცირე ვალიც დაგვედო.

ვილი: რატომ?

ლინდა: მანქანის გარემონტება?

ვილი: ოჰ, ეს დანაყველილი „სტუდენტეკერი“!

ლინდა: მაცივრის ბოლო შენატანიც დაგვრჩა.

ვილი: ის ხომ ისევ გაფუჭდა!

ლინდა: რას იზამ, ჩემო კარგო, უკვე დაძველდა.

ვილი: გეუბნებოდი, ცნობილი ფირმისა შევიძინოთ-მეთქი. ჩარლიმ „ჯენერალ ელექტრიკი“ ოცი წლის წინ იყიდა და ჯერაც ახალივით

გამოიყურება, ვირივით მუშაობს ის ბოზიშვილი!

ლინდა: მაგრამ, ვილი...

ვილი: აბა, ვის გაუგონია „ჰესტინგის“ მაცივრების შესახებ! ერთხელ მაინც მაყიდვინა ისეთი ნივთი, რომელიც ცოტა მეტ ხანს გაგვიძლებს. სულ ამ ნაგავსაყრელს ვეჯიბრები. როგორც კი სრულად დაფარავ საფასურს, ის უკვე სულს ლაფავს. მაცივარი მანიაკივით უსწორდება სათადარიგო ნაწილებს. განზრახ უშვებენ ასეთ საქონელს – განვადების პერიოდის გასვლის შემდეგ აღარაფრად ვარგა.

ლინდა (პიჯაკზე ლილებს უკრავს, თუმცა ქმარი მაშინვე შეიხსნის): ერთი სიტყვიტ, მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ორასი დოლარი მაინც გგჭირდება. ამაში ბოლო, საგირავნო გადასახადიც შედის. ამის შემდეგ სახლი ჩვენი იქნება.

ვილი: როგორ გაირბინა ოცდახუთმა წელმა!

ლინდა: როცა ვიყიდეთ, ბიფი ცხრა წლის იყო.

ვილი: დიდ საქმეს მოვაბით თავი. ოცდახუთწლიანი იპოთეკა ხუმრობა არაა...

ლინდა: დიდი მიღწევაა.

ვილი: რამდენი ცემენტი, ხის მასალა და შრომა ჩავაყარე ამ სახლს! ერთი ბზარიც კი არსად აქვს.

ლინდა: ჰო, კარგად გვემსახურა.

ვილი: გვემსახურა – მალე აქაურობას უცხო კაცი დაეპატრონება და მორჩა. აი, ბიფს რომ აეღო ეს სახლი და შვილებით გაეგოს... (წასასვლელად ემზადება) ნახვამდის, მაგვიანდება.

ლინდა (ბოლო წამს ახსენდება): კინალამ დამავინყდა! ბიჭებს უნდათ, რომ დღეს მათთან ერთად ისადილო!

ვილი: მე?

ლინდა: ფრენკის რესტორანში, ორმოცდამერვე ქუჩაზე, მეექვსე ავენიუსთან.

ვილი: მართლა? მერედა შენ?

ლინდა: არა, მხოლოდ თქვენ სამნი იქნებით. გადანყვიტეს, კარგად გაგიმასპინძლდნენ!

ვილი: ერთი უყურე! რომელმა მოიფიქრა?

ლინდა: დილით ბიფი მოვიდა და მითხრა, მამას გადაეცი, რომ რესტორანში ვეპატიფებით, ექვს საათზე მოვიდესო. ასე რომ, შვილებთან ერთად ისადილებ.

ვილი: რა მაგარია! შესანიშნავია! მანამდე კი ჰოვარდს ბეჭებზე დავდებ! ავანსსაც გამოვართმევ და ნიუ-იორკშიც გადმოვაყვანინებ თავს. ახლა კი ნამდვილად მივალწე ამას!

ლინდა: სწორია, ვილი, ასეც უნდა მოიქცე!

ვილი: აღარასოდეს დავჯდები საქესთან!

ლინდა: დრო იცვლება, ვილი, ვგრძნობ, რომ იცვლება!

ვილი: გეთანხმები! ნახვამდის, მაგვიანდება. (კვლავ გასასვლელისკენ მიემართება)

ლინდა (ეძახის, სამზარეულოს მაგიდასთან მიიბრუნებს და ცხვირსახოცს იღებს) სათვალე ხომ არ დაგრჩა?

ვილი (ჯიბეებს ისინჯავს და უკან ბრუნდება): არა, არ დამვიწყებია.

ლინდა (ცხვირსახოცს უწვდის): ცხვირსახოცი აიღე.

ვილი: ჰო, ცხვირსახოცი.

ლინდა: შენი საქარინი?

ვილი: ჰო, საქარინი...

ლინდა: მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე ფრთხილად ჩადი. (კოცნის)

ვილი (მის ხელში აბრეშუმის წინდას შეამჩნევს): როდის დაანებებ თავს წინდების კემსვას? როცა სახლში ვარ, მაშინ მაინც ნუ გააკეთებ ამას. ნერვები მეშლება! გთხოვ.

ლინდა (წინდას ჯიბეში მალავს და ვილის მიჰყვება): არ დაგავინყდეს – ფრენკის რესტორანი.

ვილი (პროსცენიუმზე გადის): იქნებ მომავალში აქ ჭარხალი ამოვიდეს.

ლინდა (სიცილით): შენ ეს უკვე იმდენჯერ სცადე!

ვილი: მართალია. დღეს არ გადაიქანცო. (სახლის მარჯვენა კუთხეში გაუჩინარდება)

ლინდა: ფრთხილად იყავი! (ხელს უქნევს)

ტელეფონი რეკავს. ლინდა სცენას სირბილით გადაჭრის, სამზარეულოში შედის და ყურმილს იღებს.

ლინდა: ალო! შენ ხარ, ბიფ? მისხარია, რომ დარეკე. მე სწორედ... კი, რა თქმა უნდა, ახლახან ვუთხარი... ჰო, ზუსტად ექვს საათზე იქნება... არა, ეგ როგორ დამავინყდებოდა! მომისმინე, ერთი ამბავი უნდა გახარო. ხომ გახსოვს, რეზინის მილზე რომ გიყვებოდი? გაზის გამათბობელზე მისაერთებელ მილზე? დღეს დილით მისი გადაგდება გადავწყვიტე, მაგრამ ვერ ვიპოვე! ხომ გესმის, ეს რას ნიშნავს? ეს მან აიღო, მილი აღარ არსებობს! (უსმენს) როდის? აჰ, ეს შენ აიღე? არა, არაფერია... მეგონა... იმედი მქონდა, რომ თვითონ აიღო... არა, ახლა აღარ ვნერვიულობ, ჩემო კარგო, რადგან დღეს მამაშენი ისეთი იმედიანი განწყობილებით გავიდა სახლიდან, როგორც ეს ადრე ხდებოდა ხოლმე. აღარ მეშინია. მისტერ ოლივერმა უკვე მიგილო?.. არაფერია, ცოტაც დაელოდე. და ეცადე, რომ მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინო. არ ინერვიულო, გთხოვ. მამასთან ერთად კარგი დროის გატარებას გისურვებ. შესაძლოა, მანაც კარგი ამბები მოიტანოს!... ჰო, ნიუ-იორკში მუშაობა. ეცადე, ტკბილად ელაპარაკო. აგრძნობინე, რომ გიყვარს. ის ხომ პატარა გემს ჰგავს, ნავსაყუდელს რომ ეძებს... (სევდისა და სიხარულისგან ხმა უთრთის) ოჰ, რა შესანიშნავია, ბიფ, შენ მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებ! გმადლობთ, ძვირფასო. გადაეხვიე, როცა რესტორანში შემოვა. გაუღიმე. ასე მოიქციე, ჩემო კარგო... ნახვამდის, საყვარელო. სავარცხელი ხომ არ დაგრჩა?... კარგი. ნახვამდის, ბიფ.

ამ სატელეფონო საუბრის დროს შემოდის ჰოვარდ ვაგნერი, ოცდათექვსმეტი წლის მამაკაცი. იგი საბეჭდი მანქანის მაგიდას შემოაგორებს, რომელზეც ხმის ჩამწერი მოწყობილობა დგას. ჩართავს. ეს მარცხნივ, ავანსცენაზე ხდება. შუქი, რომელიც ლინდას ანათებს, თანდათან სუსტდება და ჰოვარდისკენ გადაინაცვლებს.

ჰოვარდს მთელი ყურადღება აპარატზე აქვს გადატანილი და შემოსულ ვილის ცერად გახედავს.

ვილი: შეიძლება?

ჰოვარდი: გამარჯობა, ვილი, შემოდით.

ვილი: თქვენთან ორიოდე სიტყვის სათქმელად მოვედი.

ჰოვარდი: მაპატიეთ, რომ გალოდინეთ. ერთი წუთით.

ვილი: ეს რა არის?

ჰოვარდი: ნუთუ პირველად ხედავთ? ეს მაგნიტოფონია!

ვილი: აჰა! შეგიძლიათ, ერთი წუთი დამითმთ?

ჰოვარდი: იგი ყველაფერს იწერს, რასაც მოისურვებთ. გუშინ მომიტანეს. დიდი ხანია, ამაზე ვოცნებობდი, ეს ხომ ყველაზე საოცარი გამოგონებაა, რაც კი ოდესმე მიინახავს. მის გამო მთელი ღამე თეთრად გავათენე.

ვილი: რაში გამოიყენებთ?

ჰოვარდი: მე ის წერილების კარნახისთვის შევიძინე, მაგრამ სხვა რამისთვისაც გამოდგება. მოუსმინეთ! გუშინ შინ წავიღე. აი, რისი ჩანერა მოვახერხე. ჯერ ჩემს ქალიშვილს მოუსმინეთ. აბა. (გადასართველს ატრიალებს და ისმის, რომ ვილაც „გადმოაგორეთ კასრები“-ს მელოდისა უსტვენს). რას იტყვით, როგორ უსტვენს?

ვილი: ნამდვილისგან ვერ გაარჩევს კაცი.

ჰოვარდი: იგი ჯერ მხოლოდ შვიდი წლისაა. გესმით, როგორი ტონია?

ვილი: დიახ. თქვენთან პატარა სათხოვარი მაქვს...

სტვენა წყდება და ისმის ჰოვარდის ქალიშვილის ხმა.

ჰოვარდის ქალიშვილის ხმა: ახლა შენ, მამიკო!

ჰოვარდი: გიუდება ჩემზე!

ისევ ისმის, როგორ უსტვენენ იმავე მელოდისა.

ჰოვარდი: ეს მე ვარ! ჰა-ჰა! (ვილის თვალს ჩაუკრავს)

ვილი: ძალიან კარგად გამოგდით!

სტვენა კვლავ წყდება. ცოტა ხანს აპარატი უხმოდ მუშაობს.

ჰოვარდი: ჩუ-უ! ყურადღებით მოუსმინეთ, ეს ჩემი ბიჭია!

ჰოვარდის ვაჟიშვილის ხმა: ალაბამას დედაქალაქი მონტგომერია, არიზონასი – ფენიქსი, არკანზასისა – ლითლ-როკი, კალიფორნიისა – საკრამენტო... (შტატების დედაქალაქების ჩამოთვლას განაგრძობს)

ჰოვარდი (ხელის თითებს გაფარჩხავს): იგი მხოლოდ ხუთი წლისაა, ვილი!

ვილი: ნამდვილი დიქტორი დადგება, ამას წყალი არ გაუვა!

ჰოვარდის ვაჟიშვილის ხმა (განაგრძობს): ოჰაიოს დედაქალაქია...

ჰოვარდი: შეამჩნიეთ? ანბანის მიხედვით ამბობს!

მოულოდნელად აპარატი ჩერდება.

ჰოვარდი: ერთი წუთით. მოსამსახურემ შემთხვევით შტეფსელის ჩანგალი გამოაძრო.

ვილი: ეს მართლაც...

ჰოვარდი: ჩუმად, ღვთის გულისათვის!

ჰოვარდის ვაჟიშვილის ხმა: ჩემი ჯიბის საათის მიხედვით, ახლა ზუსტად ცხრა საათია. ამიტომ დასაძინებლად უნდა წავიდე.

ვილი: ეს მართლაც...

ჰოვარდი: ერთი წუთით. ახლა ჩემს ცოლს მოუსმენთ.

ელოდებიან.

ჰოვარდის ხმა. რაღას ელოდები? თქვი რამე! (პაუზა) იტყვი რამეს თუ არა?

ჰოვარდის ცოლის ხმა: თავში არაფერი მომდის.

ჰოვარდის ხმა: ილაპარაკე, თორემ ფირი ტრიალებს.

ჰოვარდის ცოლის ხმა (მორიდებით, დამცირებული): ალო! (სიჩუმე) ოჰ, ჰოვარდ, არ შემიძლია ამ რალაცაში ლაპარაკი...

ჰოვარდი (მაგნიტოფონს მკვეთრად გამოართავს): ეს ჩემი ცოლი იყო.

ვილი: შესანიშნავი რამ არის! შეიძლება, რომ...

ჰოვარდი: გეფიცებით, ვილი, ახლა ჩემს სათამაშოებს ნაგავში გადავუძახებ! ფოტოაპარატსაც, ლენტურ ხერხსაც, ყველაფერს. ასეთი საოცარი გასართობი ჯერ არავის მოუგონია!

ვილი: როგორმე მეც უნდა ვიყიდო.

ჰოვარდი: რასაკვირველია, სულ რალაც ას ორმოცდაათი დოლარი ღირს. ძალზე მოსახერხებელი რამეა. დავუშვათ, ჯეკ ბენის მოსმენა გსურთ, მაგრამ მაშინ უნდა გადმოსცენ, როდესაც შინ არ იქნებით. მოსამსახურეს დაუბარებთ, რომ ჯეკ ბენის გამოსვლის დროისთვის რადიო ჩართოს, მაგნიტოფონი კი ყველაფერს ავტომატურად ჩაიწერს...

ვილი: ხოლო როდესაც შინ დაბრუნდებით...

ჰოვარდი: გნებავთ, თორმეტზე დაბრუნდით, გნებავთ – პირველზე. მნიშვნელობა არა აქვს. აიღებთ კოკა-კოლას, ჩამრთველს გადაატრიალებთ და შუალამისას ჯეკ ბენის მთელ პროგრამას მოუსმენთ!

ვილი: აუცილებლად შევიძენ, თორემ გზაში უამრავ დროს ვხარჯავ და სულ იმას ვნაღვლობ, რადიოთი რამდენი საინტერესო რამ ვერ მოვისმინე-მეთქი!

ჰოვარდი: ნუთუ მანქანაში რადიო არ გაქვთ?

ვილი: როგორ არა, მაგრამ ვის ახსენდება მისი ჩართვა?

ჰოვარდი: მომისმინეთ, დღეს ხომ ბოსტონში უნდა ყოფილიყავით?

ვილი: სწორედ ამის თაობაზე მინდოდა დალაპარაკება, ჰოვარდ. მხოლოდ ორ წუთს წაგართმევთ. (კულისებიდან სკამი მოაქვს)

ჰოვარდი: რა მოხდა? აქრატომ ხართ?

ვილი: საქმე ისაა, რომ...

ჰოვარდი: იმედია, კვლავ ავარია არ შეგემთხვავთ.

ვილი: არა, მაგრამ...

ჰოვარდი: ღმერთო ჩემო! მე კი შემაშინეთ და... მაშ, რა მოხდა?

ვილი: სიმართლეს გეტყვით, ჰოვარდ. იმ დასკვნამდე მივედი, რომ აქეთ-იქით აღარ უნდა ვიმოგზაურო.

ჰოვარდი: აღარ უნდა იმოგზაუროთ? აბა, რა უნდა გააკეთოთ?

ვილი: ხომ გახსოვთ, შობის დღესასწაულზე ყველანი აქ რომ შევიკრიბეთ? თქვენ მითხარით, შევეცდები, რამე მოვიფიქრო და ქალაქში მოგიძებნო სამუშაო.

ჰოვარდი: ჩვენთან?

ვილი: დიახ, ცხადია.

ჰოვარდი: ა-ა, გამახსენდა. მართალია, მაგრამ თქვენთვის ვერაფრის მოფიქრება ვერ შევძელი, ვილი.

ვილი: მომისმინეთ, ჰოვარდ. ხომ იცით, ჩემი შვილები უკვე დიდები არიან, ასე რომ, ბევრი არაფერი მჭირდება. კვირაში სამოცდახუთი დოლარი რომ მაინც მქონდეს, თავის გატანას მოვახერხებდი.

ჰოვარდი: გასაგებია, ვილი, მაგრამ...

ვილი: გეტყვით, რატომაც, ჰოვარდ. გულწრფელად რომ გითხრათ, ჩვენ შორის დარჩეს და, ცოტათი დავილაღე.

ჰოვარდი: მესმის, ვილი, მაგრამ თქვენ მიმოსვლითი თანამშრომელი ხართ, ჩვენი ფირმა კი პროვინციასთან ვაჭრობს. აქ მხოლოდ ექვსი-ოდე კომივიოიაჟორი თუ გვეყოლება.

ვილი: ღმერთია მოწამე, ჰოვარდ, რომ დახმარება არასდროს არავისთვის მითხოვია. მაგრამ თქვენს ფირმაში ჯერ კიდევ მაშინ ვმუშაობდი, როდესაც მამათქვენი ხელში ატატიებულს გატარებდათ.

ჰოვარდი: ვიცი, ვილი...

ვილი: სწორედ იმ დღეს, თქვენ რომ დაიბადეთ, მამათქვენი – ღმერთმა აცხონოს მისი სული! – მომიხლოვდა და მკითხა, სახელი „ჰოვარდი“ თუ მოგწონსო.

ჰოვარდი: ამას ძალიან ვაფასებ, ვილი, მაგრამ ერთი თავისუფალი ადგილიც კი არ მაქვს. რომ მქონდეს, დაუფიქრებლად აგიყვანდით, მაგრამ არ მაქვს და რა ვქნა. (თავის სანთებულას ეძებს. ვილი აიღებს და მიანვდის. პაუზა)

ვილი (ბრაზი ემატება): ჰოვარდ, შიმშილს რომ თავი დავალწიო, კვირაში ორმოცდაათი დოლარიც მეყოფა.

ჰოვარდი: მერედა რა მოგიხერხოთ, ჩემო კარგო?

ვილი: მომისმინეთ, თქვენ ხომ ეჭვი არ გეპარებათ, რომ საქონლის გაყიდვა შემიძლია?

ჰოვარდი: არა, მაგრამ ეს ბიზნესია, ჩემო კარგო, და ყველამ თავის ადგილზე უნდა ივარგოს.

ვილი (სასწონარკვეთილია): რაღაცას მოგიყვებით, ჰოვარდ.

ჰოვარდი: ხომ არ უარყოფთ, რომ მთავარი საქმეა?

ვილი (გაბრაზებით): ცხადია, მთავარი საქმეა, მაგრამ მომისმინეთ, რას გეტყვით. თქვენ, ალბათ, რაღაც ვერ გაიგეთ. სულ რაღაც ჩვიდ-

მეტი თუ თვრამეტი წლის ვიყავი, როდესაც კომივიოიაჟორად დავიწყე მუშაობა. უკვე მაშინ მინდოდა გამერკვია, ეს იყო ჩემი მომავალი თუ არა. ძალიან მინდოდა ალასკაზე გამგზავრება. მარტო ერთ თვეში იქ სამი ოქროს საბადო აღმოაჩინეს. გული იქით მიმიწევდა, რათა საკუთარი თვალთ მეხილა ყველაფერი.

ჰოვარდი (უინტერესოდ): საინტერესოა!

ვილი: მამაჩემი ხომ მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ალასკაზე. ფხიანი კაცი იყო. ალბათ, მე და ჩემი ძმაც მას დავემსგავსეთ – მოუსვენრები, დაუდგრომლები. ერთთავად იღბალს დავდევდით. იქ ძმასთან ერთად გამგზავრებასა და მამის მოძებნას ვაპირებდი, იქნებ დავსახლებულიყავი კიდევ ჩრდილოეთში მის გვერდით. ასეც მოვიქცეოდი, პარკერჰაუზში ერთ კომივიოიაჟორს რომ არ შევხვედროდი. მას დევი სინგლმენი ერქვა. ოთხმოცდაოთხი წლის იყო და სხვადასხვა საქონლით ოცდათერთმეტ შტატში ვაჭრობდა. ავიდოდა მოხუცი დენი თავის ოთახში, გაჰყოფდა ფეხებს ხავერდის მწვანე ფლოსტებში, – ისინი არადროს დამავიწყდება, – პირში ჩიბუხს გაირჭობდა, თავის კლიენტებს ტელეფონით უკავშირდებოდა და ოთახიდან გაუსვლელად უამრავ ფულს აკეთებდა. ოთხმოცდაოთხი წლის ასაკში... ეს რომ დავინახე, მივხვდი, რომ ვაჭრობა ადამიანისთვის საუკეთესო პროფესიაა. რა შეიძლება იყოს იმაზე სასიამოვნო, როდესაც ოთხმოცდაოთხი წლის ასაკში შეგიძლია ოც თუ ოცდაათ სხვადასხვა ქალაქში შეიარო, ტელეფონის ყურმილი აიღო და იცოდე, რომ უამრავ ადამიანს ახსოვხარ, უყვარხარ და შენ დასახმარებლად უკან არ დაიხევს? ასე არ არის? როდესაც გარდაიცვალა, – სხვათა შორის, ნამდვილი კომივიოიაჟორივით მოკვდა: ბოსტონისკენ მიმავალი, ნიუ-იორკი-ნიუ-ჰეივენ-ჰარტფორდის ხაზზე მწვევლებისთვის განკუთვნილ ვაგონში იჯდა თავისი ხავერდის მწვანე ფლოსტებით, – როდესაც გარდაიცვალა, მის დაკრძალვაზე ასობით კომივიოიაჟორი და კლიენტი ჩავიდა. იმ დღეს ბევრ მატარებელში ნახავდით სახედამწესრებულ ადამიანებს. (დგება)

ჰოვარდი მას თვალს არიდებს.

ვილი: იმ დროს ჩვენს საქმეში მთავარი პიროვნება იყო, ჰოვარდ. ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა და მაღლიერებაც ფასობდა. ახლა კი ყველაფერი უხეშ გათვლაზეა აგებული, მეგობრობა გაქრა, აღარც პიროვნებას აქვს რაიმე მნიშვნელობა. ხომ გესმით, რისი თქმა მსურს? მე უკვე აღარ მიცნობენ.

ჰოვარდი (მისგან მარჯვნივ მიდის): საქმეც ესაა, ვილი.

ვილი: მე რომ კვირაში ორმოცი დოლარი მქონდეს, მეტი არ მინდა... მხოლოდ ორმოცი დოლარი, ჰოვარდ.

ჰოვარდი: ჩემო კარგო, ქვას წვენს ვერაფრით გამოვადენ.

ვილი (სასწონარკვეთილება ეუფლება): ჰოვარდ, იმ წელს, როდესაც გუბერნატორად ელსმიტი აირჩიეს, მამათქვენი ჩემთან მოვიდა და...

ჰოვარდი (ნასვლას აპირებს): რამდენიმე კაცი მყავს სანახავი, ჩემო კარგო. მელოდებიან.

ვილი (აჩერებს): მე ხომ მამათქვენზე ვლაპარაკობ! სწორედ ამ მაგიდასთან ოქროს მთებს მპირდებოდნენ. რატომ მეუბნებით, რომ ვილაც გელოდებთ? ამ ფირმას ჩემი ცხოვრების ოცდაათობმეტი წელი შევალე, ახლა კი დაზღვევის ფულს ვერ ვიხდი! ჯერ ლიმონივით გამომწურეთ, ახლა კი ნაგავში გადაგდებას მიპირებთ? მაგრამ ადამიანი ლიმონი არაა! (პაუზის შემდეგ) ყურადღებით მომისმინეთ! მამათქვენი... 1928 წელი ჩემთვის დიდებული გამოდგა – მხოლოდ საკომისიოს სახით კვირაში ას სამოცდაათ დოლარამდე ვშოულობდი...

ჰოვარდი (მოუთმენლად): გეყოფათ, ვილი, თქვენ არასდროს გამოგიშუშავებიათ...

ვილი (მაგიდას მუშტს ურტყამს): 1928 წელს კვირაში ას სამოცდაათ დოლარამდე ვშოულობდი! მამათქვენი ჩემთან მოვიდა, უფრო სწორად, მაშინ მე კანტორაში ვიყავი. აქ ვიდექით, ამ მაგიდასთან. მან მხარზე ხელი დამადო...

ჰოვარდი (დგება): უნდა მაპატიოთ, ვილი, მაგრამ რამდენიმე შეხვედრა მეღის. თავი ხელში აიყვანეთ. (ოთახიდან გადის) მალე დავბრუნდები.

ჰოვარდის ნასვლის შემდეგ მის სკამს კაშკაშა, უცნაური შუქი ეცემა.

ვილი: „თავი ხელში აიყვანეთ!“.. განა რა ვუთხარი? ღმერთო ჩემო, მგონი ვუყვირე! ასე როგორ მოვიქეცი? (დაჟინებით მისჩერებია შუქს, რომელიც სკამს ანათებს და თითქოს აცოცხლებს კიდევ. უახლოვდება და ჩერდება) ფრენკ, ფრენკ, ნუთუ არ გახსოვთ, რა თქვით მაშინ? როგორ დამადეთ მხარზე ხელი, და, ფრენკ... (მაგიდას ეყრდნობა და იმ დროს, როდესაც განსვენებულის სახელს წარმოთქვამს, შემთხვევით მაგნიტოფონს ჩართავს)

ჰოვარდის ვაჟიშვილის ხმა: ...ნიუ-იორკის შტატის დედაქალაქია ოლბანი, ოჰაიოსი – ცინცინატი. როდ-აილენდისა... (დეკლამაცია გრძელდება)

ვილი (შეშინებული გვერდზე გახტება და ყვირის): ეი, ჰოვარდ! ჰოვარდ! ჰოვარდ!

შემორბის ჰოვარდი.

ჰოვარდი: რა მოხდა?

ვილი (ხელს მაგნიტოფონისკენ იშვერს, რომელიც დუდღუნით, ბავშვური ხმით განაგრძობს დედაქალაქების ჩამოთვლას): გამორთეთ! გამორთეთ!

ჰოვარდი (შტეფსელიდან ჩანგალს აძრობს): დამშვიდდით, ვილი.

ვილი (თვალეებზე ხელებს იჭერს): ყავა უნდა დავლიო. ცოტა ყავა უნდა დავლიო... (გასასვლელისკენ მიდის. ჰოვარდი აჩერებს, თან სადენს ახვევს)

ჰოვარდი: მომისმინეთ, ვილი...

ვილი: ბოსტონში წავალ.

ჰოვარდი: ვილი, თქვენ ბოსტონში ჩვენთვის არ წახვალთ.

ვილი: რატომ?

ჰოვარდი: არ მინდა, რომ თქვენ იყოთ იქ ჩვე-

ნი ფირმის წარმომადგენელი. კარგა ხანია, ამის თქმას ვაპირებდი.

ვილი: მაგდებთ, ჰოვარდ?

ჰოვარდი: მიმაჩნია, რომ საფუძვლიანი დასვენება გჭირდებათ.

ვილი: ჰოვარდ...

ჰოვარდი: როდესაც თავს უკეთ იგრძნობთ, მოდით და მოვიფიქრებ, რისი გაკეთება შეიძლება.

ვილი: მაგრამ მე ფული უნდა გამოვიმუშაო. დანაზოგიც კი არ მაქვს.

ჰოვარდი: თქვენი ვაჟიშვილები სად არიან? რატომ არ გეხმარებიან?

ვილი: მათ დიდი საქმე წამოიწყეს.

ჰოვარდი: ახლა ყალბი სიამაყის დრო არ არის, ვილი, წადით და უთხარით შვილებს, რომ დაილაღეთ და მუშაობა აღარ შეგიძლიათ. თქვენ ხომ ორი მოზრდილი ვაჟი გყავთ, ასე არ არის?

ვილი: ასეა, მაგრამ ჯერჯერობით...

ჰოვარდი: მაშასადამე, შევთანხმდით, არა?

ვილი: კარგი, ბოსტონში ხვალ წავალ.

ჰოვარდი: არა, არა!

ვილი: შვილებს ტვირთად ვერ დავანვები. ხეიბარი კი არ ვარ!

ჰოვარდი: მომისმინეთ, ჩემო კარგო, ხომ გითხარით, დღეს დაკავებული ვარ-მეთქი.

ვილი (ჰოვარდს ხელს სტაცებს): ჰოვარდ, მომეცით ბოსტონში ნასვლის უფლება!

ჰოვარდი (მკაცრად, ცდილობს თავი შეიკავოს): დღეს დილით უამრავ ხალხს უნდა შევხვედე. დაჯექით, ხუთ წუთს გაძლევთ, რათა თავი ხელში აიყვანოთ და შინ წახვიდეთ. გასაგებია? ჩემი კაბინეტი მჭირდება, ვილი. (ნასვლას აპირებს, მაგრამ მაგნიტოფონი ახსენდება, შემოტრიალდება და იმ მაგიდას გასწევს, რომელზეც მოწყობილობა დევს) ჰო, მართლა, ამ კვირაში შემოიარეთ და ნიმუშები მოიტანეთ. როცა მოახერხებთ. თქვენ გამოიჯობინდებით, ვილი, დარწმუნებული ვარ. მერე მოდით და დავილაპარაკოთ. თავი ხელში აიყვანეთ, ჩემო კარგო, აქ ხალხია. (მარცხნივ მიდის და მაგიდას მიაგორებს)

ვილი უაზროდ იყურება წინ, ღონემიხილია. ისმის მუსიკა – ეს ბენის მუსიკაა, – ჯერ შორიდან, შემდეგ სულ უფრო და უფრო ახლოდან. როდესაც ვილი ლაპარაკს იწყებს, მარჯვნიდან ბენი შემოდის. ჩემოდანი და ქოლგა მოაქვს.

ვილი: აჰ, ბენ, როგორ მიაღწიე ამას? გამომხილე საიდუმლო. ალასკაზე ყველაფერი მოაგვარე?

ბენი: განა ბევრი რამ არის საჭირო, როდესაც იცი, რისი მიღწევა გსურს? პატარა საქმიანი მგზავრობა მეღის. ნახევარი საათის შემდეგ გემით მივემგზავრები. გამოსამშვიდობებლად შემოვიარე.

ვილი: უნდა დაგელაპარაკო, ბენ.

ბენი (საათს შეხედავს): მეჩქარება, უილიამ.

ვილი (პროცენიუმს გადაკვეთს): არაფერი გამომდის, ბენ. არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

ჭეფი და ბერნარდი გარბიან.

ვილი: მზად ხართ, ბიჭებო?

მუსიკა ჩერდება.

ბიფი: მზად ვართ, მამა. ყოველი კუნთი მზადაა.

ვილი (პროსცენიუმის კიდედსთან): ხომ სვდები, შენთვის ეს რას ნიშნავს?

ბიფი: რა თქმა უნდა, მამა!

ვილი (კუნთებს უსინჯავს): დღეს საღამოს უკვე ნიუ-იორკის სკოლების ნაკრების კაპიტანი იქნები!

ბიფი: აუცილებლად. და გახსოვდეს, მამა, როცა ჩაფხუტს მოვიხდი, იცოდე, რომ მხოლოდ შენ გესალმები!

ვილი: წავიდეთ. (ბიფს მხარზე ხელს გადახვევს და კარისკენ მიემართება)

შემოდის ჩარლი, მოკლე შარვალი აცვია.

ვილი: ჩარლი, შენთვის ადგილი აღარ მაქვს.

ჩარლი: ადგილი? რა ადგილი?

ვილი: მანქანაში.

ჩარლი: გასეირნებას აპირებთ? მე კი ვფიქრობდი, კარტი ხომ არ გვეთამაშა-მეთქი.

ვილი (გააფთრებით): კარტი? (უნდობლად) შენ რა, არ იცი, დღეს რა დღეა?

ლინდა: რასაკვირველია, იცის. უბრალოდ გაბრაზებს.

ვილი: ჰოდა, ნუ მაბრაზებს!

ჩარლი: ღმერთმანი, არაფერი ვიცი, ლინდა, რა მოხდა?

ლინდა: დღეს ის „ებეტსის“ სტადიონზე თამაშობს.

ჩარლი: ასეთ ამინდში ბეისბოლის თამაში?

ვილი: ამასთან ლაპარაკი არ ღირს. წავედით, წავედით! (ყველას კარისკენ მიერეკება)

ჩარლი: მოიცადეთ! ნუთუ არაფერი გაგიგიათ?

ვილი: რის შესახებ?

ჩარლი: რადიოს არ უსმენთ? ეს-ეს არის „ებეტსის“ სტადიონი აფეთქდა.

ვილი: ჯანდაბამდე გზა გქონია!

ჩარლი იცინის.

ვილი: წავედით, წავედით! ვაგვიანებთ.

ჩარლი (მიამახებს): საკუთარ კარში არ დაგავინყდეს გოლის გატანა, ბიფ, საკუთარ კარში!

ვილი (ყველაზე ბოლოს მიდის და ჩარლისკენ მოტრიალდება): სულაც არ არის სასაცილო, ჩარლი, ეს უდიდესი დღეა მის ცხოვრებაში.

ჩარლი: ნეტა როდის დაღვინდები, ვილი?

ვილი: რაო? ამ მატჩის შემდეგ აღარ გაგეცინება. ეს ბიჭი მეორე რედ გრეინჯი იქნება. წელიწადში ოცდახუთი ათასი!

ჩარლი (დამცინავად): რას მელაპარაკები!

ვილი: რაც გესმის!

ჩარლი: კარგი, მაპატიე, ვილი, მაგრამ იცი, რა მაინტერესებს?

ვილი: რა?

ჩარლი: მე რედ გრეინჯი ვინლაა?

ვილი: მოკვებე, ეშმაკმაც წაილოს შენი თავი, მოკვებე-მეთქი!

ჩარლი ხიზბითებს და თავის კანტურით სცენის მარჯვენა კუთხისკენ მიდის. ვილი უკან მიშ-

ყვება. მუსიკა თანდათან ძლიერდება, მასში ბოროტი დაცინვა ისმის.

ვილი: ერთი მითხარი, თვითონ ვინ ბრძანდები? თავი ყველაზე ჭკვიანი გგონია, არადა, არაფერი იცი, უსწავლელი და უტვინო ხარ. მოკვებე-მეთქი, გაიგე?

ავანსცენის მარჯვენა კუთხეში შუქი ინთება და ჩარლის მისაღებში მაგიდას ანათებს. ისმის ქუჩის ხმაური. მაგიდასთან უკვე დიდი ბერნარდი ზის და უსტვენს. მის გვერდით, იატაკზე, ჩოგბურთის ორი ჩოგანი და ნესესერი დევს.

ვილის ხმა (სცენის მიღმა): სად მიიპარები? ნუ მიდისხარ! თუ რამის თქმა გსურს, პირდაპირ მითხარი! ვიცი, რომ ზურგს უკან დამცინი. მაგრამ ამ მატჩის შემდეგ ეგ სიცილი ტირილად გექცევა, შე ეშმაკის მოციქულო. დარტყმა! დარტყმა! ოთხმოცი ათასი მაყურებელი! გოლი! ზუსტად ცენტრში!

ბერნარდი – წყნარი, სერიოზული, თავის თავში დარწმუნებული ახალგაზრდა კაცი. ვილის ხმა უკვე სცენის მარჯვენა კუთხიდან მოისმის. ბერნარდი მაგიდიდან ფხვებს ჩამოიღებს და სმენას დაძაბავს. შემოდის ჯენი, მამამისის, ჩარლის მდივანი.

ჯენი (აღელვებული): ბერნარდ, თუ შეიძლება, ერთი წუთით ჰოლში გამოდით!

ბერნარდი: რა ხმაურია? ვინ არის?

ჯენი: მისტერ ლომენი. ეს-ეს არის ლიფტიდან გამოვიდა.

ბერნარდი (დგება): ვის ეჩხუბება?

ჯენი: არავის. მარტოა. მიჭირს მასთან ურთიერთობა, მამათქვენი კი ბრაზობს, როდესაც ის მოდის. უამრავი რამ მაქვს დასაბუჭდი. უფროსი კი ფოსტას ელოდება, რათა ხელი მოაწეროს. იქნებ დალაპარაკებოდი?

შემოდის ვილი.

ვილი: ჯარიმა! ჯა... (ჯენის დაინახავს) ჯენი, ჯენი, მიხარია თქვენი ნახვა! როგორ ხართ? მუშაობთ თუ პატიოსნად ცხოვრობთ?

ჯენი: ვმუშაობ. თავად როგორ გრძნობთ თავს?

ვილი: არც ისე კარგად, ჯენი. ჰა, ჰა! (გაოცებით შეჰყურებს ჩოგნებს)

ბერნარდი: გამარჯობა, ვილი ბიძია.

ვილი (გაკვირვებულია): ბერნარდ! ნუთუ ეს შენ ხარ? (აჩქარებით, დამნაშავე სახით მიდის ბერნარდთან და გულთბილად ართმევს ხელს)

ბერნარდი: როგორ ბრძანდებით? მიხარია, რომ გხედავთ.

ვილი: აქ რას აკეთებ?

ბერნარდი: მამასთან შემოვიარე. მატარებლის გასვლამდე სულს მოვითქვამ-მეთქი. რამდენიმე წუთში ვაშინგტონში მივემგზავრები.

ვილი: ის აქ არის?

ბერნარდი: თავის კაბინეტშია, ბულალტერს ესაუბრება. დაბრძანდით.

ვილი (ჯდება): ვაშინგტონში რა გინდა?

ბერნარდი: საქმის განხილვაში ვმონაწილეობ.

ვილი: მართლა? (ჩოგნებზე მიუთითებს) იქ აპირებ თამაშს?

ბენი: მომისმინე, ალასკაზე ტყიანი ნაკვეთი შევიძინე და კაცი მჭირდება, ვინც მიმიხედავს.

ვილი: ღმერთო ჩემო, ნამდვილი ტყე! ოჰ, რა ლაღად ვიცხოვრებთ მე და ჩემი ბიჭები!

ბენი: ამ სახლს მიღმა ახალი მიწებია, უილიამ. მიატოვე ეს ქალაქები – აქ ხომ არაფერია ლაყბობის, განვადებებისა და სასამართლო დავების გარდა. ხელები მომუშტე და იქ, შორეთში, სიმდიდრეს მოიხვეჭ.

ვილი: დიას! შენ მართალი ხარ! ლინდა! ლინდა!

შემოდის ახალგაზრდა ლინდა, ხელში გარეცხილი თეთრეულით ხავსე კალათა უჭირავს. ლინდა: როგორ, უკვე დაბრუნდი?

ბენი: ძალიან ცოტა დრო მაქვს!

ვილი: მოიცა, მოიცა! ლინდა, ის ალასკაზე გამგზავრებას მთავაზობს.

ლინდა: მაგრამ შენ... (ბენს) მას აქ შესანიშნავი სამუშაო აქვს.

ვილი: ალასკაზე, ჩემო ცუგრუმელა, მე შევძლებ...

ლინდა: შენ აქაც კარგად ხარ, ვილი!

ბენი (ლინდას): ნუთუ ასე კარგადაა, ძვირფასო?

ლინდა (ეშინია ბენისა და ბრაზობს): ნუ ეუბნებით ჩემს ქმარს ამგვარ რამეებს! განა ცოტაა მისთვის, რომ აქაც ბედნიერია? (ვილის, თან ბენის სიცილის გადაფარვას ცდილობს) ნუთუ ყველა ვალდებულია, რომ მსოფლიო დაიპყროს? ყველა პატივისცემით გეპყრობა, შვილებს უყვარხარ, ერთ მშვენიერ დღეს კი... (ბენს) ამ ცოტა ხნის წინ მოხუცი ვაგნერი დაჰპირდა, თუ ასე განაგრძობ მუშაობას, ფირმის კომპანიონად გაგხდით. ხომ დაგპირდა, ვილი?

ვილი: ჰო, დამპირდა. მე უკვე საძირკველი ჩაუყარე ჩემს მომავალს ამ ფირმაში, ბენ, და თუ კაცი რაიმეს აშენებს, ის სწორ გზაზე დგას, ასე არ არის?

ბენი: რა ააშენე? აბა, ხელით შეეხე. სად არის?

ვილი (გაუბედავად): ის მართალია, ლინდა, აქ არაფერია.

ლინდა: რატომ? (ბენს) არის აქ ერთი კაცი, ოთხმოცდაოთხი წლისა...

ვილი: სიმართლეს გეუბნება, ბენ, სიმართლეს! როდესაც იმ კაცს ვუყურებ, საკუთარ თავს ვეუბნები, რომ სადარდებელი არაფერი მაქვს!

ბენი: ოჰო!

ვილი: ასეა, ბენ, გეფიცები. ერთადერთი, რაც მას სჭირდება, ქალაქში ჩასვლა და ტელეფონის ყურმილის აღებაა – ფული მისკენ მაშინვე მდინარესავით მოედინება. და იცი, რატომ?

ბენი (ჩემოდანს იღებს): ჩემი წასვლის დროა.

ვილი (აჩერებს): ერთი ამ ბიჭს შეხედე!

სეიტერში გამოწყობილ ბიფს ჩემოდანი შემოაქვს. ჰეფის ბიფის საბეჭურები, ოქროსფერი ჩაფხუტი და ფეხბურთელის ფორმა მოაქვს.

ვილი: ჯიბეში ერთი ცენტრიც არ უჭყავის, მის გამო კი ერთმანეთს სამი ცნობილი უნივერსიტეტი ებრძვის! მას ვერაფერი შეაჩერებს. ეს ის არ არის, რასაც შენ აკეთებ, ბენ. მთავარი ღი-

მილი, მიმზიდველობა და კავშირებია. პირადი კონტაქტები, ბენ, პირადი კონტაქტები! ალასკის მთელი სიმდიდრე ხელიდან ხელში სასტუმრო „კომოდორში“ სადილობისას გადადის. და ეს საოცრებაა, ბენ, ჩვენი ქვეყნის საოცრება, რომ ადამიანს თავისი მომხიბლაობის წყალობით ხელში აღმასის ქვიშრობების ჩაგდება შეუძლია! (ბიფისკენ მიტრიალდება) აი, რატომ არის დღეს ასე მნიშვნელოვანი მინდორზე შენი გასვლა! ათასობით ადამიანი მოგესალმება, ალტაცებაში მოვა და შეგიყვარებს! (ბენს, რომელიც კვლავ გასასვლელისკენ მიემართება) ხომ გესმის, ბენ? როდესაც იგი სავაჭრო კანტორაში შევა, მას ზარების რეკვით შეხვდებიან, ეს ათასჯერ მაქვს ნანახი! ამას ხელით ვერ შეეხები, როგორც ხეს ტყეში, მაგრამ ეს ასეა, ეს არსებობს!

ბენი: მშვიდობით, უილიამ.

ვილი: მითხარი, ბენ, მართალი ვარ? არ ფიქრობ, რომ მართალი ვარ? ხომ იცი, როგორ ვაფასებ შენს რჩევას.

ბენი: შენი სახლის მიღმა ახალი მიწებია, ბენ. შეგიძლია, იქიდან მდიდარი დაბრუნდე, მდიდარი! (მიდის)

ვილი: ჩვენ ამას აქაც მივალწვეთ, ბენ! გესმის? აქაც მივალწვეთ.

შემორბის ახალგაზრდა ბერნარდი. ისმის ბიჭების მხიარული მუსიკა.

ბერნარდი: ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ მეშინოდა, აღარ დამხვდებიან-მეთქი!

ვილი: რატომ? რომელი საათია?

ბერნარდი: ორის ნახევარი.

ვილი: მაშ, წავიდე! შემდეგი გაჩერება – „ებეტის“ სტადიონი! აღმები სად არის? (სამზარეულოს კედლის „გავლით“ სასტუმრო ოთახში შერბის)

ლინდა (ბიფს): სუფთა საცვლები ხომ აიღე?

ბიფი (ერთთავად მოძრაობს): უნდა წავიდე!

ბერნარდი: ბიფ, მე შენს ჩაფხუტს წამოვიღებ, კარგი?

ჰეფი: არა, ჩაფხუტი მე უნდა წავიღო.

ბერნარდი: ბიფ, შენ ხომ დამპირდი!

ჰეფი: ჩაფხუტს მე წავიღებ.

ბერნარდი: აბა, გასახდელში როგორ შევალწიო?

ლინდა: ნება მიეცი, რომ შენი სამხრეები წაიღოს. (პალტოს იცვამს და შლაპას იხურავს)

ბერნარდი: შეიძლება, ბიფ? თორემ ყველას ვუთხარი, გასახდელში ვიქნები-მეთქი!

ჰეფი: „ებეტის“ სტადიონზე ამას კლუბის შენობა ჰქვია.

ბერნარდი: მეც სწორედ კლუბის შენობა ვიგულისხმე. ბიფ!

ჰეფი: ბიფ!

ბიფი (დიდსულოვნად, ხანმოკლე პაუზის შემდეგ): იცოდე, არსად დამეკარგო.

შემორბის ვილი, აღმები მოაქვს. ყველას ურიგებს.

ვილი: როდესაც ბიფი მინდორზე გამოვა, ქნევა არ დაიზაროთ!

ჰეფი და ბერნარდი გარბიან.

ვილი: მზად ხართ, ბიჭებო?

მუსიკა ჩერდება.

ბიფი: მზად ვართ, მამა. ყოველი კუნთი მზადაა.

ვილი (პროსცენიუმის კიდედთან): ხომ ხვედ-ბი, შენთვის ეს რას ნიშნავს?

ბიფი: რა თქმა უნდა, მამა!

ვილი (კუნთებს უსინჯავს): დღეს საღამოს უკვე ნიუ-იორკის სკოლების ნაკრების კაპიტანი იქნები!

ბიფი: აუცილებლად. და გახსოვდეს, მამა, როცა ჩაფხუტს მოვიხდი, იცოდე, რომ მხოლოდ შენ გესალმები!

ვილი: წავიდეთ. (ბიფს მხარზე ხელს გადახვევს და კარისკენ მიემართება)

შემოდის ჩარლი, მოკლე შარვალი აცვია.

ვილი: ჩარლი, შენთვის ადგილი აღარ მაქვს.

ჩარლი: ადგილი? რა ადგილი?

ვილი: მანქანაში.

ჩარლი: გასეირნებას აპირებთ? მე კი ვფიქრობდი, კარტი ხომ არ გვეთამაშა-მეთქი.

ვილი (გააფთრებით): კარტი? (უნდობლად) შენ რა, არ იცი, დღეს რა დღეა?

ლინდა: რასაკვირველია, იცის. უბრალოდ გაბრაზებს.

ვილი: ჰოდა, ნუ მაბრაზებს!

ჩარლი: ღმერთმანი, არაფერი ვიცი, ლინდა, რა მოხდა?

ლინდა: დღეს ის „ებეტსის“ სტადიონზე თამაშობს.

ჩარლი: ასეთ ამინდში ბეისბოლის თამაში?

ვილი: ამასთან ლაპარაკი არ ღირს. წავედით, წავედით! (ყველას კარისკენ მიერეკება)

ჩარლი: მოიცადეთ! ნუთუ არაფერი გაგიგიათ?

ვილი: რის შესახებ?

ჩარლი: რადიოს არ უსმენთ? ეს-ეს არის „ებეტსის“ სტადიონი აფეთქდა.

ვილი: ჯანდაბამდე გზა გქონია!

ჩარლი იცინის.

ვილი: წავედით, წავედით! ვაგვიანებთ.

ჩარლი (მიძახებს): საკუთარ კარში არ დაგავიწყდეს გოლის გატანა, ბიფ, საკუთარ კარში!

ვილი (ყველაზე ბოლოს მიდის და ჩარლისკენ მოტრიალდება): სულაც არ არის სასაცილო, ჩარლი, ეს უდიდესი დღეა მის ცხოვრებაში.

ჩარლი: ნეტა როდის დაღვინდები, ვილი?

ვილი: რაო? ამ მატჩის შემდეგ აღარ გაგეცინება. ეს ბიჭი მეორე რედ გრეინჯი იქნება. წელიწადში ოცდახუთი ათასი!

ჩარლი (დამცინავად): რას მელაპარაკებ!

ვილი: რაც გესმის!

ჩარლი: კარგი, მაპატიე, ვილი, მაგრამ იცი, რა მაინტერესებს?

ვილი: რა?

ჩარლი: ეს რედ გრეინჯი ვინლაა?

ვილი: მოკეტე, ეშმაკმაც წაიღოს შენი თავი, მოკეტე-მეთქი!

ჩარლი ხითხითებს და თავის კანტურით სცენის მარჯვენა კუთხისკენ მიდის. ვილი უკან მიჰყვება.

მუსიკა თანდათან ძლიერდება, მასში ბოროტი დაცინვა ისმის.

ვილი: ერთი მითხარი, თვითონ ვინ ბრძანდები? თავი ყველაზე ჭკვიანი გგონია, არადა, არაფერი იცი, უსწავლელი და უტყინო ხარ. მოკეტე-მეთქი, გაიგე?

ავანსცენის მარჯვენა კუთხეში შუქი ინთება და ჩარლის მისაღებში მაგიდას ანათებს. ისმის ქუჩის ხმაური. მაგიდასთან უკვე დიდი ბერნარდი ზის და უსტვენს. მის გვერდით, იატაკზე, ჩოგბურთის ორი ჩოგანი და ნესესერი დევს.

ვილის ხმა (სცენის მიღმა): სად მიიპარები? ნუ მიდხარ! თუ რამის თქმა გასურს, პირდაპირ მითხარი! ვიცი, რომ ზურგს უკან დამცინი. მაგრამ ამ მატჩის შემდეგ ვე სიცილი ტირილად გექცევა, შე ეშმაკის მოციქულო. დარტყმა! დარტყმა! ოთხმოცი ათასი მაყურებელი! გოლი! ზუსტად ცენტრში!

ბერნარდი – წყნარი, სერიოზული, თავის თავში დარწმუნებული ახალგაზრდა კაცი. ვილის ხმა უკვე სცენის მარჯვენა კუთხიდან მოისმის. ბერნარდი მაგიდიდან ფეხებს ჩამოიღებს და სმენას დაძაბავს. შემოდის ჯენი, მამამისის, ჩარლის მდივანი.

ჯენი (აღელვებული): ბერნარდ, თუ შეიძლება, ერთი წუთით ჰოლში გამოდით!

ბერნარდი: რა ხმაურია? ვინ არის?

ჯენი: მისტერ ლომენი. ეს-ეს არის ლიფტიდან გამოვიდა.

ბერნარდი (დგება): ვის ეჩხუბება?

ჯენი: არავის. მარტოა. მიჭირს მასთან ურთიერთობა, მამათქვენი კი ბრაზობს, როდესაც ის მოდის. უამრავი რამ მაქვს დასაბეჭდი. უფროსი კი ფოსტას ელოდება, რათა ხელი მოაწეროს. იქნებ დალაპარაკებოდით?

შემოდის ვილი.

ვილი: ჯარიმა! ჯა... (ჯენის დაინახავს) ჯენი, ჯენი, მიხარია თქვენი ნახვა! როგორ ხართ? მუშაობთ თუ პატიოსნად ცხოვრობთ?

ჯენი: ვმუშაობ. თავად როგორ გრძნობთ თავს?

ვილი: არც ისე კარგად, ჯენი. ჰა, ჰა! (გაოცებით შეჰყურებს ჩოგნებს)

ბერნარდი: გამარჯობა, ვილი ბიძია.

ვილი (გაკვირვებულია): ბერნარდ! ნუთუ ეს შენ ხარ? (აჩქარებით, დამნაშავე სახით მიდის ბერნარდთან და გულთბილად ართმევს ხელს)

ბერნარდი: როგორ ბრძანდებით? მიხარია, რომ გხედავთ.

ვილი: აქ რას აკეთებ?

ბერნარდი: მამასთან შემოვიარე. მატარებლის გასვლამდე სულს მოვითქვამ-მეთქი. რამდენიმე წუთში ვაშინგტონში მივმგზავრები.

ვილი: ის აქ არის?

ბერნარდი: თავის კაბინეტშია, ბულალტერს ესაუბრება. დაბრძანდით.

ვილი (ჯდება): ვაშინგტონში რა გინდა?

ბერნარდი: საქმის განხილვაში ვმონაწილეობ.

ვილი: მართლა? (ჩოგნებზე მიუთითებს) იქ აპირებ თამაშს?

ბერნარდი: მეგობართან შევივლი, საკუთარ კორტი აქვს.

ვილი: შეუძლებელია! საკუთარი ჩოგბურთის კორტი? დარწმუნებული ვარ, შესანიშნავი ხალხი იქნება.

ბერნარდი: დიახ, ძალიან კარგი. მამამ მითხრა, რომ ბიფი ჩამოსულა.

ვილი (ფართოდ ეღიმიება): ჰო, ბიფი ჩამოვიდა. დიდი საქმე წამოიწყო, ბერნარდ.

ბერნარდი: რას საქმიანობს?

ვილი: დასავლეთში ბევრს მიაღწია, ძალიან ბევრს... ახლა კი გადაწყვიტა, რომ აქ დამკვიდრდეს... დღეს ერთად ვსადილობთ. თუ სწორად გავიგე, შენს ცოლს ბიჭი გაუჩინია, ასეა?

ბერნარდი: დიახ. ეს უკვე მეორეა.

ვილი: ორი ბიჭი! ვინ იფიქრებდა?

ბერნარდი: მაშ, რა საქმე წამოიწყო ბიფმა?

ვილი: საქმე ისაა, რომ ბილ ოლივერს – იგი სპორტული ნაწარმის მსხვილი ფირმის მეპატრონეა – ძალიან უნდა, რომ ბიფმა მასთან იმუშაოს. დაურეკა და დასავლეთიდან ჩამოიყვანა. კარტ ბლანში, საერთაშორისო შეკვეთები ტელეფონით, საგანგებო მიწოდებები. მაშასადამე, შენს მეგობრებს საკუთარი ჩოგბურთის კორტი აქვთ?

ბერნარდი: კვლავაც იმ ფირმაში მუშაობთ, ვილი?

ვილი (პაუზის შემდეგ): მე... მე გულით მიხარია შენი წარმატებები, ბერნარდ, გულით მიხარია. სასიამოვნოა იმის დანახვა, რომ ახალგაზრდა კაცი მართლაც... მართლაც... თითქოს ბიფსაც ყველაფერი კარგად უნდა აეწყო, თითქოს... (ჩუმდება) ბერნარდ... (გრძნობების მოზღვავეებისგან სიტყვის თქმას ველარ ახერხებს)

ბერნარდი: რა მოხდა, ვილი?

ვილი (ძალზე დაპატარავებული და მარტოხელა): რა არის... რა არის საიდუმლო?

ბერნარდი: რომელი საიდუმლო?

ვილი: როგორ... როგორ მიაღწიე ამას? რატომ მან ვერ შეძლო ეს?

ბერნარდი: არ ვიცი, ვილი.

ვილი (ნდობით, სასონარკვეთილი): შენ ხომ მისი მეგობარი იყავი, ბავშვობის მეგობარი. რაღაც არ მესმის. სტადიონ „ებეტსზე“ გამართული იმ მატჩის შემდეგ ყველაფერი უკულმა წავიდა. მის ცხოვრებაში ჩვიდმეტი წლის შემდეგ კარგი არაფერი მომხდარა.

ბერნარდი: ის არასდროს არაფრისთვის სერიოზულად არ ემზადებოდა.

ვილი: ცდები! ემზადებოდა! სკოლის დამთავრების შემდეგ დაუსწრებელ კურსებზე სწავლობდა – ეს რადიოტექნიკაო, ეს ტელევიზიაო. ღმერთმა უწყის, რა აღარ ისწავლა. მაგრამ მაინც ვერაფერს მიაღწია,

ბერნარდი (სათვალეს იხსნის): ვილი, გინდათ, გულწრფელად გითხრა?

ვილი (დგება და მას სახეში შესცქერის): ხომ იცი, ბერნარდ, რომ უდიდეს ადამიანად მიმაჩნისარ და ძალიან ვაფასებ შენს რჩევებს.

ბერნარდი: ჯანდაბას რჩევები, ვილი! ვერაფერს გირჩევთ. არის ერთი რამ, რისი გაგებაც

დიდი ხანია მაინტერესებს. როდესაც ბიფი გამოსაშვებ გამოცდებს აბარებდა და მათემატიკის მასწავლებელმა ჩაჭრა...

ვილი: ა-ა, სწორედ იმ ბოზიშვილმა დაუნგრია მას ცხოვრება.

ბერნარდი: დიახ, მაგრამ გაიხსენეთ, ვილი, რომ მას მხოლოდ ერთი რამ უნდა გაეკეთებინა – ზაფხულში ემეცადინა და მათემატიკა ჩაებარებინა!

ვილი: მართალია, მართალია.

ბერნარდი: თქვენ აუკრძალეთ ზაფხულში მეცადინეობა?

ვილი: მე? კიდევ შევხვებენ, იმეცადინემეთქი, კიდევ ვუბრძანე.

ბერნარდი: მაშ რატომ არ გააკეთა ეს?

ვილი: რატომ? რატომ! უკვე თხუთმეტი წელია, ეს კითხვა მოჩვენებასავით სულ თან დამდევის. იგი გამოცდაზე ჩაიჭრა, სწავლას თავი მიანება და ყველაფერი უკულმა წაუვიდა.

ბერნარდი: ოღონდაც არ ინერვიულოთ, თუ შეიძლება!

ვილი: ნება მომეცი, ცოტა ხანს გესაუბრო. მე ხომ დამლაპარაკებელიც კი არავინ მყავს. ეჰ, ბერნარდ, ბერნარდ, ეს, ალბათ, ჩემი ბრალია. გესმით? განუწყვეტილვ ვფიქრობ: იქნებ რამე დავაშავე? იქნებ გული ვატკინემეთქი? და ამას ველარაფრით გამოვიწყდი.

ბერნარდი: დამშვიდდით.

ვილი: რატომ დანებდა? რა მოხდა? შენ ხომ მისი მეგობარი იყავი?

ბერნარდი: ვილი, მახსოვს, რომ ივნისი იდგა და ატესტატის ასაღებად ვემზადებოდით. ის კი მათემატიკაში ჩაიჭრა.

ვილი: დამპალი მასწავლებელი!

ბერნარდი: არა, საქმე სხვაგვარად იყო. მახსოვს, ძალიან გაბრაზდა და გამოცდის ხელახლა ჩასაბარებლად საზაფხულო სკოლაში სიარული გადაწყვიტა.

ვილი (გაოცებული): მეცადინეობა გადაწყვიტა?

ბერნარდი: ბიფი საკმაოდ იმედიანად იყო განწყობილი, მაგრამ მერე სახლიდან თითქმის მთელი თვით დაიკარგა. ვიფიქრე, რომ, შესაძლოა, თქვენთან წამოსულიყო ახალ ინგლისში. შეგხვდათ? გესაუბრათ?

ვილი დუმს და ბერნარდს თვალს არ აშორებს.

ბერნარდი: რას იტყვით, ვილი?

ვილი (აშკარა გულისწყრომით): დიახ, ბოსტონში ჩამოვიდა. მერე რა?

ბერნარდი: არაფერი. უბრალოდ, როცა დაბრუნდა, საგონებელში იყო ჩავარდნილი – არასოდეს დამავინწყდება მისი სახე. მე ხომ კარგი თვალით ვუყურებდი ბიფს, თუმცა ის ყოველთვის ჩემს დაბრწყვებას ცდილობდა. იცით, ვილი, მე ის მიყვარდა. ჰოდა, როცა ჩამოვიდა, აილო თავისი ბოტასები, წარწერით „ვირჯინიის უნივერსიტეტი“, რომლითაც ისე ამაცობდა, რომ გახდაც კი არ უნდოდა ხოლმე, სარდაფში ჩაიტანა, ცეცხლში შეაგდო და დაწვა. ჩვენი მუშტი-კრივიც იქვე გაიმართა, დიდხანს ვჩხუბობ-

დით, თითქმის ნახევარი საათი. ჩვენ გარდა არავინ იყო. ერთმანეთს მუშტებს ვურტყამდით და ვჭიროდით. მერე ხშირად მიფიქრია იმ უცნაურობაზე, როგორ წამსვე მივხვდი, რომ სიცოცხლე მობეზრებოდა. რა მოხდა მაშინ ბოსტონში, ვილი?

ვილი თანამოსაუბრეს გაბოროტებით შესცქერის.

ბერნარდი: ამ საკითხს იმიტომ შევეხე, რომ თვითონ მკითხეთ.

ვილი (გულმოსული): რა უნდა მომხდარიყო? ან რა კავშირი აქვს ამას საქმესთან?

ბერნარდი: კარგი, ნუ ბრაზობთ.

ვილი: შენ გინდა, ყველაფერი მე გადმომაბრალო. თუ ბიჭი დანებდა, მე რა შუაში ვარ?

ბერნარდი: მომისმინეთ, ვილი, არ გინდათ...

ვილი: მაშინ ნუ მიბედავ... ნუ მიბედავ ასე ლაპარაკს! რისი თქმა გსურს? რაზე მიანიშნებ? რას ნიშნავს ეს „რა მოხდა“?

შემოდის ჩარლი. ყილეტითაა, უპიჯაკოდ, ხელში ვისკით სავსე ბოთლი უჭირავს.

ჩარლი: ეი, ბერნარდ, მატარებელზე დაგაგვიანდება! (ბოთლს აქნევს)

ბერნარდი: მივდივარ. (ბოთლს იღებს) გმადლობთ, მამა. (ნესესერსა და ჩოგნებს იღებს) ნახვამდის, ვილი, თავს ნუ იმტვრევთ. ხომ იცით, „თუ პირველი ცდა წარუმატებელია“...

ვილი: ამისა კი მჯერა.

ბერნარდი: მაგრამ ისეც ხდება ხოლმე, რომ ზოგჯერ წასვლა ჯობს.

ვილი: წასვლა?

ბერნარდი: დიახ, წასვლა.

ვილი: და თუ ადამიანს წასვლა არ შეუძლია?

ბერნარდი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ): მაშინ მართლაც ცუდადაა საქმე. (ხელს უწვდის) ნახვამდის, ვილი!

ვილი (ხელს ჩამოართმევს): ნახვამდის, ბიჭუნო.

ჩარლი (ბერნარდს მხარზე ხელს ადებს): როგორ მოგწონს ეს ბიჭი? უმაღლეს სასამართლოში უნდა დაიცვას საქმე!

ბერნარდი (უკმაყოფილოდ): მამა!

ვილი (გულწრფელად განცვიფრებული, გულნატკენი და ბედნიერი): რას მეუბნები! უმაღლეს სასამართლოში?

ბერნარდი: უნდა გავიქცე. ნახვამდის, მამა!

ჩარლი: აჩვენე, რაც შეგიძლია, შვილო. (საფულეს იღებს)

ბერნარდი მიდის.

ვილი: უმაღლეს სასამართლოში! და ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს!

ჩარლი (მაგიდაზე ფულს ითვლის): რა საჭიროა? მთავარი საქმის გაკეთებაა და არა ლაპარაკი.

ვილი: შენ ხომ მისთვის არასდროს გისწავლებია, როგორ მოქცეულიყო. მისდამი ინტერესსაც არასდროს იჩენდი.

ჩარლი: იმან გადამარჩინა, რამ არასდროს არაფრით არ ვინტერესდებოდი. აქ ცოტაოდენი ფულია – ორმოცდაათი დოლარი. შიგნით ჩემი ბუღალტერი ზის.

ვილი: რალაც უნდა გითხრა, ჩარლი... (უმიძის) დაზღვევის ფული მაქვს შესატანი. თუ შეგიძლია... ას ათი დოლარი მჭირდება.

ჩარლი არ პასუხობს, გაუნძრევლად ზის.

ვილი: შემიძლია, ბანკიდან გამოვიტანო, მაგრამ ლინდა გაიგებს, მე კი...

ჩარლი: დაჯექი, ვილი.

ვილი (სკამთან მიდის): გაითვალისწინე, რომ ყველაფერს ვინერ. უკანასკნელ ცენტსაც კი დაგიბრუნებ. (ჯდება)

ჩარლი: ახლა მე მომისმინე, ვილი...

ვილი: მინდა იცოდე, რომ ძალიან გემადლიერები...

ჩარლი (მაგიდას მიუჯდება): მითხარი, ვილი, რა გემართება? რა ეშმაკი შეგიჩნდა?

ვილი: რას გულისხმობ? მე მხოლოდ...

ჩარლი: მე შენ სამუშაო შემოგთავაზე. კვირაში ორმოცდაათი დოლარი გექნებოდა. აღარც აქეთ-იქით წანწალი მოგიწევდა.

ვილი: მე მაქვს სამუშაო.

ჩარლი: უხეფვასო? ეს რა სამუშაოა, თუ არაფერს გიხდის? (დგება) და საერთოდ, მეგობარო, ეს უკვე მეტისმეტია. მართალია, გენიოსი არა ვარ, მაგრამ იმდენს მაინც ვხვდები, რომ შეურაცხყოფას მაყენებენ.

ვილი: შეურაცხყოფას?

ჩარლი: რატომ არ გინდა ჩემთან მუშაობა?

ვილი: რა არის აქ გაუგებარი? მე ხომ მაქვს სამუშაო.

ჩარლი: მაშ, რატომ მოდიხარ აქყოველ კვირას?

ვილი (დგება): თუ არ გინდა, რომ მოვიდე...

ჩარლი: მე შენ სამუშაოს გთავაზობ.

ვილი: არ მინდა ეგ შენი დაწყველილი სამუშაო!

ჩარლი: დალახვროს ეშმაკმა, ბავშვივით იქცევი!

ვილი (გაცხარებით): ერთხელაც გაბედავ ამის თქმას, ბრიყვო, და ცხვირ-პირს დაგინაყავ! შენი ტანით ნუ მაშინებ! (ჩხუბისთვის მზად არის)

პაუზა.

ჩარლი (ალერსიანად, მისკენ მიდის): რამდენი გჭირდება, ვილი?

ვილი: გამანადგურეს, ჩარლი, ბოლო მომილეს! აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. სამსახურიდან დამითხოვეს.

ჩარლი: ჰოვარდმა გამოგაგდო?

ვილი: ჰო, მაგ ცინგლიანმა. წარმოგიდგენია?! მე მას, თითქმის ნათლიად ვეკუთვნიდი. სხელიც ხომ მე დავარქვი.

ჩარლი: ღმერთო ჩემო, როდის მიხვდები, რომ ამგვარი წვრილმანი არაფერს ნიშნავს?

კარგი, დავუშვათ, ჰოვარდი შენ დაარქვი. მაგრამ მაგას ხომ ვერ გაყიდი. ჩვენს სამყაროში მხოლოდ ის ფასობს, რაც იყიდება! სასაცილოა, მთელი ცხოვრება ვაჭრობას მისდევ, ასეთი უბრალო რამ კი არ იცი.

ვილი: ყოველთვის ვცდილობდი, ასე არ მეფიქრა. მიმაჩნდა, რომ თუ ადამიანი მიმზიდველია და ხალხში მოწონებით სარგებლობს, მას არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეს.

ჩარლი: რატომ უნდა მოსწონდე ყველას? განა ჯონ პირპონტი მორგანი ვინმეს მოსწონდა? განა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა? თურქულ აბანოში მას, ალბათ, ყასბისგან ვერავინ გაარჩევდა, მაგრამ ფულით სავსე ჯიბეებით ყველასთვის ძალზე სიმპათიურად გამოიყურებოდა. მისმინე, ვილი, ვიცი, რომ გულზე დიდად არ გეხატები. არც მე ვდნები შენი სიყვარულით, მაგრამ სამუშაოს მაინც მოგცემ, რადგან... ჯანდაბა! არც კი ვიცი, რატომ. რას იტყვი?

ვილი: არ შემიძლია... არ შემიძლია შენთან მუშაობა, ჩარლი.

ჩარლი: შენ რა, ჩემი ხომ არ გშურს?

ვილი: არ შემიძლია შენთან მუშაობა და მორჩა. მიზეზს ნუ მკითხავ.

ჩარლი (გაბრაზებული, ჯიბიდან რამდენიმე ბანკნოტს იღებს): შენ მთელი ცხოვრება გშურდა ჩემი, წყევლო სულელო! აჰა, გადაიხადე შენი დაზღვევა! (ვილის ფულს ხელში სჩრის)

ვილი: ყველაფერი ზუსტად მაქვს ჩანერილი, უკანასკნელ ცენტამდე.

ჩარლი: ახლა კი საქმეს უნდა მივხედო. თავს გაუფრთხილდი. და დაზღვევის ფული გადაიხადე.

ვილი (მარჯვნივ მიდის): სასაცილოა, არა? მთელი ცხოვრება გზებზე დაეხეტები, ფეხით, მატარებლით, მანქანით, სად არ ყოფილხარ. ბოლოს კი მკვდარი უფრო მეტად ფასობ, ვიდრე ცოცხალი.

ჩარლი: ვილი, მკვდარში არავინ არაფერს იხდის. (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) ხომ კარგად გაიგონე, რაც გითხარი?

ფიქრებში წასული ვილი გაუნძრევლად დგას.

ჩარლი: ვილი!

ვილი: როცა ნახავ, ბერნარდს ჩემ მაგივრად მოუბოდიშე. მასთან კამათს არ ვაპირებდი. კარგი ბიჭია. ყველანი კარგები არიან და გზასაც გაიკვლევენ – სამივენი. ოდესმე ჩოგბურთსაც ერთად ითამაშებენ. წარმატება მისურვე, ჩარლი, დღეს ხომ ის ბილ ოლივერს უნდა შეხვედროდა.

ჩარლი: წარმატებას გისურვებ!

ვილი (ცრემლებს იკავებს): შენ ჩემი ერთადერთი მეგობარი ხარ, ჩარლი. სასაცილოა, არა? (მიდის)

ჩარლი: ღმერთო ჩემო! (ჩარლი ცოტა ხანს ვილის გასცქერის, მერე კი უკან მიჰყვება)

სცენაზე სრულიად ჩამობნელდება. უეცრად მხიარული მუსიკის ხმა გაისმის და სცენის მარჯვენა ნაწილი წითლად ნათდება. გამოდის სტენლი, ახალგაზრდა ოფიციალტი, რომელსაც მაგიდა მოაქვს. უკან ჰეფი მოჰყვება, ორივე ხელში თითო სკამი უჭირავს.

სტენლი (მაგიდას დგამს): აქ უნდა მოგეწონოთ. თვითონ გავართმევ თავს. (ჰეფისკენ შეტრიალდება, სკამებს ჩამოართმევს და მაგიდასთან ათავსებს)

ჰეფი (იქაურობას ათვალიერებს): დიახ, აქ უკეთესია.

სტენლი: რა თქმა უნდა. წინა დარბაზში ისე-

თი ხმაურია! როდესაც ვინმეს დაპატივებას დააპირებთ, მისტერ ლომენ, წინასწარ გამაფრთხილეთ და მაგიდას ყოველთვის აქ მოგიწყოთ, კუთხეში. ჩვენი კლიენტების უმრავლესობას არ უყვარს, როდესაც მათ გარშემო სიცარიელეა – რახან გარეთ გამოვიდნენ, სურთ, რომ ირგვლივ ყველაფერი ტრიალებდეს, მათ ხომ ყელში ამოუვიდათ თავიანთ სახლებში ყოფნა. მაგრამ ვიცი, რომ თქვენ განსხვავებული ადამიანი ბრძანდებით. მიმიხვდით, ალბათ, რასაც ვგულისხმობ.

ჰეფი (მაგიდას მიუჯდება): როგორ მიდის ცხოვრება, სტენლი?

სტენლი: ეს ხომ ძალღური ცხოვრებაა, მისტერ ლომენ. დასანანია, რომ ომის დროს ჯარში არ წამიყვანეს. ახლა მკვდარი მაინც ვიქნებოდი.

ჰეფი: ჩემი ძმა დაბრუნდა, სტენლი.

სტენლი: ჩამოვიდა? შორეული დასავლეთიდან, არა?

ჰეფი: ჰო, ის ახლა მსხვილი მესაქონლეა. ასე რომ, შესაფერისად მოექცე. მამაჩემიც იქნება.

სტენლი: ოჰო, მამათქვენიც?

ჰეფი: კარგი ასთაკვი თუ გაქვთ?

სტენლი: უმაღლესი ხარისხის, მოზრდილები.

ჰეფი: ხომ იცი, მარწუხებით უნდა იყოს.

სტენლი: ნუ წუხართ, თავგებს არ შემოგტენით. (ჰეფი იცინის) ღვინოზე რას იტყვით? ხომ იცით, საქმელს სულ სხვა გემოს აძლევს.

ჰეფი: არ გვინდა. იმ კოქტილის რეცეპტი თუ გახსოვს, ცხრა მთას იქიდან რომ ჩამოვიტანე? შამპანურით?

სტენლი: მაგას რა დამავინწყებს! დღემდე სამზარეულოს კედელზე მაქვს მიკრული. მაგრამ კაცზე დოლარი დაგიჯდებათ.

ჰეფი: ეგ არაფერია.

სტენლი: თქვენ რა, ლატარიაში ხომ არ მოიგეთ რამე?

ჰეფი: არა, უბრალოდ პატარა ოჯახური დღესასწაული გვაქვს. ჩემს ძმას დღეს ერთი დიდი საქმე უნდა გაეჩარხა. ამ წამოწყებაში, ალბათ, ერთად ჩავერთვებით.

სტენლი: დიდებულია! ეს მართლაც კარგი რამ იქნება. ოჯახურ ბიზნესს ვერაფერი შეედრება – ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

ჰეფი: მეც ასე ვფიქრობ.

სტენლი: უდიდესი განსხვავებაა! სიტყვაზე, თუ ვინმე მოიპარავს, მაინც ოჯახში დარჩება. ხომ გესმით? (ხმას დაუნეგს) ჩვენი ბარმენის მსგავსად. პატრონი ლამის გაგიჟდეს. სალაროში მუდამ დანაკლისია! იქ კი დებს, მაგრამ ვერაფერს ღებულობს.

ჰეფი (თავს მაღლა სწევს): ჩუ-უ!..

სტენლი: რა მოხდა?

ჰეფი: თუ ამჩნევ, რომ არც მარჯვნივ ვიყურები და არც მარცხნივ? ამჩნევ?

სტენლი: დიახ.

ჰეფი: თვლებიც დახუჭული მაქვს.

სტენლი: მერედა რას...

ჰეფი: გემრიელი ლუკმა მოდის!

სტენლი (მინიშნებას ხვდება და მიიხედ-მო-

იხედავს): სად? ვერ ვხედავ. ოჰ, არა... (იგი ჩუმდება, როდესაც დაინახავს, რომ დარბაზში მდიდრულად ჩაცმული, ბენვეულში გახვეული ქალიშვილი შემოდის და მეზობელ მაგიდასთან ჯდება)

ჰეფი და სტენლი თვალს გააყოლებენ.

სტენლი: ღმერთო ჩემო, როგორ შეამჩნიეთ?

ჰეფი: ამისთვის სპეციალური რაღარი მაქვს. (დაჟინებით ათვალეირებს ქალიშვილის პროფილს) ო-ო-ო-ო-ო-ო... სტენლი!

სტენლი: როგორც ვატყობ, თქვენს გემოვნებაში უნდა ჯდებოდეს, მისტერ ლომენ.

ჰეფი: შეხედე, როგორი პირი აქვს. ოჰ, ღმერთო! ახლა თვალები?

სტენლი: კარგი ცხოვრება კი გაქვთ, მისტერ ლომენ!

ჰეფი: მოემსახურე.

სტენლი (ქალიშვილის მაგიდასთან მიდის): მენიუ ხომ არ მოგართვათ, მადამ?

ქალიშვილი: ერთ ადამიანს ველოდები, მანამდე კი...

ჰეფი: რატომ არ მოუტანთ... მომიტევეთ, მის! თუ წინააღმდეგი არ იქნებით... მე შამპანურის გაყიდვით ვარ დაკავებული და მინდოდა, ჩვენი მარკა გაგესინჯათ. სტენლი, შამპანური მოიტანე.

სტენლი მიდის.

ქალიშვილი: ძალიან თავაზიანი ბრძანდებით.

ჰეფი: სულაც არა. ამას კომპანიის ხარჯზე ვაკეთებ. (იციინის)

ქალიშვილი: საუცხოო პროდუქტია გასაყიდად, არა?

ჰეფი: ოჰ, ამანაც ისე იცის თავის მობეზრება, როგორც ყველაფერმა ამქვეყნად. მერწმუნეთ, ჩვეულებრივი საქონელია.

ქალიშვილი: ალბათ, მართალი ხართ.

ჰეფი: შემთხვევით თქვენც ხომ არ ყიდით რამეს?

ქალიშვილი: არა, არაფერს.

ჰეფი: უცნობ ადამიანს კომპლიმენტისთვის ხომ არ გამიბრაზდებით? თქვენი სახე ნებისმიერი ჟურნალის გარეკანს დაამშვენებდა.

ქალიშვილი (ჰეფის ოდნავ კეკლუცად შეხედავს): იქ უკვე გახლდით.

შემოდის სტენლი, შამპანურით სავსე ბოკალი მოაქვს.

ჰეფი: რას გეუბნებოდი, სტენლი? გაიგე? ქალიშვილი თურმე ილუსტრირებული ჟურნალისთვის პოზირებს.

სტენლი: დიახ, ეს აშკარად თვალში საცემია.

ჰეფი (ქალიშვილს): რომელი ჟურნალია?

ქალიშვილი: ოჰ, სხვადასხვა. (ბოკალს იღებს) გმადლობთ.

ჰეფი: ხომ იცით, საფრანგეთში როგორ ამბობენ? შამპანური სახისთვის საუკეთესო ფერუმარილიაო. ეი, ბიფ!

ბიფი შემოდის და ჰეფის მიუჯდება.

ბიფი: გამარჯობა, პატარავ. მაპატიე, ცოტა შემაგვიანდა.

ჰეფი: მეც ახლახან მოვედი. ე-ე, მის?..

ქალიშვილი: ფორსაიტი.

ჰეფი: მის ფორსაიტ, ეს ჩემი ძმაა.

ბიფი: მამა ჯერ არ მოსულა?

ჰეფი: მას ბიფი ჰქვია. იქნებ გსმენიათ მის შესახებ? ცნობილი ფეხბურთელია.

მის ფორსაიტი: მართლა? რომელ გუნდში თამაშობს?

ჰეფი: ფეხბურთში თუ ერკვევით?

მის ფორსაიტი: არა, სამწუხაროდ!

ჰეფი: ბიფი ნახევარმცველია „ნიუ-იორკელ გოლიათებში“.

მის ფორსაიტი: შესანიშნავია! (სვამს)

ჰეფი: თქვენ გაგიმარჯოთ!

მის ფორსაიტი: მოხარული ვარ, რომ შეგხვდით.

ჰეფი: მე ჰეფი ვარ. სინამდვილეში ჰაროლდი მქვია, მაგრამ სამხედრო აკადემიაში ჰეფი შემარქვეს. ილბლიანი.

მის ფორსაიტი (შთაბეჭდილების ქვეშ): აჰა, გასაგებია. ძალიან სასიამოვნოა. (პროფილს მიუშვერს)

ბიფი: მამა არ მოვა?

ჰეფი: თუ მოგწონს, შენი იყოს.

ბიფი: ოჰ, ასეთთან საქმე არასდროს დამიჭერია.

ჰეფი: მე კი ის დრო მახსოვს, როდესაც ასეთ რამეს არც კი გაიფიქრებდი. სად გაქრა შენი ძველი თავდაჯერება, ბიფ?

ბიფი: ოლივერთან შეხვედრიდან მოვდივარ...

ჰეფი: მოიცადე. მე გეკითხები, შენი ძველი თავდაჯერება სად გაქრა-მეთქი. მოგწონს? საკმარისია თვალი ჩაუკრა და...

ბიფი: ოჰ, არა. (შეტრიალდება, რათა ქალიშვილს შეხედოს)

ჰეფი: დამიჯერე. შეხედე. (ქალიშვილს) ჩემო კარგო! (ქალიშვილი თავს მისკენ მოაბრუნებს) დაკავებული ხარ?

მის ფორსაიტი: ალბათ, კი... მაგრამ შემოიძლია დავრეკო და...

ჰეფი: ჰოდა, დარეკე, კარგი, საყვარელო? და კარგი იქნება, თუ დაქალსაც მოიყვან. ჩვენ აქ ვიქნებით. ბიფი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია.

მის ფორსაიტი (დგება): მე მართლაც ძალზე მიხარია, რომ შეგხვდით.

ჰეფი: მალე დაბრუნდი.

მის ფორსაიტი: შევეცდები.

ჰეფი: შეეცადე, ჩემო კარგო, გულით შეეცადე.

მის ფორსაიტი მიდის. განცვიფრებული სტენლი უკან მიჰყვება და ალტაცებისგან თავს აქნევს.

ჰეფი: სამარცხვინო ამბავია! ასეთი ლამაზი გოგო! აი, რატომ ვერ მომყავს ცოლი. ათასიდან ერთ წესიერ ქალსაც კი ვერ შეარჩევ. სავსეა ნიუ-იორკი ასეთებით!

ბიფი: მომისმინე, ბიფ...

ჰეფი: ხომ გეუბნებოდი, საკმარისია, თვალი ჩაუკრა-მეთქი!

ბიფი (უჩვეულოდ მკვეთრად): აღარ გაჩუმდები? რაღაც უნდა გითხრა.

ჰეფი: ნახე ოლივერი?
 ბიფი: ვნახე. მისმინე, მამას რალაც უნდა ავუხსნა და შენი დახმარება მჭირდება.
 ჰეფი: რა მოხდა? გაძლევს ფულს?
 ბიფი: გაგიჟდი? მგონი მაგრად გააფრინე და ეგაა!
 ჰეფი: რატომ? რა მოხდა?
 ბიფი: (სუნთქვაშეკრული): საშინლად მოვიქეცი. დღეს ჩემი ცხოვრების ყველაზე უცნაური დღე იყო. გეფიცები, ყველაფერი მტკივა. ნაცემივით ვარ.
 ჰეფი: არ მიგილო?
 ბიფი: თითქმის ექვსი საათი ველოდე, გესმის? მთელი დღე. ვინ მოთვლის, რამდენჯერ შევეუთვალე ჩემი სახელი მდივნის პირით. იმ ქალისთვის პაემნის დანიშვნაც კი ვცაადე, რომ შევეშვი, მაგრამ ანკესზე არ წამოეგო.
 ჰეფი: ეს იმიტომ, რომ ძველი თავდაჯერება გაკლია, ბიფ. ხომ ახსოვდი? შეუძლებელია, არ ხსომებოდი!
 ბიფი (ჰეფის ხელის მოძრაობით აწყვეტილებს): როგორც იქნა, ხუთი საათისთვის გამოვიდა. არც ის გახსენებია, ვინ ვიყავი და არც არაფერი. თავი ნამდვილი იდიოტი მეგონა!
 ჰეფი: ფლორიდაში ჩემი იდეის შესახებ არ მოუყვი?
 ბიფი: გვერდით ჩამიარა. მხოლოდ ერთი წუთი ვხედავდი. ისე გავშმაგდი, მზად ვიყავი, მთელი ავეჯი დამემტვრია! საიდან მოვიტანე მე სულელმა, რომ კომერციაში რამეს შევძლებდი? დავიჯერე, რომ ისევ შემეძლო იმ ტიპთან მუშაობა! როგორც კი შემომხედა, მაშინვე მივხვდი, რომ მთელი ჩემი ცხოვრება უაზრობა იყო და მეტი არაფერი. თხუთმეტი წელი თავს ვიტყუებდით. მე სანაოსნო კლერკი ვიყავი.
 ჰეფი: როგორ მოიქეცი?
 ბიფი (შინაგანად ძალზე დაძაბულია, მომხდარში გარკვევას ცდილობს): ის წავიდა. მდივანიც გავიდა. მოსაცდელში მარტო დავრჩი. არ ვიცი, რამ წამომიარა. გონს რომ მოვედი, მის კაბინეტში ვიყავი – ხომ გახსოვს მდიდრული კაბინეტი მუხის პანელებით. ვერაფრით ამისხნია, რაც გავაკეთე – მისი ავტოკალამი ავიღე.
 ჰეფი: ღმერთო ჩემო! ჩაგავლო?
 ბიფი: გავიქეცი. თერთმეტი სართული ჩავირბინე. სულ მივრბოდი, მივრბოდი, მივრბოდი...
 ჰეფი: რა საშინელებაა! რატომ, ბიფ, რატომ?
 ბიფი (სასონარკვეთილი): არ ვიცი, უბრალოდ რალაცის აღება მომინდა. ვერაფერი გამიგია. დამეხმარე, ჰეფ. მამას უნდა ვუამბო.
 ჰეფი: გაგიჟდი? რა საჭიროა?
 ბიფი: უნდა იცოდეს, ჰეფ, რომ ის ადამიანი არ ვარ, ვისაც დიდ ფულს სესხად აძლევენ. მისი აზრით, ამ წლების განმავლობაში მე ყველაფერს მის ჯიბრზე ვაკეთებდი. ეს მას ცხოვრებას უნამლავს.
 ჰეფი: მართალია! აჯობებს, რამე სასიამოვნო მოუყვე.
 ბიფი: არ შემიძლია.
 ჰეფი: უთხარი, რომ ოლივერმა ხვალისთვის სადილად დაგპატიუა.

ბიფი: ხვალ რალა ვუთხრა?
 ჰეფი: ხვალ სახლიდან ადრე გახვალ და გვიან დაბრუნდები. ეტყვი, რომ ოლივერი ფიქრობს. იფიქრებს ერთი კვირა, ორი, და თანდათანობით ყველაფერი დავინყებას მიეცემა.
 ბიფი: მაგრამ ეს ხომ უსასრულოდ გაგრძელდება!
 ჰეფი: ის მხოლოდ მაშინაა ბედნიერი, როცა რალაცის იმედი აქვს.
 ჰეფი: შემოდის ვილი.
 ჰეფი: გამარჯობა, მამა!
 ვილი: ღმერთო ჩემო, რახანია აქ არ ვყოფილვარ!
 სტენლი ვილის მაგიდასთან მიიყვანს, სკამს დაუდგამს და წასვლას აპირებს, მაგრამ ჰეფი არ უშვებს.
 ჰეფი: სტენლი!
 სტენლი შეკვეთის მიღების მოლოდინში ჩერდება.
 ბიფი (დამნაშავესავით უახლოვდება ვილის, თითქოს ის ავადმყოფი ყოფილიყო): დაჯექი, მამა. დალევ?
 ვილი: უარს არ ვიტყვდი.
 ბიფი: ცოტა გავხურდეთ.
 ვილი: შენ უხებულები ჩანხარ.
 ბიფი: არა, რას ამბობ! (სტენლის) ყველას ვისკი. ორმაგი.
 სტენლი: მესმის, ორმაგი. (მიდის)
 ვილი: შენ უკვე დალიე?
 ბიფი: ჰო, ცოტა.
 ვილი: აბა, ჩემო ბიჭო, მომიყვი, როგორ ჩაიარა ამ ამბავმა. (თავს ღიმილით აქნევს) ყველაფერი კარგად წარიმართა, არა?
 ბიფი (ღრმად ჩაისუნთქავს და ვილის ხელზე ხელს სტაცებს): ჩემო მეგობარო... (გაბედულად იღიმება, ვილიც ასე იქცევა) დღეს გვარიანი გამოცდა მქონდა.
 ჰეფი: საშინელი, მამა!
 ვილი: მართლა? რა მოხდა?
 ბიფი (აღზნებული. ოდნავ შემთვრალი, ღრუბლებში დაფრინავს): ყველაფერს თანმიმდევრობით მოგიყვები. დღეს შესანიშნავი დღე იყო... (სიჩუმე. ორივეს თვალს შეავლებს და თავი ხელში აჰყავს, მაგრამ სუნთქვა მაინც ურღვევს მეტყველების რიტმს) საკმაოდ დიდხანს ველოდი...
 ვილი: ოლივერს?
 ბიფი: ჰო, ოლივერს. რალა დაგიმალა და მთელი დღე ველოდი. და ამ ხნის განმავლობაში ჩემი ცხოვრების მრავალი დეტალი გამახსენდა. ვინ მოიგონა, თითქოს ოდესღაც ოლივერთან კომივოიაჟორად ვმუშაობდი?
 ვილი: შენ თვითონ თქვი.
 ბიფი: არა, მე მასთან სატრანსპორტო კლერკად ვმუშაობდი.
 ვილი: მაგრამ, ფაქტობრივად, შენ...
 ბიფი (გადაჭრით): მამა, არ ვიცი, პირველად ეს ვინ-მოიფიქრა, მაგრამ ოლივერთან კომივოიაჟორად არასდროს მიმუშავია.
 ვილი: ამას რატომ ჰყვები?
 ბიფი: მოდი, დღეს ფაქტებს მიყვით. მათი

დამახინჯებით ვერაფერს მივალწვეთ. მე სატრანსპორტო კლერკი ვიყავი.

ვილი (გაბრაზებით): კარგი, ახლა მე მომისმინე...

ბიფი: რატომ არ დამამთავრებინებ?

ვილი: იმიტომ, რომ სრულებით არ მაინტერესებს წარსული და სხვა სისულელები. გაიგეთ, ბიჭებო, რომ ფეხქვეშ მინა გვეწვის. ირგვლივ ხანძარი მძვინვარებს. დღეს სამსახურიდან გამომაგდეს.

ბიფი (თავზარდაცემული): შეუძლებელია!

ვილი: გამომაგდეს და ახლა რაიმე კარგი ამბავი მჭირდება დედათქვენის სანუგეშებლად. განა ცოტა ხანი გაატარა ტანჯვასა და ლოდინში? მაგრამ თავში არაფერი მომდის, ბიფ. ვერაფერი მომიფიქრებია. ასე რომ, მორჩი ლექციას ფაქტებისა და ფანტაზიის შესახებ. არ მაინტერესებს. აბა, ახლა რას მეტყვი?

სტენლის სამი კოქტილი მოაქვს. ისინი მის წასვლას ელოდებიან.

ვილი: შეხვდი ოლივერს?

ბიფი: ღმერთო ჩემო!

ვილი: იმის თქმა გსურს, რომ იქ არც კი ყოფილხარ?

ჰეფი: ცხადია, იყო.

ბიფი: ვიყავი, ვნახე კიდეც. როგორ შეეძლოთ შენი გაგდება?

ვილი (მოუთმენლობისგან სკამზე ცქმუტავს): როგორ მიგილო?

ბიფი: საკომისიო გასამრჯელოზეც არ გამუშავებს?

ვილი: უმუშევარი ვარ, გასაგებია? (დაუინებით) აბა, მითხარი, გულთბილად შეგხვდა?

ჰეფი: აბა რა, მამა!

ბიფი (კუთხეშია მომწყვდეული): როგორ გითხრა, თითქოს...

ვილი: მე კი ვწერვიულობდი, რომ არ გაახსენდებოდი! (ჰეფის) წარმოგიდგენია?! ათი თუ თორმეტი წელი არ უნახავს და ასე მიიღო!

ჰეფი: მაგარია!

ბიფი (კვლავ შეტევაზე გადასვლას ცდილობს): მომისმინე, მამა...

ვილი: თუ იცი, რატომ არ დაავინყდი? იმიტომ, რომ მასზე თავიდანვე კარგი შთაბეჭდილება მოახდინე.

ბიფი: მოდი, დავმშვიდდეთ და ფაქტებს მივყვით, კარგი?

ვილი (ისე, თითქოს თვითონ კი არა, ბიფი აწყვეტინებდეს): ჰოდა, მოყვები, როგორ იყო! შესანიშნავი სიახლეა, ბიფ! კაბინეტში შეგიყვანა თუ მისაღებში საუბრობდით?

ბიფი: არა, გამოვიდა და...

ვილი (ფართოდ იღიმება): რა თქვა? სანაძლეოს ჩამოვდივარ, რომ გადაგეხვია!

ბიფი: უფრო სწორად...

ვილი: შესანიშნავი ადამიანია! (ჰეფის) იცი, რა ძნელია მასთან მოხვედრა?

ჰეფი: რასაკვირველია, ვიცი.

ვილი (ბიფს): ა-ა, იქ დალიე, ხომ?

ბიფი: ჰო, შემომთავაზა... არა, არა!

ჰეფი (ჩაერთვება): ბიფმა ჩემს იდეაზე უამბო ფლორიდასთან დაკავშირებით.

ვილი: ნუ აწყვეტინებ. (ბიფს) რა თქვა თქვენი წამოწყების შესახებ?

ბიფი: მამა, თუ დამაცდი, ყველაფერს აგინსნი.

ვილი: რაც მოვედი, სულ ამას არ გთხოვ? რა მოხდა? გავიგე, რომ კაბინეტში დაგიძახა. მერე?

ბიფი: მერე... მე ვლაპარაკობდი. ის კი... ის კი მისმენდა, ხომ გესმის...

ვილი: იგი ცნობილია თავისი მოსმენის უნარით. რა გიპასუხა?

ბიფი: მან მიპასუხა... (ჩუმდება, მერე კი მოულოდნელად ბრაზი შეიპყრობს) მამა, შენ იმის თქმის საშუალებას არ მაძლევ, რისი თქმაც მინდა!

ვილი (გაბრაზებული, ამხელს): შენ ის არ გინახავს!

ბიფი: არა, ვნახე!

ვილი: შენ მას შეურაცხყოფა მიაყენე? შეურაცხყავი, არა?

ბიფი: მომისმინე, იქნებ თავი დამანებო. თავი დამანებე, ღვთის გულისთვის!

ჰეფი: რა ჯანდაბა ხდება!

ვილი: მომიყევი, რა მოხდა.

ბიფი (ჰეფის): არ შემიძლია მასთან ლაპარაკი!

ჰაერში საყვირის მკვეთრი, გამაღიზიანებელი ხმა გაისმო. ლამის სიგრილითა და სიზმრებით სავსე სახლი მწვანე ფოთლების შუქით ნათდება. შემოდის ახალგაზრდა ბერნარდი და კარზე აკაკუნებს.

ახალგაზრდა ბერნარდი (სასონარკვეთილი): მისის ლომენ! მისის ლომენ!

ჰეფი: მოუყევი, რაც მოხდა!

ბიფი (ჰეფის): გაჩუმდი და თავი დამანებე!

ვილი: არა! არა! ვითომ არ შეგეძლო, რომ მათემატიკაში არ ჩაჭრილიყავი!

ბიფი: რა მათემატიკა? რას ლაპარაკობ?

ახალგაზრდა ბერნარდი: მისის ლომენ! მისის ლომენ!

გამოჩნდება ახალგაზრდა ლინდა.

ვილი (შემზარავად): მათემატიკა! მათემატიკა!

ბიფი: დამშვიდდი, მამა!

ახალგაზრდა ბერნარდი: მისის ლომენ!

ვილი (გაშმაგებით): რომ არ ჩაჭრილიყავი, ახლა უკვე კაცი იქნებოდი!

ბიფი: თუ ასეა, მოგიყვები, რა მოხდა სინამდვილეში, შენ კი კარგად მომისმინე!

ახალგაზრდა ბერნარდი: მისის ლომენ!

ბიფი: მე მას ექვსი საათი ველოდე...

ჰეფი: რას მიედმოედები?

ბიფი: მდივანი ქალის პირით რამდენჯერმე შევახსენე ჩემი სახელი, მაგრამ მან მაინც არ მიმიღო. ბოლოს ის... (ლაპარაკს განაგრძობს, მაგრამ მისი ხმა აღარ ისმის)

რესტორანში შუქი თანდათან ქრება.

ახალგაზრდა ბერნარდი: ბიფი მათემატიკაში ჩაიჭრა!

ლინდა: არა!
ახალგაზრდა ბერნარდი: ბირნბომმა ჩაჭრა!
მას ატესტატს აღარ მისცემენ!

ლინდა: ასე არ უნდა მოიქცნენ! ის ხომ უნივერსიტეტში უნდა შევიდეს! სად არის? ბიფ! ბიფ!
ახალგაზრდა ბერნარდი: წავიდა. ცენტრალურ ვაგზალზე წავიდა.

ლინდა: ცენტრალურზე? მაშასადამე, ბოსტონში გამგზავრებულია.

ახალგაზრდა ბერნარდი: განა ვილი ბიძია ბოსტონშია?

ლინდა: იქნებ ვილი მასწავლებელს დაელაპარაკოს. ოჰ, საბრალო, საბრალო ბიჭი!

სახლში შუქი ქრება.

ბიფი (მაგიდასთან ზის, მისი ხმა უკვე ისმის, ხელში ოქროს ავტოკალამი უჭირავს)... ახლა ოლივერთან ყველაფერი დამთავრებულია, გასაგებია? მისმენ?

ვილი (დაბნეულად): ჰო, რა თქმა უნდა. რომ არ ჩაჭრილიყავი...

ბიფი: ჩავჭრილიყავი? რას ლაპარაკობ?

ვილი: მე ნუ მაბრალებ! მე კი არ ჩავჭრილვარ მათემატიკაში – შენ ჩაიჭერი! რომელი ავტოკალამი?

ჰეფი: სისულელეა, ბიფ! ამგვარი კალამი რა უნდა ღირდეს...

ვილი (პირველად დაინახავს კალამს): ოლივერის კალამი აილე?

ბიფი (დასუსტებული): მამა, მე ხომ ყველაფერი აგისხენი.

ვილი: ბილ ოლივერის მუდმივი კალამი მოიპარე?

ბიფი: ამას მოპარვა არ ჰქვია. რამდენჯერ უნდა აგისხნა!

ჰეფი: ბიფს ის ხელში ეჭირა და როდესაც ოლივერი შემოვიდა, შეცბა და ჯიბეში ჩაიღო.

ვილი: ღმერთო ჩემო, ბიფ!

ბიფი: ამას არ ვაპირებდი, მამა!

ტელეფონისტის ხმა: სასტუმრო „სენდიში“. სალამო მშვიდობისა!

ვილი (ყვირის): მე ჩემს ოთახში არა ვარ!

ბიფი (შეშინებული): მამა, რა დაგემართა?

ბიფი და ჰეფი დგებიან

ტელეფონისტის ხმა: მისტერ ლომენ, ტელეფონთან გთხოვენ!

ვილი: მე აქ არა ვარ, გათიშეთ!

ბიფი (შეძრწუნებული, ვილის წინ მუხლებზე დგება): მამა, მე გამოვსწორდები, მამა, მეტს აღარ ვიზამ!

ვილი წამოდგომას ცდილობს, მაგრამ ბიფი არ ანებებს.

ბიფი: მოიცადე, დამშვიდდი, იჯექი.

ვილი: არა, შენ არ ვარგიხარ, არაფერში არ ვარგიხარ.

ბიფი: მამა, მე ჩემსას მაინც მივალწევ, გესმის? შენ არაფერზე ინერვიულო. (ვილის სახეს ხელისგულელებში მოიქცევს) მითხარი, რამე, მამა.

ტელეფონისტის ხმა: მისტერ ლომენი არ პასუხობს. შიკრიკი ხომ არ გავგზავნოთ მასთან?

ვილი (წამოდგომას ცდილობს, რათა ტელეფონისტი გააჩუმოს): არა, არა, არა!

ჰეფი: მას კიდევ გაუღიმებს ბედი, მამა!
ვილი: არა, არა...

ბიფი (სასწრაფოვეთილი, ვილის თავს დასდგომია): მომისმინე, მამა! მომისმინე-მეთქი! კარგი ამბავი უნდა გახარო. ოლივერი ჩვენი ფლორიდის იდეის შესახებ თავის კომპანიონს ესაუბრა. გესმის? ის... ის თავის კომპანიონს ესაუბრა, მერე კი ჩემთან მოვიდა... მე კარგად ვიქნები, ხომ გესმის? მომისმინე, მამა, ის ამბობს, რომ მხოლოდ თანხის რაოდენობაა დასადგენი.

ვილი: მაშ, შენ... ფულს მიიღებ?

ჰეფი: ძალიან მაგარი რამე გამოვა, მამა!

ვილი (წამოდგომას აპირებს): მაშასადამე, მიიღებ, არა? მიიღებ! მიიღებ!

ბიფი (სასწრაფოვეთილი, ვილის შეჩერებას ცდილობს): არა, არა. მისმინე, მამა. მე, სავარაუდოდ, ხვალ მათთან ერთად ვისადილებ. მინდა იცოდე, რომ მათზე, შესაძლოა, ძლიერი შთაბეჭდილება მოვახდინო. მე ჩემსას მივალწევ, მაგრამ ხვალ ვერ წავალ, გესმის?

ვილი: ვერ წახვალ? რატომ? შენ მხოლოდ...

ბიფი: კალამი, მამა, კალამი!

ვილი: დაუბრუნე და უთხარი, რომ ეს დაბნეულობისგან დაგემართა.

ჰეფი: ჰო, ეგრე უთხარი, მერე კი მათთან ერთად ისადილე!

ბიფი: ამას ვერ ვეცყვი...

ვილი: მაშინ უთხარი, რომ კროსვორდს ხსნიდი და კალამი შეცდომით აილე!

ბიფი: მომისმინე, მეგობარო, წლების წინ მისი ბურთები ავიღე. ახლა კი გინდა, რომ ავტოკალამით მივიდე? ნუთუ ვერ ხვდები, რომ მასთან ყველაფერი დასრულდა? ვერ მივალ! სხვაგან ვცდი ბედს.

შიკრიკის ხმა: შეტყობინებაა მისტერ ლომენისთვის!

ვილი: ნუთუ არ გინდა, რომ რამეს მიაღწიო?

ბიფი: მამა, აბა იქ როგორ დავბრუნდე?

ვილი: შენ არ გინდა, რომ კაცი გამოხვიდე, ეგ არის და ეგ.

ბიფი (ბრაზობს მამამაზე, რადგან იგი მის გრძნობებს არაფრად აგდებს): ასე რატომ ლაპარაკობ? გგონია, ჩემთვის ადვილი იყო მის ოფისში მისვლა მას შემდეგ, რაც გავაკეთე? არა, ვერანაირი ძალა ვეღარ მაიძულებს ბილ ოლივერთან კიდევ ერთხელ მისვლას!

ვილი: აბა, რალატომ წახვედი მასთან?

ბიფი: რატომ? რატომ წახვედი? შეხედე საკუთარ თავს. შეხედე, რას დაემსგავსე.

სადღაც მარცხნივ ქალი იცინის.

ვილი: ბიფ, შენ ხვალ იმ სადილზე წახვალ, თუ არა და...

ბიფი: არ წავალ. მე ჯერ არავის მივუწვევივარ!

ჰეფი: ბიფ, ღვთის...

ვილი: ასე ჩემს ჯიბრზე იქცევი, არა?

ბიფი: ამაში ნუ მადანაშაულებ, დალახვროს ეშმაკმა!

ვილი (ბიფს სახეში გაულანუნებს და ბარბაცით მოსცილდება მაგიდას): ახ, შე დამპალო! ისევ ჯიბრზე მეუბნები, ხომ?

ქალი: კარს უკან ვილაც დგას, ვილი!

ბიფი: ჰო, უვარგისი ვარ, ვერ ხედავ, რაც ვარ?

ჰეფი (აშველებს): როგორ იქცევით? თქვენ ხომ რესტორანში ხართ. აბა, ახლა ორივემ შეწყვიტეთ!

შემოდინ გოგოები.

ჰეფი: გამარჯობა, გოგოებო! დასხედით.

საღლაც მარცნივ კვლავ ქალი იცინის.

მის ფორსაიტი: იმედია, დიდხანს არ გალოდინეთ. ეს ლეტაა.

ქალი: ვილი, გაღვიძებას აღარ აპირებ?

ბიფი (ვილის ყურადღებას არ აქცევს): როგორ ბრძანდებით, მის? რას დალევთ?

ლეტა: ხვალ ადრე უნდა ავდგე – ნაფიც მსაჯულად ამირჩიეს. რა საინტერესოა! ბიჭებო, თქვენ თუ ყოფილხართ ნაფიცი მსაჯულები?

ბიფი: არა, სამაგიეროდ მათი განაჩენი მომისმენია ხშირად!

გოგონები იცინიან.

ბიფი: გაიცანით, ეს მამაჩემია.

ლეტა: რა სიმპათიურია! ჩვენთან დაჯექით, მამიკო!

ჰეფი: დასვი, ბიფ!

ბიფი (ვილისთან მიდის): წამოდი, ძველო, აჩვენე, როგორ უნდა სმა! ეშმაკსაც ნაულია ყველაფერი! წამოდი, დავსხდეთ, მეგობარო!

ვილი ასეც აპირებს მოქცევას.

ქალი (ახლა უკვე ძალზე დაჟინებით): კართან მიდი, ვილი, აკაკუნებენ!

დაბნეული ვილი ქალის ხმას მიჰყვება.

ბიფი: ეი, საით გაგინევია?

ვილი: კარის გასაღებად.

ბიფი: რომელი კარის?

ვილი: ტუალეტის... კარი... სად არის კარი?

ბიფი (ვილი მარცხნივ მიჰყავს): პირდაპირ ქვემოთ.

ვილი მარცხნივ მიდის.

ქალი: ვილი, ვილი, ადგები თუ არა? ადექი, ადექი, ადექი!

ვილი გადის.

ლეტა: რა კარგია, მამა თან რომ დაგყავთ.

მის ფორსაიტი: გგონიათ, დავიჯერე, რომ მამათქვენია?

ბიფი (აღშფოთებული მისკენ შეტრიალდება): მის ფორსაიტ, თქვენ ახლა ნამდვილმა პრინცმა ჩაგიარათ გვერდზე. ბრწყინვალე, თუმცა შენუხებულმა პრინცმა. გამრჯე, ყველასგან დაუფასებელმა პრინცმა. ის ჩვენი საუკეთესო მეგობარია, გესმით? საუკეთესო მეგობარი და კომპანიონი. თავისი ბიჭებისთვის სიცოცხლესაც არ დაიშურებს.

ლეტა: სასიამოვნოა ამის მოსმენა.

ჰეფი: აბა, გოგოებო, რა გვაქვს პროგრამაში? დრო გადის. მოდი, ბიფ, გადავწყვიტოთ, სად წავიდეთ.

ბიფი: რატომ არაფერს გააკეთებ მისთვის?

ჰეფი: მე?

ბიფი: ნუთუ სულ არ გებრალება?

ჰეფი: არ მესმის, რას ლაპარაკობ. განა მე არ ვიყავი...

ბიფი: შენ ის სულ არ გადარდებს! (ჯიბიდან რეზინის დახვეულ მილს იღებს და მაგიდაზე ჰეფის წინ დებს) აი, შეხედე, რას მივაგენი სარდაფში. როგორ შეგიძლია, ყველაფერს ასე გულგრილად უყურო?

ჰეფი: მე? ვინ გარბის ნამდაუნუმ შინიდან, მე თუ შენ? ვინ ტოვებს მათ ბედის ანაბარა, მე თუ შენ?

ბიფი: ჰო, მაგრამ ის შენთვის არაფერს ნიშნავს. შენ შეგეძლო მისი დახმარება, მე კი არ შემიძლია! ნუთუ გაუგებრად ვლაპარაკობ? ნუთუ ვერ ხვდები, რომ თავის მოკვლას აპირებს?

ჰეფი: მე ვერ ვხვდები? მე?

ბიფი: დაეხმარე, ჰეფ! დაეხმარე... ღვთის გულისთვის... მე დამეხმარე! მე! აღარ შემიძლია მისი სახის ყურება. (ლამის ატირდეს. სასწრაფოდ მარჯვნივ გარბის)

ჰეფი (უკან მისდევს): სად გარბიხარ?

მის ფორსაიტი: რამ გააგიჟა?

ჰეფი: წავიდეთ, გოგოებო, ახლავე დავენევი.

მის ფორსაიტი (რომელსაც ჰეფი ხელს მსუბუქად ჰკრავს): რაღაც მისი ხასიათი არ მომწონს!

ჰეფი: ცოტა გაღიზიანებულია, მალე გაუვლის.

ვილის ხმა (მარცხნიდან, ქალის სიცილის პასუხად): გაჩუმდი! არ უპასუხო!

ლეტა: განა არ გინდათ მამათქვენს უთხრათ, რომ...

ჰეფი: ის მამაჩემი არ არის, უბრალო ნაცნობია. წავიდეთ, ბიფს დავენიოთ. კარგად კი ვიმხიარულებთ. სტენლი, ანგარიში! ეი, სტენლი!

მიდიან. შემოდის სტენლი და მარცხნივ იყურება.

სტენლი (აღშფოთებული გასძახის ჰეფის): მისტერ ლომენ! მისტერ ლომენ! (სკამს იღებს და მისდევს)

მარცხნიდან კაკუნის გაისმის. შემოდის ქალი, იცინის. მას ვილი შემოჰყვება. ქალი შავ კომბინაციაშია; კაცი პერანგს იკრავს. მათ საუბარს ფონად მგრძნობიარე მუსიკა გასდევს.

ვილი: გეყოფა სიცილი! გაჩუმდი! გესმის?

ქალი: კარის გაღებას არ აპირებ? მთელ სასტუმროს გააღვიძებს.

ვილი: ეს ჩვენთან არ არის. მე არავის ველოდები.

ქალი: იქნებ ცოტა კიდევ დაგელია, საყვარელო? მაშინ მხოლოდ საკუთარ თავზე აღარ იფიქრებდი.

ვილი: ძალიან მარტო ვარ.

ქალი: იცი, ვილი, შენ მე სულ გამაფუჭე. ამერიიდან, როგორც კი ჩვენს ოფისში მოხვალ, მაშინვე მყიდველებთან დაგაკავშირებ. ლოდინი აღარ მოგიწევს. შენ მე სულ გამაფუჭე.

ვილი: მსიამოვნებს ამის მოსმენა.

ქალი: ღმერთო ჩემო, როგორი ეგოისტი ხარ! რატომ მოიწყინე? ამქვეყნად ყველაზე უფრო სევდიანი და ყველაზე უფრო ეგოისტი კაცი ხარ. (იცინის)

კაცი კოცნის.

ქალი: საძინებელში შევიდეთ, ჩემო მედაფ-
დაფევ. რალა დროს ჩაცმაა ამ შუალამისას.

ისმის კაკუნი.

ქალი: კარს რატომ არ ალებ?

ვილი: შეცდომით აკაკუნებენ.

ქალი: არა, ჩვენთან არიან. და ესმით, რომ
ვსაუბრობთ. იქნებ სასტუმროში ხანძარი განჩ-
და?

ვილი (შეშფოთებულია): ეს შეცდომაა!

ქალი: მაშინ უთხარი, რომ წავიდნენ!

ვილი: იქ არავინაა.

ქალი: ნერვები მეშლება, ვილი, კართან ვი-
ლაც დგას და ეს ნერვებს მიშლის!

ვილი (თავიდან იცილებს): კარგი, სააბაზა-
ნოში დაიმაღე და არ გამოხვიდე. მგონი, მასა-
ჩუსეცის სტატში კანონიც არის ამის შესახებ,
ასე რომ, აჯობებს, დაიმალო. შესაძლოა, ახალი
პორტიც იყოს. საზიზღარი სახე აქვს. არ გამოხ-
ვიდე, ხომ გესმის? რალაც შეცდომაა და არა
ხანძარი.

კაკუნი კვლავ გაისმის. ვილი რამდენიმე ნა-
ბიჯს გადადგამს, ქალი კი კულისებში გაუჩი-
ნარდება. ვილის მთვარის შუქი მიაცილებს და
ახლა იგი ახალგაზრდა ბიფის პირისპირ დგას,
რომელსაც ხელში ჩემოდანი უჭირავს. ბიფი ნა-
ბიჯს გადმოდგამს. მუსიკა წყდება.

ბიფი: კარს რატომ არ მიღებდი?

ვილი: ბიფ! ბოსტონში რას აკეტებ?

ბიფი: რატომ არ მიღებდი? ხუთი წუთი ვაკა-
კუნებდი. ტელეფონზეც დაგირეკე...

ვილი: ახალა გავიგონე. სააბაზანოში ვი-
ყავი და კარი მიხურული მქონდა. სახლში ხომ
მშვიდობაა?

ბიფი: მამა... მე შენ იმედი გაგიცრუე.

ვილი: რას გულისხმობ?

ბიფი: მამა...

ვილი: რას ამბობ, ბიფ, ჩემო ბიჭუნი? (მხარ-
ზე ხელს მოხვევს) ქვევით ჩავიდეთ, ჯანჯაფი-
ლის ლუდით გაგიმასპინძლებდი.

ბიფი: მამა, მათემატიკაში ჩავიჭერი.

ვილი: გამოსაშვებ გამოცდაზე?

ბიფი: ჰო. ატესტატის ასაღებად ქულები არ
მყოფნის.

ვილი: ნუთუ ბერნარდმა ვერ გიკარნახა?

ბიფი: ცდილობდა, მაგრამ მხოლოდ სამოც-
დაერთი ქულა დავაგროვე.

ვილი: სულ რალაც ოთხი ქულა დაენანათ?

ბიფი: ბირნბომმა კატეგორიული უარი გა-
ნაცხადა. ვთხოვე, მამა, მაგრამ არ უნდა იმ
ოთხი ქულის მოცემა. იქნებ არდადეგების
დანყებამდე დალაპარაკებოდი? ნახავს, როგო-
რი კაცი ხარ, შენც შენებურად დაელაპარაკები
და დარწმუნებული ვარ, აზრს შეიცვლის. და-
ელაპარაკები? მისი გაკვეთილები ყოველთვის
სპორტული მეცადინეობების წინ იყო და ხში-
რად ვაცდენდი. ბირნბომს მოეწონები. შენ ხომ
ყველას დაყოლიება შეგიძლია!

ვილი: ყველაფერი კარგად იქნება, ჩემო ბი-
ჭო. ახლავე გავემგზავრებით შინ.

ბიფი: რა კარგია! შენთვის ის ყველაფერს გა-
აკეთებს!

ვილი: ქვევით ჩადი და პორტიც უთხარი, ან-
გარიში მოამზადოს. აბა, სწრაფად!

ბიფი: არის, სერ! იცი, მამა, რატომ ვძულ-
ვარ? ერთხელ გაკვეთილზე დააგვიანდა, მე კი
დაფასთან მივედი და მისი გამოჯავრება გა-
დავწყვიტე. თვალები დავაეღმე და ჩიფჩიფი
დავიწყე.

ვილი (იციინის): მართლა? ბავშვებს თუ მოე-
წონათ?

ბიფი: ლამის სიცილით დაიხოცნენ!

ვილი: ჰოო? მაინც როგორ გამოაჯავრე?

ბიფი: თოლვერდა სამკუთხედში კველა ვერ-
დი...

ვილი გულიანად იციინის. მას ბიფიც აპყვება
ბიფი: სწორედ ამ დროს არ შემოვიდა კლას-
ში?

ვილი იციინის, მასთან ერთად ქალიც იციინის
სცენის მიღმა.

ვილი (მოუთმენლად): ნულარ აყოვნებ, ჩადი
ქვევით და...

ბიფი: იქ ვინმეა?

ვილი: არა, ეს მეზობელი ნომრიდან ისმის.

სცენის მიღმა ქალი კისკისებს.

ბიფი: მგონი, სააბაზანოში ვილაც არის.

ვილი: არა, გვერდითა ოთახიდან ისმის, წვე-
ულება აქვთ...

შემოდის ქალი.

ქალი (იციინის და ჩიფჩიფებს): შეიძლება? ვი-
ლი, აბაზანაში რალაც მოძრაობს!

ვილი ბიფს შესცქერის, რომელსაც პირი და-
ულია და ქალს მიშტერებია.

ვილი: ოჰ... უმჯობესია, თქვენს ოთახში გახ-
ვიდეთ. რემონტი, ალბათ, უკვე დაამთავრეს.
(ბიფს) მის ოთახში კედელი შეღებეს, ამიტომ
ნება დავრთე, რომ შხაპი აქ მიეღო. წადით ახ-
ლა, თქვენთან წადით... (ხელს უბიძგებს)

ქალი (ენინაალმდეგება): უნდა ჩავიცვა, ვი-
ლი, ასე ხომ ვერ...

ვილი: გადით აქედან! თქვენს ოთახში დაბ-
რუნდით! წადით!.. (მოულოდნელად ჩვეულებ-
რივ ბანალობაზე გადადის) გაიცანი, ბიფ, ეს
ჩვენი კლიენტია, მის ფრენსისი. მას ნომერს
ურემონტებენ. მიბრძანდით, მისის ფრენსის,
სწრაფად...

ქალი: მომეცით ჩემი კაბა! დერეფანში შიშ-
ველი ხომ ვერ გავალ!

ვილი (ქალი სცენიდან ძალით გაჰყავს): წა-
დით აქედან! წადით! წადით! (მასთან ერთად გა-
დის)

ბიფი ნელა ჯდება თავის ჩემოდანზე და კა-
მათს უგდებს ყურს, რომელიც კულისებიდან
ისმის.

ქალი: სად არის ჩემი წინდები? ხომ დამპირ-
დი წინდებს, ვილი!

ვილი: არავითარი წინდები არა მაქვს.

ქალი: შენ ხომ ორი კოლოფი ცხრა ნომერი
წინდა გამიმზადე, მომეცი!

ვილი: აჰა, შენი იყოს, ოლონდ, ღვთის გუ-
ლისთვის, აქედან დაიკარგე!

შემოდის ქალი, ხელში წინდებით სავსე ყუ-
თი უჭირავს. ვილის მისი ტანსაცმელი მოაქვს.

ქალი: ვიმედოვნებ, დერეფანში არავინაა. მხოლოდ ამის იმედი მაქვს. (ბიფს) ფეხბურთს თამაშობთ თუ ბეისბოლს?

ბიფი: ფეხბურთს.

ქალი (დამცირებისგან გაბრაზებული): მეც ფეხბურთის ბურთით მათამაშებენ. ღამე მშვიდობისა. (ვილის თავის ტანსაცმელს ხელიდან გამოსტაცებს და მიდის)

ვილი (პაუზის შემდეგ): ჩვენც უნდა გავემზადოთ. მინდა, რომ სკოლაში ხვალ დილისთვის მოვახერხო მისვლა. კარადიდან ჩემი კოსტიუმები გამოიღე. მე ჩემოდანს მოვიტან.

ბიფი არ ინძრევა.

ვილი: რა დაგემართა?

ბიფი კვლავ გაუნძრევლად ზის, თვალებიდან ცრემლები სდის.

ვილი: ის ჩვენი კლიენტია. ფირმა „დ. ჰ. სიმონსისთვის“ ყიდულობს, დერეფნის მეორე მხარეს ცხოვრობს, იქ კი რემონტია. იმედია, ის არ იფიქრე, რომ... (პაუზა) მომისმინე, მეგობარო, ის ქალი უბრალოდ ჩვენი კლიენტია. საქონელს თავის ოთახში იღებს, ამიტომ ცდილობს, ნომერი წესრიგში ჰქონდეს... (პაუზა. გააქტიურებას გადაწყვეტს) კარგი, კარადიდან ჩემი კოსტიუმები გამოიღე.

ბიფი არ ინძრევა.

ვილი: გეყოფა ტირილი და გააკეთე, რასაც გეუბნები. გიბრძანებ, ბიფ! გიბრძანებ-მეთქი! ასე ასრულებ ჩემს ბრძანებას? ტირილს როგორ ბედავ! (მხრებზე ხელს მოხვევს) მომისმინე. როცა გაიზრდები, ყველაფერს მიხვდები. ასეთ რამეებს დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭო. მისტერ ბირნბომს კი ხვალვე დაველაპარაკები, დილით.

ბიფი: არ არის საჭირო.

ვილი (ბიფის გვერდით ჯდება): საჭირო არ არის?! ის მოგცემს იმ ოთხ ქულას. მე ამას მოვახერხებ.

ბიფი: არც კი მოგისმენს.

ვილი: არა, მომისმენს. შენ ეს ქულები ვირჯინიის უნივერსიტეტში მოსახვედრად გჭირდება.

ბიფი: არ მინდა უნივერსიტეტში სწავლა.

ვილი: რაო? თუ მის დაყოლიებას ვერ მოვახერხებ, გამოცდის ხელახლა ჩასაბარებლად უნდა მოემზადო – წინ მთელი ზაფხულია.

ბიფი (ქვითინით): მამა...

ვილი (შენუხებული მუხლებზე დგება): ოჰ, ჩემო ბიჭუნი...

ბიფი: მამა...

ვილი: ის ქალი ჩემთვის არაფერს ნიშნავს, ბიფ. უბრალოდ სიმარტოვეს ვგრძნობდი, საშინელ სიმარტოვეს.

ბიფი: შენ... შენ მას დედის წინდები მიეცი! (კვლავ ცრემლები სდის. დგება და წასვლას აპირებს)

ვილი (გაშმაგებით ჩაავლებს ხელებს): მე შენ გიბრძანებ!

ბიფი: ნუ მეხები. მატყუარა ხარ!

ვილი: როგორ მიბედავ?! ბოდიში მოიხადე!

ბიფი: გაიძვერა ხარ! საცოდავი გაიძვერა!

თაღლით! (ძალას მოიკრებს, სწრაფად შეტრიალდება, ჩემოდანს აიღებს და ქვითინით გადის) ვილი (მარტო რჩება ოთახის შუაში მუხლებზე დაჩოქილი): გიბრძანებ, ბიფ! ახლავე დაბრუნდი, თორემ გცემ! დაბრუნდი! იცოდე, გაგროზგავ!

სწრაფად შემოდის სტენლი და ვილის სიახლოვეს ჩერდება.

ვილი (სტენლის, ხმამალა): მე გიბრძანებ...

სტენლი: მე მოვძებნი, რაც დაკარგეთ, მისტერ ლომენ. (ვილის წამოდგომაში ეხმარება) თქვენი ბიჭები იმ გოგოებთან ერთად წავიდნენ. ასე თქვეს, სახლში ვნახავთო.

შემოდის მეორე ოფიციალტი და შორიდან აკვირდება მათ.

ვილი: მაგრამ ჩვენ ხომ ერთად უნდა გვესაძილა.

ისმის მუსიკა – ვილის თემა.

სტენლი: მარტო გაართმევთ თავს?

ვილი: მე... ცხადია, გავართმევ. (უეცრად თავის ჩაცმულობაზე იეჭვებს) როგორ გამოვიყურები? ყველაფერი წესრიგში მაქვს?

სტენლი: სავსებით. (ვილის პიჯაკის გადანაკეცს ბუნვს მოაცილებს)

ვილი: აი... დოლარი ინებეთ.

სტენლი: თქვენმა ვაჟიშვილმა უკვე გადამიხადა. ყველაფერი რიგზეა.

ვილი (ფულს ხელში უკუჭავს): აიღეთ. კარგი ყმანვილი ხართ.

სტენლი: ოჰ, არა, საჭირო არ არის...

ვილი: აი, კიდევ აიღეთ. მე აღარ დამჭირდება. (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) მითხარით, აქ სადმე თესლს ხომ არ ყიდიან?

სტენლი: თესლს? მცენარის თესლს გულისხმობთ?

როდესაც ვილი შეტრიალდება, სტენლი ფულს კვლავ პიჯაკის ჯიბეში ჩაუდებს.

ვილი: დიახ. სტაფილო, ბარდა...

სტენლი: მეექვსე ავენიუზე სამეურნეო მაღაზიაა, მაგრამ უკვე გვიანაა და ალბათ დაკეტილი იქნება.

ვილი (აღელვებით): მაშინ ვიჩქარებ. თესლი აუცილებლად მჭირდება. (მარჯვნივ მიდის) ახლავე უნდა ვიყიდო თესლი. ჯერ არაფერი დამირგავს. რამე ხომ მაინც უნდა იზრდებოდეს.

სინათლე თანდათან ქრება, ვილი მიდის. სტენლი მას მარჯვნივ გააცილებს, მერე კი თვალს გააყოლებს. მეორე ოფიციალტი ვილის გაფაციცებით შესცქერის.

სტენლი (მეორე ოფიციალტს): რას მიშტერებხარ?

მეორე ოფიციალტი სკამებს აგროვებს და მარჯვნივ მიაქვს. სტენლი მაგიდას იღებს და უკან მიჰყვება. სტენლის ამ ნაწილში შუქი ქრება. ხანგრძლივ პაუზას ფლეიტის ხმა ავსებს. თანდათანობით სამზარეულო ნათდება, სადაც ჯერ არავინაა. გარეთ, სახლის კართან, ჰეფი გამოჩნდება, მას ბიფი მოსდევს. ჰეფის ხელში გრძელეროიანი ვარდების თაიგული უჭირავს. სამზარეულოში შედის და თვალებით ლინდას ეძებს. ვერსად რომ ვერ დაინახავს, ბიფისკენ

მოტრიალდება, რომელიც იქვე დგას, კართან, და მას ხელს უქნევს, რაც ნიშნავს: „მგონი აქ არ უნდა იყოსო“. იგი სასტუმრო ოთახში შეიხედავს და ადგილზე შეშდება. ბინდებუნდში ღინდა ზის, მუხლებზე ვილის პიჯაკი უდევს. იგი უხმაუროდ დგება და მრისხანე სახით მიდის ჭეფისკენ, რომელიც შეშინებული უკან, სამზარეულოსკენ იხევს.

ჰეფი: ჰეი, აქ რას აკეთებ?

ღინდა სიტყვის უთქმელად ნელა მიემართება მისკენ.

ჰეფი: მამა სად არის?

ჰეფი ნელ-ნელა უკან, მარჯვნივ გადაადგილდება და მალე ღინდა მთელი ტანით მოჩანს სასტუმრო ოთახის კარში.

ჰეფი: სძინავს?

ღინდა: სად იყავით?

ჰეფი (ცდილობს, ყველაფერი ხუმრობაში გაატაროს): დედა, ორი შესანიშნავი ქალიშვილი გავიცანით. შეხედე, ყვავილები მოგიტანეთ. (თაიგულს უწვდის) შენს ოთახში დადგი.

ღინდა ჰეფის ხელზე ხელს დაჰკრავს და ყვავილები ბიფის ფეხებთან ეცემა. ის უკვე შემოვიდა სამზარეულოში და კარიც მიკეტა. ღინდა ბიფს ჯიქურ შესტყერის და არაფერს ამბობს.

ჰეფი: დედა, ეს რატომ გააკეთე? მე ხომ მინდოდა, ლამაზი ყვავილები გქონოდა...

ღინდა (ანწყვეტინებს და გაშმაგებული ბიფს მიმართავს): ნუთუ სულ არ გადარდებს, ცოცხალი იქნება თუ არა?

ჰეფი (კიბისკენ მიემართება): ზემოთ ავიდეთ, ბიფ.

ბიფი (ზიზლით, ჰეფის): მომცილდი! (ღინდას) ამით რისი თქმა გსურს? მგონი, აქ ჯერ არავინ კვდება!

ღინდა: თვალთ აღარ დამენახო! აქედან დაიკარგე!

ბიფი: ბოსის ნახვა მინდა.

ღინდა: შენ მას აღარ გაეკარები!

ბიფი: სად არის? (სასტუმრო ოთახში შედის)

ღინდა (უკან მისდევს და უყვირის): სადილად დაპატიჟეს! ის მთელი დღე ამის მოლოდინში იყო...

ბიფი მშობლების საძინებელ ოთახში გამოჩნდება, იქაურობას მოათვალიერებს და გამოდის.

ღინდა: ...თქვენ კი ის მიატოვეთ! ასე უცხო-საც არ ექცევია!

ჰეფი: რა მოხდა? ის ჩვენთან ძალზე მხიარულად გრძნობდა თავს. მომისმინე, თუ ოდესმე მე...

ღინდა კვლავ სამზარეულოში ბრუნდება.

ჰეფი: ...ის მიმეტოვებინოს, დაე, ნუთიც აღარ მეცოცხლოს!

ღინდა: გაეთრიე!

ჰეფი: დედა, მომისმინე...

ღინდა: ქალებთან მიგეჩქარებოდა, არა? იმ დამპალ კახპებთან!...

ბიფი სამზარეულოში ბრუნდება.

ჰეფი: დედა, ჩვენ ბიფის გამხიარულებას ვცდილობდით! (ბიფს) ეს რა ლამე გამატარებინე!

ღინდა: ორივენი დაიკარგეთ! და აქ მოსვლა აღარ გაბედოთ. არ მინდა, რომ ასე დატანჯოთ. სწრაფად, ახლავე შეაგროვეთ თქვენი ნივთები! (ბიფს) შეგიძლია მასთან გაათხოო ლამე. (ყვავილების ასაღებად იხრება, მაგრამ გადაიფიქრებს და წელში სწორდება) გაიტანეთ ეს ნაგავი. მე თქვენი მოსამსახურე არა ვარ. გაიტანე-მეთქი, შე მანანწალავ!

ჰეფი პროტესტის ნიშნად დედას ზურგს შეაქცევს. ბიფი ნელა მოდის. მუხლებზე დაეშვება და ყვავილებს აგროვებს.

ღინდა: პირუტყვები! ამგვარ სიმხეცეს არც ერთი ცოცხალი არსება არ ჩაიდენდა. რას წარმოვიდგენდი, რომ რესტორანში მიატოვებდით! ბიფი (სახეს არიდებს) ეს თვითონ თქვა?

ღინდა: მას არაფერი უთქვამს. ისეთი დამცირებული იყო, რომ ძლივს დალასლასებდა.

ჰეფი: მაგრამ ის ისეთი მხიარული ჩანდა...

ბიფი (გაშმაგებული ანწყვეტინებს): გაჩუმდი! ჰეფი ხმამაღოლად ზევით ადის.

ღინდა: და შენ? თავი არ შეინუხე, რომ მისულიყავი და გენახა, როგორ იყო.

ბიფი (ჯერაც მუხლებზე დგას მის წინაშე და ხელში ყვავილები უჭირავს. საკუთარი თავისადმი ზიზლით) არა. არ წავედი. ნაბიჯიც კი არ გადავდგი. ეს როგორ მოგწონს? ტუალეტში მივატოვე. იქ ათასგვარ სისულელეს ზურტყუნებდა.

ღინდა: არამზადა ხარ! შენ...

ბიფი: რა ზუსტად მოარტყი! (დგება და ყვავილებს ნაგვის ყუთში გადაუძახებს) დიახაც, ყველაზე დიდი არამზადა დედამინის ზურგზე!

ღინდა: ნადი აქედან!

ბიფი: მე ბოსს უნდა დაველაპარაკო, დედა! სად არის?

ღინდა: შენ მას ახლოსაც არ გაეკარები! გაეთრიე ამ სახლიდან!

ბიფი (მტკიცედ): არა. ჩვენ ჯერ ცოტას გავისაუბრებთ. ის და მე.

ღინდა: შენ მას ვერ დაელაპარაკები. ნადი ამ სახლიდან!

სახლის უკან, მარჯვნივ, რაღაც კაკუნი ისმის. ხმაურზე ბიფი იქით მიტრიალდება.

ღინდა (მოულოდნელად ხვეწნას დაუნწყებს): თავი დაანებე, გთხოვ, გემუდარები!

ბიფი: იქ რას აკეთებს?

ღინდა: ბოსტნეულს რგავს!

ბიფი (ჩუმად): ახლა? ღმერთო ჩემო! (ეზოში გადის)

ღინდა უკან მიჰყვება. მათ თავს ზემოთ შუქი ქრება და პროსცენიუმის შუაში გადაინაცვლებს, სადაც ვილი შემოდის. ხელში ფარანი, თოხი და თესლით სავსე პაკეტები უჭირავს. თოხის სახელურს ხელს მკვეთრად ურტყამს, რათა უკეთ მიამაგროს, შემდეგ მარცხნივ გაუხვევს და მანძილს ნაბიჯებით ზომავს, პაკეტებს ფარანს მიანათებს და წარწერებს კითხულობს. ირგვლივ ლამის წყვდიადი ჩამოწოლილია.

ვილი: სტაფილო... ერთმანეთისგან ნახევარი სანტიმეტრის დაშორებით მაინც. კვლები... ყოველ ნახევარ მეტრში. (გადაზომავს) ნახევარ-

რი მეტრი. (პაკეტს დებს და გაზომვას განაგრძობს): ლორის ქადა. (წარწერას კითხულობს და პაკეტს მიწაზე დებს) ნახევარი მეტრი...

მარჯვნიდან ნელა უახლოვდება ბენი.

ვილი (დაინახავს და მუშაობას წყვეტს): აი, რა პრობლემაა. ჩუ-უ, ჩუ-უ. საშინელებაა, საშინელება. ეს ქალი ისე დაიტანჯა, ბენ, ისე დაიტანჯა! გესმის? ადამიანს არ შეუძლია ისე წავიდეს, როგორც მოვიდა, მან რამე კვალი უნდა დატოვოს. შენ არ შეგიძლია, არ შეგიძლია...

ბენი უახლოვდება, თითქოს მხოლოდ იმისთვის, რომ გააწყვეტინოს.

ვილი: ახლა კი კარგად აწონ-დაწონე. პასუხის გაცემას ნუ იჩქარებ. გასხოვდეს, რომ საქმე გარანტირებულ ოცი ათას დოლარს ეხება. მომისმინე, ბენ. მოდი, ერთად განვიხილოთ ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე. არავინაა, რომ დაველაპარაკო, ლინდა კი ძალიან დაიტანჯა.

ბენი (გაუნძრევლად დგას და ფიქრობს): აბა, რა საქმეა?

ვილი: სუფთა ოცი ათასი დოლარი. გა-რანტი-რებუ-ლი, ნალ-დი. გესმის?

ბენი: იცოდე, რამე სისულელე არ ჩაიდინო. მათ, შესაძლოა, სადაზღვევო პოლისი არ გააწავდნენ.

ვილი: ვერ გაბედავენ! განა ვირივით არ ვმუშაობდი, რომ ფული ყოველთვის დროულად შემეტანა? ახლა კი აღარ გადაიხდიან? შეუძლებელია!

ბენი: ამას სიმბდალეს უწოდებენ, ვილი.

ვილი: რატომ? ნუთუ ბოლომდე ძალღუმადურად ცხოვრებას მეტი ვაჟაკობა სჭირდება, როდესაც იცი, რომ სიცოცხლეს ნულით დაასრულებ?

ბენი (ნებდება): არის სალი აზრი შენს სიტყვებში, უილიამ. (ბოლთას სცემს და ფიქრობს) ეს რეალური, ხელშესახები ოცი ათასია!

ვილი (უკვე დარწმუნებული, ძალამომატებული): ოჰ, ბენ, სწორედ მაგაშია მთელი ხიბლი! მე ვხედავ მათ. ისინი აღმასივით ანათებენ სიბნელებში, მტკიცე, მაგარი აღმასივით, რომელიც შეგიძლია ხელში დაიჭიროო და იგრძნო! ეს საქმიან შეხვედრას კი არ ჰგავს! არ შემდგარ საქმიან შეხვედრას! აქ ვერავინ გაგასულელებს! ოცი ათასი – ყველაფერს შეცვლის! ის ფიქრობს, რომ არარაობა ვარ, ამიტომ ფეხებით მთელავს. ახლა დაკრძალვა თქვი... (წელში იმართება) ბენ, ეს გრანდიოზული დაკრძალვა იქნება! ყველა შტატიდან ჩამოვლენ: მენიდან, მასაჩუსეტსიდან, ვერმონტიდან, ნიუ-ჰემფშირიდან! ვეტერანებს მანქანებზე სხვადასხვა ქალაქის ნომრები ექნებათ მიკრული – ბიჭი უსაზღვროდ გაოცდება! მას ხომ არასდროს სჯეროდა, რომ მიცნობენ. ყველგან მიცნობენ: როდ-აილენდში, ნიუ-იორკში, ნიუ-ჯერსიში! ამაში თვითონ დარწმუნდება, ერთხელ და სამუდამოდ. ნახავს, ვინ ვყოფილვარ, ბენ! წარმომიდგენია, როგორ განცვიფრდება!

ბენი (ახლოს მიდის): და მხდალს გინოდებს.

ვილი (მოულოდნელად შეშინდება): რას ამბობ, ეს ხომ საშინელება იქნება!

ბენი: დიას. და სულელს.

ვილი: არა, არა, ეს არ უნდა თქვას! ასე არ უნდა მოხდეს! (სასწრაფოვითილია)

ბენი: იგი შეგიძლებს, უილიამ.

ისმის ბიჭების მხიარული მუსიკა.

ვილი: ეჰ, ბენ, ნეტავ წარსულის ბედნიერ დღეებში დაგვაბრუნა! როგორი სინათლე იყო, როგორი მეგობრობა! ზამთარში ციგებით ვსრიალებდით, ყინვაში ლოყები ნითლად უღაჟღაჟებდა! წინ ყოველთვის სასიამოვნო სიახლე, კარგი ამბავი გველოდა. სახლში ჩემოდნები ყოველთვის თვითონ შემოჰქონდა. ჩემს პატარა ნითელ მანქანას როგორ უვლიდა?! რატომ, რატომ არ შემიძლია მისთვის რაიმეს მიცემა, რომ აღარ ვძულდე?

ბენი: ცოტა უნდა დაფიქრდე. (საათს დახედავს) რამდენიმე წუთი კიდევ მაქვს. საშური საქმეა, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყო, რომ სულელად არ გამოჩნდები.

ბენი ნელა ტოვებს სცენას და თვალს მიეფარება. მარცხნიდან ბიფი შემოდის.

ვილი (იგრძნობს მის მოახლოებას, შემოტრიალდება და წარბეჭკვრით შესცქერის, შემდეგ დაბნეული სახით მიწიდან თესლით სავსე პაკეტების აღებას იწყებს): სად არის ეს თესლი, დალახვროს ეშმაკმა? (აღშფოთებით) არაფერი ჩანს! მთელი კვარტალი ამოქოლეს.

ბიფი: სხვასაც ხომ უნდა ცხოვრება. ნუთუ არ გესმის?

ვილი: არ მცალია. ხელს ნუ მიშლი.

ბიფი (ვილის თოხს გამოართმევს): გამოსამშვიდობებლად მოვედი, მამა.

ვილი მდუმარედ შესცქერის, ადგილიდან ვეღარ იძვრის.

ბიფი: აღარასოდეს დავბრუნდები.

ვილი: ხვალ ოლივერთან წასვლას არ აპირებ?

ბიფი: მას ჩემთვის შეხვედრა არ დაუნიშნავს, მამა.

ვილი: გადაგეხვია, მაგრამ შეხვედრა არ დაუნიშნავს?

ბიფი: როდის მიხვდები ყველაფერს, მამა! ყოველთვის, როდესაც სახლიდან მივდიოდი, ამისკენ შენთან ჩხუბი მიბიძგებდა. დღეს რაღაც მიხვდები, მინდოდა შენთვის ამეხსნა, მაგრამ იმდენად ჭკვიანი არ ვარ, რომ ამის გაკეთება შევძლო. რა მნიშვნელობა აქვს, ვისი ბრალია? (ვილის ხელს ჰკიდებს) მოდი, ყველაფერი დავივინყო, კარგი? სახლში შევიდეთ და დედას ვუთხრაო. (ფრთხილად ექაჩება ვილის მარცხენივ)

ვილი (თითქოს გაქვავდა, დამნაშავესავით): არა, არ მინდა მისი ნახვა.

ბიფი: წამოდი! (ძალით მიჰყავს, მაგრამ ვილი ხელიდან უსხლტება)

ვილი (ძალზე გაღიზიანებული): არა, არა, არ მინდა მისი ნახვა!

ბიფი (ცდილობს, თვალეში შეხედოს, რათა განზრახვას მიუხვდეს): რატომ არ გინდა მისი ნახვა?

ვილი (უხეშად): ხელს ნუ მიშლი, გესმის?

ბიფი: მითხარი, რატომ არ გსურს მისი ნახვა? არ გინდა, რომ მხდალი გინოდონ, არა? შენ არაფერში ხარ დამნაშავე, ჩემი ბრალია, რომ მანანწალა ვარ. ნამოდი, სახლში შევიდეთ.

ვილი მისგან თავის დაღწევას ცდილობს.

ბიფი: გესმის, რას გეუბნები?

ვილი ხელიდან დაუსხლტება და ჩქარი ნაბიჯით სახლში მარტო შედის. ბიფი უკან მისდევს.

ლინდა (ვილის): ყველაფერი დარგე, ჩემო კარგო?

ბიფი (კართან დგას): დედა, ჩვენ მოვილაპარაკეთ. მე მივდივარ და აღარასოდეს მოგწერთ.

ლინდა (ვილისთან მიდის): ძვირფასო, ვფიქრობ, ასე აჯობებს. სხვაგვარად შეუძლებელია... ეს ხომ ცხოვრება არ არის.

ვილი არ პასუხობს.

ბიფი: ხალხი გკითხავთ, სად ვარ და რას ვსაქმიანობ, თქვენ კი არ გეცოდინებათ, თქვენთვის სულერთი იქნება. ნათქვამია, თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო. თანდათანობით ყველაფერი დალაგდება. ხომ ასეა? კიდევ ხომ არ დაგვრჩა რამე გასარკვევი?

ვილი დუმს.

ბიფი (უახლოვდება): ნუთუ წარმატებას არ მისურვებ, ძველო? (ხელს გაუწვდის) მიდი, მითხარი!

ლინდა: ჩამოართვი ხელი, ვილი.

ვილი (წყენისგან აკანკალებული, ცოლისკენ შეტრიალდება): რა საჭირო იყო საერთოდ იმ ავტოკალმის სხენება?

ბიფი (ნაზად): ჩემთან შეხვედრა მაინც არავის დაუნიშნავს, მამა.

ვილი (უეცრად აფეთქდება): მან მხარზე ხელი დაგადო...

ბიფი: მამა, შენ ვერასოდეს მიხვდები, რას წარმოვადგენ სინამდვილეში და რალაზე ვჩხუბობთ? თუ ნავთობის საბადოს წავაწყდები, ფულს გამოგიგზავნი. იქამდე კი დაივიწყე, რომ ცოცხალი ვარ.

ვილი (ლინდას): ჩემს ჯიბრზე აკეთებს, ხომ ხედავ?

ბიფი: ხელი ჩამომართვი, მამა.

ვილი: არა, არ ჩამოგართმევ.

ბიფი: მეგონა, ერთმანეთს სხვაგვარად დავემშვიდობებოდით.

ვილი: ეს გზა თვითონ აირჩიე. ნახვამდის.

ბიფი წამით მას შესცქერის, შემდეგ მკვეთრად შეტრიალდება და კიბისკენ მიდის.

ვილი (მიამახებს): იცოდე, თუ სახლიდან წახვალ, ჯოჯოხეთში მოხვდები!

ბიფი (შემობრუნდება): რა გინდა ჩემგან ბოლოს და ბოლოს?

ვილი: სადაც არ უნდა იყო – ზღვაზე თუ ხმელეთზე, მთაში თუ ბარში, იცოდე, რომ საკუთარი ცხოვრება ჩემს ჯიბრზე დაანგრე!

ბიფი: არა, ტყუილია!

ვილი: ბრაზი და ბოლმა – აი, რა დაგლუპავს. როდესაც ფსკერზე დაეშვები, გაიხსენე, იქ როგორ აღმოჩნდი. როდესაც რკინიგზის ლიანდაგთან ეგდები და ლპობას დაიწყებ, გაიხსენე და ჩემი დადანაშაულება არ გაბედო!

ბიფი: მე შენ არაფერში გადანაშაულებ! ვილი: შენ გამო პასუხს არ ვაგებ, გასაგებია? შემოდან ჰეფი ეშვება, კიბის ქვედა საფეხურზე ჩერდება და მათ აკვირდება.

ბიფი: მეც მაგას გეუბნები, შენ ბრალი არ მიგიძღვის.

ვილი (სკამზე ჯდება, მამხილებელი ტონით): შენ გინდა, ზურგში დანა ჩამცე. ამას შესანიშნავად ვხვდები.

ბიფი: ასე, არა?! არამზადავ! მაშინ მოდი და კარტები გავსხნათ. (ჯიბიდან რეზინის მილს იღებს და მაგიდაზე დებს)

ჰეფი: გაგიჟდი? რას აკეთებ?

ლინდა: ბიფი! (მილს ასალეხად მივარდება, მაგრამ ბიფი არ დაანებებს)

ბიფი: თავი დაანებე! ხელი არ მოკიდო! ვილი (არ უყურებს იმას, რაც მაგიდაზე დევს): რა არის?

ბიფი: კარგად კი უნდა იცოდე, რაც არის.

ვილი (კუთხეშია მიმწყვდეული): წარმოდგენა არა მაქვს, არასდროს მინახავს.

ბიფი: გინახავს. იქნებ თავგებმა მიათრიეს სარდაფში საქვაბესთან? რა ჩაიფიქრე? გმირობა გსურს? გინდა, რომ თავი შემაცოდო?

ვილი: გიმეორებ – წარმოდგენა არა მაქვს, რას ამბობ.

ბიფი: არასოდეს შემეცოდები, გესმის? არასოდეს!

ვილი (ლინდას): ხომ ხედავ, რამდენი ბოლმა აქვს გულში?

ბიფი: არა, მინდა, რომ სიმართლე მოისმინო – სიმართლე ჩემ შესახებ და სიმართლე შენ შესახებ!

ლინდა: გეყოფა!

ვილი: ბოლმა!

ჰეფი (კიბეზე ჩამოდის და ბიფთან მიდის): გაჩუმი!

ბიფი (ჰეფის): ამ ადამიანმა არ იცის, ვინ ვართ. დაე გაიგოს! (ვილის) ამ სახლში ათი წუთიც კი არ გასულა არასდროს, რომელიმე ჩვენგანს ტყუილი რომ არ ეთქვას.

ჰეფი: ჩვენ ყოველთვის სიმართლეს ვამბობდით.

ბიფი (მისკენ შეტრიალდება): ჩუმად იყავი, შე საპნის ბუშტო! განა შენ შესყიდვების განყოფილების უფროსის თანაშემწე ხარ? არა, ბატონო! მისი თანაშემწის ორი თანაშემწიდან ერთი ბრძანდება. ასე არაა?

ჰეფი: ფაქტობრივად, მე...

ბიფი: ფაქტობრივად, შენ ტყუილების გუდა ხარ! ყველანი ასეთები ვართ! მორჩა! ყელში ამომივიდა! (ვილის) ახლა კი ჩემ შესახებ მოისმინე სიმართლე.

ვილი: შენ შესახებ ყველაფერი ვიცი!

ბიფი: ის თუ იცი, სამი თვის განმავლობაში მისამართი რატომ არ მქონდა? კანზას-სიტიში კოსტიუმი მოვიპარე და ციხეში ვიჯექი. (ლინდას, რომელიც ტირის) ნუ ტირი. ეს აღარ განმეორდება. აღარასოდეს!

ლინდა ყველას ზურგს შეაქცევს და სახეზე ხელებს აიფარებს.

ვილი: როგორც ჩანს, ესეც ჩემი ბრალი ყოფილა!

ბიფი: ყოველი ახალი სამუშაოდან ქურდობის გამო მაგდებდნენ!

ვილი: მერედა ვისი ბრალია ეს?

ბიფი: ხეირიანად ვერაფერი ვისწავლე, რადგან მთელი ცხოვრება ყოყლოჩინობას მაიძულებდი. მეც ვყოყლოჩინობდი, ვყოყლოჩინობდი და ვერავისგან ვერაფერს ვსწავლობდი! ეს ვისი ბრალია?

ვილი: ესეც ახალი ამბავი!

ლინდა: არ გინდა, ბიფ.

ბიფი: კარგა ხანია, ეს უნდა გცოდნოდა. აბა როგორ! მე ხომ დაბედებული მქონდა, რომ ბოსი, დიდი კაცი უნდა გამოვსულიყავი, თანაც სულ ადვილად, ხელის გაუნძრევლად. ყელში ამომივიდა!

ვილი: ჰოდა, ადექი და ტყვია დაიხალე! ჩემს ჯიბრზე!

ბიფი: რატომ? ამას არც კი გავიფიქრებ, ვილი: დღეს, როდესაც ეს კალამი მეჭირა ხელში, თერთმეტი სართული ჩავირბინე. და უეცრად გავჩერდი, გესმის? ოფისებით სავსე უზარმაზარი შენობის შუაგულში. ხომ გესმის? გავჩერდი ამ შენობის შუაგულში და... ცას მოვკარი თვალი! ის დავინახე, რაც ამქვეყნად ყველაზე უფრო მიყვარს. სამუშაო, საქმელი, დასვენება და გამრიელად გაბოლება. დავხედე კალამს და საკუთარ თავს ვუთხარი: რა ჯანდაბად აიღე ეს? რატომ ცდილობ, გახდე ის, რისკენაც გული არ მიგიწევს? მოსულხარ ამ კანტორაში და დამცირებულ და ჩერჩეტ მთხოვნელად გადაქცეულხარ. ის, რაც შენ გინდა, იქ გელოდება, მხოლოდ იმის აღიარება გჭირდება, რაც სინამდვილეში ხარ-მეთქი. რატომ არ გვინდა, რომ ვალიაროთ, ვილი? (უნდა, რომ ვილის თვალბეჭდებში შეხედვა აიძულოს, მაგრამ ვილი თავს დააღწევს და მარცხნივ მიდის)

ვილი (მუქარით, სიძულვილით აღსავსე): შენი ცხოვრების კარები ფართოდ არის გაღებული!

ბიფი: ამქვეყნად უამრავი ჩემნაირი ადამიანია. შენნაირიც!

ვილი (მისკენ შეტრიალდება, გაშმაგებულია): ტყუილია! ჩვენ სხვებს არ ვგავართ! მე ვილი ლომენი ვარ, შენ კი - ბიფ ლომენი!

ბიფი ვილისკენ გაიწევს, მაგრამ ჰეფი გადაეღობება. ბიფი ისეა გამძვინვარებული, რომ მზადაა მამას დაეტაკოს.

ბიფი: მე სხვებს არაფრით ვჯობივარ, ვილი, არც შენ! მთელი ცხოვრება სხვისი საქონლის მოხეტიალე გამყიდველი იყავი. ბოლოს კი, სხვების მსგავსად, სანაგვეზე მოგისროლეს! მე საათში ერთი დოლარი ვღირვარ. შვიდი შტატი მოვიარე და მეტი არსად გადაუხდიათ! საათში ერთი დოლარი! გესმის, ეს რას ნიშნავს? სახლში ვერანაირ პრიზს ველარ მოვიტან, ნულარ ელოდები!

ვილი (სახეში მიახლის): გარეწარი ხარ!

ბიფი ჰეფის ხელიდან დაუსხლტება. შეშინებული ვილი კიბეზე არბის. ბიფი დაენევა და ხელს სტაცებს.

ბიფი (უკვე არც ისე გააფთრებით): გაიგე, მამა, რომ არარაობა ვარ! ნული ვარ, გესმის? ჩემში არანაირი ბოლმა არ არის. უბრალოდ რაცა ვარ, ეგა ვარ, მეტი არაფერი.

ბიფს გააფთრებამ გაუარა. იგი ქვითინებს, ვილის ჩასჭიდება, რომელიც ხელებს სახეზე უფათურებს.

ვილი (გაოცებით): რას აკეთებ? რას აკეთებ? (ლინდას) რატომ ტირის?

ბიფი (ტირილით, აღგზნებული): გამიშვი, ღვთის გულისთვის! ნება მომეცი, წავიდე! თავი დაანებე სულელურ ოცნებებს, სანამ გვიან არ არის! (ცდილობს, თავი ხელში აიყვანოს, მამას მოშორდება და კიბისკენ მიდის) დილით წავალ. დაანვინე... ლოგინში დაანვინე, დედა. (ლონემიხდილი კიბეზე ადის)

ვილი (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, გაოცებული და სულიერად ამაღლებული): განა ეს... განა ეს შესანიშნავი არაა? ბიფი... ბიფს ვუყვარვარ!

ლინდა: მას შენ ძალიან უყვარხარ, ვილი!

ჰეფი (ძლიერ აღელვებული): მას შენ ყოველთვის უყვარდი!

ვილი: ეჰ, ბიფ... (სიცარიელეს ფართოდ გაღებული თვალბეჭდით მიშტერებია) ის ტიროდა! ის ტიროდა! აქ, ჩემთან! (მოზღვავებული სიყვარულისგან სუნთქვა ეკვრის და თავის დანაპირებს წამოიძახებს) ეს ბიჭი... ეს ბიჭი შესანიშნავი ადამიანი იქნება!

სამზარეულოს გვერდით სინათლის სხივი ბენს გაანათებს.

ბენი: დიახ, თანაც სახელგანთქმული, თუკი ოცი ათასი დოლარიც ექნება!

ლინდა (ვილის, გრძნობს, რომ ქმრის თავში ათასნაირი აზრი ირევა, შიშით, ფრთხილად): ახლა კი დასაძინებლად წავიდე, ვილი, ყველაფერი გადანყვეტილია.

ვილი (თავს ძლივს იკავებს, რომ სახლიდან არ გაიქცეს): ჰო, დავიძინებთ. წავიდე. შენც დაიძინე, ჰეფ.

ბენი: ჯუნგლის დამარცხება მხოლოდ ძლიერ ადამიანს შეუძლია.

ბენის იდილიურ მუსიკაში დაუძლეველი შიშის ინტონაცია ჩნდება.

ჰეფი (ლინდას ნელზე ხელს მოხვევს): მამა, გაითვალისწინე, რომ ცოლის მოყვანას ვაპირებ. სულ სხვანაირად ვიცხოვრებ. წელიწადიც არ გავა, უკვე განყოფილების უფროსი ვიქნები. აი ნახავ, დედა. (ლინდას კოცნის)

ბენი: ჯუნგლში ბნელა, ვილი, მაგრამ იქაურობა აღმასებითაა სავსე.

ვილი შემოტრიალდება, მიდის და ბენს უსმენს.

ლინდა: კარგად მოიქეცი. თქვენ ორივენი კარგი ბიჭები ხართ. ეცადე, ამ გზას არ გადაუხვიო. მეტი არაფერია საჭირო.

ჰეფი: ღამე მშვიდობისა, მამა. (ზევით ადის)

ლინდა (ვილის): წავიდე, ჩემო კარგო.

ბენი (უფრო მძლავრად): თუ აღმასი გინდა, ჯუნგლში უნდა შეხვიდე.

ვილი (ლინდას, თან ნელა მიდის კარისკენ

სამზარეულოს გასწვრივ): უნდა დავმშვიდდე, ლინდა, ცოტა ხანს მარტო დავრჩები.

ლინდა (კინალამ წამოსცდება, რისიც ეშინია): მინდა, რომ ჩემთან ერთად იყო, ზევით.

ვილი (მოუხვევია): მალე მოვალ, ლინდა, გავივლი, თორემ არ დამეძინება. ნადი, ძვირფასო, ძალიან დაღლილი სახე გაქვს. (კოცნის)

ბენი: ეს რომელიმე საქმიანი შეხვედრა არ გეგონოთ. ალმასი მტკიცეა და მაგარი.

ვილი: ნადი, ნადი. მეც ახლავე მოვალ.

ლინდა: მგონი, ეს ერთადერთი გზაა, ვილი.

ვილი: ცხადია, საუკეთესოა.

ბენი: საუკეთესო გამოსავალი!

ვილი: ერთადერთი გამოსავალი! ახლა ყველაფერი კარგად იქნება. ნადი, დანეჭი, ჩემო კარგო. ძალზე დაილაღე.

ლინდა: მალე დაბრუნდი.

ვილი: ორ წუთში მოვალ.

ლინდა სასტუმრო ოთახში შედის, მერე კი თავის საძინებელში გამოჩნდება.

ვილი (გამოდის): მას ვუყვარვარ. (გაოცებით) და ყოველთვის ვუყვარდი. რა კარგია! ბენ, ამისთვის ის მე გამაღმერთებს!

ბენი (საზეიმო ხმით): იქ ბნელა, სამაგიეროდ, ბევრი ალმასია!

ვილი: ხომ წარმოგიდგენია, რა ბედნიერება იქნება, ჯიბეში ოცი ათასი რომ გაუჩნდება?!

ლინდა (საძინებლიდან ეძახის): ვილი! ამოდი!

ვილი (სამზარეულოს კარიდან გასძახებს): ახლავე! ახლავე! მოვდივარ! ეს ძალზე გონივრულია, ხომ გესმის, საყვარელო? ბენიც ასე თვლის. უნდა წავიდე, ჩემო კარგო. მშვიდობით! მშვიდობით! (ბენისკენ ლამის ცეკვა-ცეკვით მიდის) აბა, რას იტყვი? დაზღვევის ფულს რომ მიიღებს, ბერნარდს კვლავ უკან ჩამოიჭოვებს!

ბენი: ყოველმხრივ ბრწყინვალე გარიგებაა!

ვილი: ხომ დაინახე, როგორ ტიროდა? ჩემს მკერდზე. ეჰ, ერთხელ მაინც რომ მაკოცნიდა, ბენ!

ბენი: დრო არ ითმენს, უილიამ, დრო!

ვილი: ბენ, ყოველთვის ვიცოდი, რომ, ასე თუ ისე, მე და ბიფი ჩვენსას მივალწევდით!

ბენი (საათს დასცქერის): გემი გველოდება. ვაგვიანებთ. (ნელ-ნელა სიბნელეში შედის)

ვილი (მეოცნებე სახით, სახლისკენ პირით შემოტრიალებული): როდესაც ბურთს დაარტყამ, ჩემო ბიჭო, მინდა, რომ გიგანტური ჩექმები მეცვას, რათა იქ აღმოვჩნდე, საითაც ბურთი გაფრინდება. ძლიერად და დაბლა დაარტყი, ეს გადამწყვეტია. (მაყურებლებისკენ მკვეთრად შემოტრიალდება) ტრიბუნებზე მნიშვნელოვანი ხალხი ზის და ხომ იცი... (უეცრად ხვდება, რომ მარტოა) ბენ? ბენ, სად... (რალაცის ძებნას იწყებს) ბენ, როგორ...

ლინდა (ეძახის): ვილი: მოდიხარ?

ვილი (შიშისგან სუნთქვა ეკვრის, სწრაფად შემოტრიალდება სახლისკენ): ჩუ-უ! (კვლავ შეტრიალდება გზააბნეულივით. თავს ბეგრები, ხმები და სახეები დაატყდება, ცდილობს, მოი-

ცილოს, ხელებს იფარებს, ყვირის) ჩუმად! ჩუ-უ! ჩუმად! (მოულოდნელად ძლივს გასაგონი წყნარი მუსიკა ადგილზე გააშეშებს. მუსიკა თანდათანობით გაძლიერდება და ყურისწამლებ, აუტანელ კვილად გადაიქცევა. ვილი სახლის გარშემო თითის წვერებზე დაფუსფუსებს) ჩუ-უ!

ლინდა: ვილი!

პასუხი არ არის. ლინდა ელოდება. ბიფი სანოლიდან დგება. მას ჯერაც არ გაუხდია. ჰეფი წამოჯდება. ბიფი დგას და უსმენს.

ლინდა (დაუფარავი შიშით): ვილი, მიპასუხე! ვილი!

ისმის, რომ ვილაც მანქანას დაქოქავს და დიდი სიჩქარით მოსწყდება ადგილს.

ლინდა: არა! არ გინდა!

ბიფი (თავპირისმტკრევით ჩამორბის კიბეზე): მამა!

მანქანა ხმაურით მიეფარება თვალს. მას ბანს აძლევს ხმამალალი ბეგრების კაკაფონია, რომელსაც ჩელოს სიმის მრავალჯერადი ჩუმი ამოოხვრა ენაცვლება. ბიფი ნელა ბრუნდება ოთახში. ის და ჰეფი პიჯაკებს იცვამენ. ლინდა ლასლასით გამოდის თავისი საძინებელი ოთახიდან. მუსიკა სამგლოვიარო მარშში გადადის. ყველაფერი ფოთლებით იმოსება. დღეა. სახლთან შავებში ჩაცმული ჩარლი და ბერნარდი მოდიან და სამზარეულოს კარზე აკაკუნებენ. როდესაც ისინი შემოდიან, ბიფი და ჰეფი ნელა ჩამოდიან კიბეზე. ყველანი ელოდებიან, როდის შემოვა სამზარეულოს მოფარდაგებული კარიდან სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი ლინდა ვარდების თაიგულით. იგი ჩარლის უახლოვდება და ხელკავს გამოსდებს. პროცესია მაყურებლების მიმართულებით მოიწევს. პროსცენიუმის კიდეში ლინდა ვარდებს მინაზე აწყობს, ჯერ მუხლებზე დაეშვება, მერე კი ჩაცუცქდება. ყველა საფლავს დასცქერის.

რეაქციები

ჩარლი: უკვე ჩამოხნელდა, ლინდა.

ლინდა ყურადღებას არ აქცევს და საფლავს თვალს არ აშორებს.

ბიფი: როგორ ხარ, დედა? იქნებ დაისვენო. მალე ჭიშკარს დაკეტავენ.

ლინდა არ ინძრევია. პაუზა.

ჰეფი (აღშფოთებული): ასე რატომ მოიქცა? მას ამის უფლება არ ჰქონდა. რა აუცილებლობა იყო? ჩვენ დავენმარებოდით.

ჩარლი (ბუზღუნით): ჰმ, ჰმ!

ბიფი: წავიდე, დედა.

ლინდა: რატომ არავინ მოვიდა?

ჩარლი: რიგიანი დაკრძალვა გამოვიდა.

ლინდა: მაგრამ ისინი სად არიან, ვინც მას იცნობდა? იქნებ მისი საქციელი დაგმეს?

ჩარლი: არა! ისინი მას არ გაკიცხავენ. ჩვენ სასტიკ სამყაროში ვცხოვრობთ, ლინდა.

ლინდა: ვერაფერი გამიგია. განსაკუთრებით ახლა! პირველად ოცდათხუთმეტი წლის მან-

ძილზე თითქმის ამოვძვერით ვალებიდან. მას მხოლოდ პატარა ხელფასი სჭირდებოდა. კბილის ექიმის დავალიანებაც კი გაისტუმრა.

ჩარლი: არ არსებობს ამქვეყნად ადამიანი, რომელსაც პატარა ხელფასი ეყოფა.

ლინდა: არ მესმის.

ბიფი: ხომ გახსოვს, როგორი კარგი დღეები გვექონდა? როდესაც მოგზაურობიდან დაბრუნდებოდა ხოლმე, ან კვირაობით, როდესაც ფარდულს აკეთებდა, სარდაფს ამთავრებდა, ახალ პარმალს, დამატებით სააბაზანოს ან გარაჟს აშენებდა. იცით, ჩარლი, მამამ ამ ფარდულით უფრო დაგვამახსოვრა თავი, ვიდრე ყველა იმ საქონლით, რომელიც ოდესმე გაუყიდა.

ჩარლი: დიახ. ნამდვილი ოსტატი იყო, როცა საქმე ცემენტს ეხებოდა.

ლინდა: ოქროს ხელები ჰქონდა.

ბიფი: და ფუჭი ოცნებები. სრულიად ფუჭი.

ჰეფი (ლამის ჩხუბი დაუნყოს ბიფს): როგორ ბედავ ასე ლაპარაკს!

ბიფი: ისე მოკვდა, ვერ მიხვდა, რას წარმოადგენდა.

ჩარლი (ჰეფის აჩერებს და პასუხის თქმის საშუალებას არ აძლევს. ბიფს): ამ კაცს ვერავინ გაკიცხავს. შენ არ გესმის – ვილი კომივოიაჟორი იყო. მისნაირებს კი ცხოვრებაში საყრდენი არ გააჩნიათ. კომივოიაჟორი არც ჭანჭიკებს უჭერს, არც კანონებს ასწავლის, არც ავადმყოფებს უკურნავს. იგი ცასა და დედამიწას შორის არის გამოკიდებული. მისი იარაღი პირფერული ლიმილი და გაკრიალებული ფეხსაცმელებია. და თუ მას საპასუხოდ აღარ უღიმიან, ეს უკვე კატასტროფაა. შემდეგ შლაპაზე ორიოდე ლაქა ჩნდება და ადამიანი განწირულია. არავინ გაბედოს მისი გაკიცხვა! კომივოიაჟორმა უნდა იოცნებოს, ჩემო ბიჭუნი. ტყუილად ხომ არ ცხოვრობს იგი ცასა და დედამიწას შორის.

ბიფი: ჩარლი, მან არ იცოდა, ვინ იყო.

ჰეფი (აღშფოთებული): არ გაბედო-მეთქი!

ბიფი: რატომ არ გინდა, რომ ერთად წავიდეთ, ჰეფი?

ჰეფი: მე ასე ადვილად არ ვნებდები! აქ დავრჩები, ამ ქალაქში, და გამარჯვებასაც მივალწევ! (ბიფს შეჰყურებს, ნიკაპს წინ წამოსწევს) ძმები ლომენები!

ბიფი: შესანიშნავად ვიცი, ვინცა ვარ, ძამიკო.

ჰეფი: კარგი. მაშინ საკუთარ თავსაც დავუმტკიცებ და ყველასაც, რომ ვილი ლომენი ტყუილბრალოდ არ მომკვდარა. მას საუცხოო ოცნება ჰქონდა. იყო შენს საქმეში საუკეთესო – აი, ერთადერთი რამ, რაზეც ადამიანმა უნდა იოცნებოს.

ბიფი (იმედგადაწურული შეხედავს ჰეფის და დედისკენ დაიხრება): წავიდეთ, დედა.

ლინდა: ახლავე, კიდეც ერთი წუთი. წადით, ჩარლი.

ჩარლი ყოყმანობს.

ლინდა: ცოტა ხანს კიდეც დავრჩები. მე ხომ მას ვერც კი დავემშვიდობე.

ჩარლი მიდის. მას ჰეფი მიჰყვება. ბიფი ლინდას შორიახლოს რჩება. ლინდა საფლავთან დგას, თითქოს ძალას იკრებს. სადღაც იქვე ფლეიტა ამღერდება და ლინდას სიტყვებს წარწარად მისდევს.

ლინდა: მაპატიე, ძვირფასო. ვერ ვტირი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ტირილი არ შემიძლია. ვერაფერი გამიგია. ეს რატომ ჩაიდინე? დამეხმარე, ვილი, ვერ ვტირი. ასე მგონია, ცოტა ხნით გაემგზავრე და მალე დაბრუნდები. გელოდები, სულ გელოდები, ჩემო კარგო. ასე რატომ მოიქეცი, რატომ? ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ. დღეს ბოლო შენატანი გაგაკეთებ ბანკში და სახლის საფასური სულ დავფარეთ. სწორედ დღეს, ძვირფასო. მაგრამ აქ აღარავინ იცხოვრებს. (ყელში ბურთი მოანგება) არავის ვალი აღარ გვაქვს. (ატირდება) თავისუფლები ვართ.

ბიფი მისკენ ნელა დაიძვრება.

ლინდა: თავისუფლები ვართ... თავისუფლები...

ბიფი ლინდას ფეხზე წამოაყენებს და ფრთხილად გაჰყავს მარჯვნივ. ლინდა ჩუმად ტირის. დედა-შვილს ბერნარდი და ჩარლი მიჰყვებიან, მათ უკან კი ჰეფი მიდის. თითქმის ჩაბნელებულ სცენაზე მხოლოდ ფლეიტის ხმა ისმის. მუსიკის ჰანგები სულ უფრო ზემოდან ისმის, იქიდან, სადაც სახლის თავზე ქალაქის მაღალი შენობები წამოჭიმულან.

ფარდა ეშვება.

ინგლისურიდან თარგმნა
პაატა ჩხეიძემ